მართლმადიდებელ ეკლესიას აზერბაიჯანელები დაუპირისპირდნენ A2

პრეპარატი ისევ აფთიაქებშია A8

"საოჯახო ტოტო" - ცხრილები B5-B7

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ორშაბათი, 19 აპრილი, 2004 წელი. №91 (640) ფასი 50 თეთრი

სახელმწიფო ვერ დაიღლება!

ნიკა იმნაიშვილი

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ აჭარის თემატიკა ქართული პოლიტიკის დომინანტი ხდება. ეს არა მხოლოდ "ვარდების რევოლუციის" ერთ-ერთი შედეგია, რაკი აჭარის ხელისუფლებამ ერთმნიშვნელოვნად საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა (ესოდენ ერთმნიშვნელოვანი პოზიცია ედუარდ შევარდნაძის უშუალო გარემოცვის მრავალ წევრსაც კი არ ჰქონია), არამედ ახალი ხელისუფლების წინაშე ერთბაშად წამოჭრილი პრობლემების ნაკრები, მათი "მტკივნეული კვანძი", რომელთა გადაჭრის გარეშე არათუ წინარევოლუციური დაპირებების შესრულება, არამედ საერთოდ, ქვეყნის განვითარების უზრუნველყოფა შეუძლებელია.

აჭარის რეჟიმი ამ მხრივ ერთგვარ "სასინჯ ქვად" იქცა, მაგრამ - არა მხოლოდ. ვინაიდან ბევრი ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტაც მჭიდროდ უკავშირდება აჭარის ტერიტორიაზე გამავალი რესურსების კონტროლს.

გაგრძელება A3 გვერდზე

საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობა.

განსაკუთრებით კეთილი ურთიერთობა

ზაზა ფაჩუაშვილი

საქართველოში ერთკვირიანი ვიზიტით იმყოფება სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტი, ვაშინგტონის მთავარეპისკოპოსი, უნეტარესი ჰერმანე, რომელიც შაბათს საპატრიარქოში მიიღო უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა ილია II-მ.

საქართველოს პატრიარქმა დიდი მადლობა მოახსენა სტუმრს და მის ვიზიტს ისტორიული უწოდა.

" თქვენო უნეტარესობავ, ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ თქვენს ვიზიტს. ეს არის ისტორიული ვიზიტი, რომელსაც ძალიან დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს.

გაგრძელება A6 გვერდზე

შეხვედრა საპატრიარქოში.

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

მოდის სიახლეები Vogue-ის მიხედვით

B3

პოლიტიკა

რა ქნას პეპელამ?

შაბათს გენერალურ პროკურატურაში კვლავაც სერიოზული ბიზნესმენი, კვლავაც სერიოზული - რამდენიმე ასეულათასიანი გადასახადის დამალვის გამო დასაკითხად დაიბარეს. კვლავაც გაიხარეს პენსიონერებმა, მასწავლებლებმა და საბიუჯეტო დაფინანსების იმედად მყოფი იმ ორგანიზაციების თანამშრომლებმა, რომლებსაც ხელისუფლება ბიუჯეტის მაზარალებელთაგან ამოღებული ყოველი თეთრის მათ სასარგებლოდ გამოყენებას ჰპირდება.

A3

ეკონომიკა

"საქართველოს ფოსტის" თანამშრომლები ხელმძღვანელობას კორუფციაში ადანაშაულებენ

შპს "საქართველოს ფოსტის" თანამშრომლები კომპანიის ხელმძღვანელებს - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ნესტორ ხურცილავას, მის მოადგილეს ილია გვარიშვილს, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს აკაკი მხეიძეს და ექსპლუატაციის დირექტორს დავით დარახველიძეს კორუფციულ საქმიანობასა და "საქართველოს ფოსტის" მართვაში შეგნებულად განხორციელებულ არაკანონიერ ქმედებებში ადანაშაულებენ.

A4

უცხოეთი

ბრძოლა ჩეჩნური ნავთობისათვის

კადიროვი ჩეჩნეთის ნავთობსექტორის გაკონტროლებას ცდილობს. დამკვირვებლები მის მცდელობას გროზნოსა და მოსკოვს შორის კულუარული ომის დაწყების კონტექსტში განიხილავენ.

A5

სამართალი

გრიგოლ ხურცილავას სასამართლო პროცესი დღეს განახლდება

საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატაში გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის გამოძიება ზედმეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს და სასამართლო პროცესები თითქმის ორთვიანი ინტერვალებით იმართება. ამის მიზეზად საოლქო სასამართლოს სამუშაო გრაფიკის გადატვირთულობა სახელდება.

A6

ამინდი

თბილისი	5
ქუთაისი	15
ბათუმი	14
სოხუმი	15
ფოთი	16
თელავი	3
ზუგდიდი	18
გორი	6
ახმეტა	4
ჭიათურა	9
გაგრა	14
სამტრედია	14

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.9850
ევრო	2.3802
გირვანქა სტერლ.	3.5565
რუბლი	0.0694

არჩევნების შედეგები დამტკიცებულია

თამარ ასათიანი

გუშინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების შედეგები დაამტკიცა. იმის გამო, რომ რამდენიმე დღის წინ ცესკოს ხელმძღვანელობამ თავად განაცხადა უარი ხულოსა და ქობულეთში ხელახალი არჩევნების გამართვის თაობაზე, შედეგების დამკიცება ამ ორი ოლქის ამომრჩეველთა ნების გაუთვალისწინებლად მოხდა. ბუნებრივია, შედეგების საერთო შემაჯამებელი ოქმი განსხვავდება წინასწარი შედეგებისაგან, სადაც, ხულოსა და ქობულეთის მონაცემებიც იყო შეყვანილი.

28 მარტის არჩევნების საერთო სურათი კი ასეთია:

შვიდპროცენტიანი ბარიერი "ნაციონალურმა მოძრაობამ" (ხმათა 66,24 პროცენტი), და "მემარჯვენე ოპოზიცია – "მრეწველები" - "ახლებმა" (7,56 პროცენტი) გადალახეს. მათ შორის მანდატები შემდეგნაირად გადანაწილდება: "ნაციონალური მოძრაობა" – 135 მანდატი, "მემარჯვენე ოპოზიცია" – 15 მანდატი.

გაგრძელება A2 გვერდზე

"მემარჯვენე ოპოზიციის – მრეწველები, ახლების" №13 კანდიდატის საქმე

თამარ კაციტაძე

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ გადასახადების დამალვის ან სხვა ფინანსური დარღვევების გამო დაპატიმრებული მაღალჩინოსნების მიერ ბიუჯეტის სასარგებლოდ ჩარიცხული მილიონების შემდეგ, "საპროკურორო ბეგარა", როგორც ჩანს, შედარებით შემცირდა და ჯერი იმ გადამხდელებზე მიდგა, რომლებმაც ბიუჯეტი, შეიძლება, მართლაც აზარალეს, მაგრამ შეცდომის გამოსასწორებლად დრო და გარანტიები, რამდენიმე თვის წინ, ხელისუფლების მხრიდან

გაგრძელება A6 გვერდზე

ქუთაისის მმართველობა გაქცეულია

მას შემდეგ, რაც არასამთავრობო ორგანიზაციებმა ქუთაისის მერის გადადგომა მოითხოვეს, ნუგზარ ფალიანი თბილისში გაიქცა და ქუთაისში აღარ ჩამოდის. უკვე მეთერთმეტე დღეა ფალიანი ქალაქში აღარავის უნახავს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქუთაისის მერმა, ვიცე-მერები ჯერ კიდევ ოთხი თვის წინ დაითხოვა და შემცვლელები დღემდე არ დაუნიშნავს, ცხადია, რომ ქალაქში არც მერის მოვალეობის შემსრულებელი არსებობს (ფალიანმა მერიის სამსახურის ხელმძღვანელებსაც გადადგომაზე განცხადებები დააწერინა). შექმნილ ვითარებაში ქუთაისის მართვის სადავეები, წესით, საკრებულოს თავმჯდომარეს დათო ბენიძეს უნდა აეღო. ის კი ფალიანამდე გადაიხვეწა და სამართალდამცავებს მასზე ძებნა აქვთ გამოცხადებული. აღნიშნულის გამო, ქუთაისი სრული ქაოსისა და განუკითხაობის წინაშე დგას. ფაქტობრივად, პარალიზებულია მერიის მუშაობა და ქალაქის თვითმმართველობა. ქუთაისში უკვე გაჩნდა პლაკატები - **"იძებნება ქალაქის მერი**

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 სამართალი A7 რეკლამა A8 საზოგადოება

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 - B7 "საოჯახო ტოტო" B8 სხვადასხვა

არჩევნების შედეგები დამტკიცებულია

ზურაბ ჭიაბერაშვილი არჩევნებით კმაყოფილია.

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

წინასწარ შედეგებთან შედარებით, ხმები დააკლდა "აღორძინების კავშირს" და საბოლოოდ, მან მხოლოდ ხმათა 3.86 პროცენტი დააგროვა. "ლეიბორისტულ პარტიას" 6.01 პროცენტი აქვს, "თავისუფლებას" - 4.39 პროცენტი, "ედპ – ტრადიციონალისტებს" - 2.55 პროცენტი, ბლოკ "ჯუმბერ პატიაშვილი – "ერთობას" - 2.47 პროცენტი.

დანარჩენმა პარტიებმა და საარჩევნო ბლოკებმა ერთპროცენტიანი ბარიერის დაძლევაც კი ვერ მოახერხეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, საბოლოო ოქმს ხელი არ მოაწერეს "აღორძინების კავშირის" წარმომადგენლებმა. მათი პროტესტი გაიზიარა "ლეიბორისტმა" ბადრი ნიაურმაც, რომელმაც განაცხადა, რომ **"ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უფლება არ ჰქონდა, საპარლამენტო არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი ხულოსა და ქობულეთის ოლქების შედეგების გარეშე დამტკიცებინა. ამით დამტკიცდება, რომ ხელისუფლება აჭარის რეგიონს ვერ აკონტროლებს".** მისივე თქმით, 28 მარტის არჩევნები გაყალბდა, ისევე როგორც გასული წლის ორი ნოემბრის არჩევნები და საქართველოში ერთპარტიული დიქტატურა მკვიდრდება. თუმცა ასეთ გამოსვლას ცესკო-ს წევრებზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია.

აქვე უნდა ითქვას, რომ არჩევნების თემა გუშინდელი დღით ნამდვილად არ ამოწურულა. ცნობილი გახდა ოპოზიციური მოძრაობა "ჩვენი აჭარას" ლიდერთა გეგმა, რომლის თანახმადაც, ახალი პარლამენტის პირველივე სხდომებზე "ჩვენი აჭარას" წარმომადგენლები დროებითი კომისიის შექმნას მოითხოვენ, რომელიც გასული წლის 2 ნოემბერს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, კერძოდ კი შუახევის, ხელვაჩაურის, ხულოს და ქედის რაიონებში მაჟორიტარი დეპუტატების არჩევნების კანონიერებას შეისწავლის. "ჩვენი აჭარას" ერთი-ერთი ლიდერის კობა ხაბაზის თქმით, ქობულეთსა და ბათუმში არჩეულ ორ მაჟორიტარ დეპუტატს – აჭარის პრემიერ-მინისტრს როსტომ ჭაფარიძეს და აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრს ჯემალ გოგიტიძეს სადეპუტატო შეუთავსებლობა აქვთ და, ამდენად, დაისმება საკითხი მათი უფლებამოსილების მოხსნის და ხელახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ.

გუშინვე გავრცელდა თბილისში აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ჰამლეტ ჭიპაშვილის განცხადება: **"აღორძინების კავშირიდან" არჩეული მაჟორიტარი დეპუტატები ახალი მოწვევის პარლამენტის მუშაობაში მონაწილეობას არ მიიღებენ. "აღორძინებამ" ეს გადაწყვეტილება, შესაძლოა, იმ შემთხვევაში გადასინჯოს, თუ საერთოდ, ვითარება საქართველოში და განწყობა აჭარის მიმართ შეიცვლება. "აღორძინებას" გაყალბებული საპარლამენტო არჩევნებით დიდი შეურაცხყოფა მიაყენეს".**

"ლეიბორისტული პარტიაც" არჩევნების შედეგების საბოლოო ოქმს უკანონოდ მიიჩნევს და მის გასაჩივრებას უზენაეს სასამართლოში აპირებს.

და მაინც. ყველაფრის მიუხედავად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჭიაბერაშვილი 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებს პოზიტიურად აფასებს, თუმცა იქვე აცხადებს, რომ საქართველო ჯერ კიდევ შორსაა ევროპული დონის არჩევნების ჩატარებისგან. მით უფრო, რომ **"არჩევნებთან დაკავშირებული ის მავნე პრაქტიკა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ყალიბდებოდა, ერთბაშად, ერთი ხელის მოსმით ვერ გადაიჭრება და ამას დრო და უდიდესი ძალისხმევა დასჭირდება".**

"ყაზბეგის" ლუდის ქარხანამ ექიმებს უმასპინძლა

კომპანია "ყაზბეგის" ლუდის ქარხანაში სხვადასხვა პროფესიის ადამიანების ექსკურსიაზე მიპატიჟება უკვე ტრადიციად იქცა. რამდენიმე დღის წინ ქარხანა სამედიცინო დარგის წარმომადგენლებმა მოინახულეს. ცნობილმა და ავტორიტეტულმა ექიმებმა დაათვალიერეს საწარმოს საამქროები; გაეცნენ ლუდის, ლიმონათის და ცივი ჩაის დამზადების ტექნოლოგიებს; გასინჯეს ამერიკაში საექსპორტოდ გასაგზავნი "ყაზბეგის" ტარხუნისა და მსხლის ლიმონათი, რომელიც, მათი თქმით, არაფრით განსხვავდება იმ ლიმონათისაგან, რომელსაც "ყაზბეგი" საქართველოში სარეალიზაციოდ ასხამს. ექსკურსიის დასასრულს სტუმრებს განსაკუთრებული სიურპრიზი შესთავაზეს - მათ პირველებმა გასინჯეს "ყაზბეგის" ახალი პროდუქცია - ხორბლის ლუდი, რომელიც უახლოეს დღეებში გაყიდვაშიც გამოვა.

"ყაზბეგის" ცივ ჩაის სასწაულს უწოდებს ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილების გამგე, პედიატრ-ინფექციონისტი ვიტალი ხარაშვილი: "დღეიდან ჩემს სახლში მუდმივად იქნება "ყაზბეგის" ცივი ჩაი, რადგან სხვა არავინ ამზადებს ამ სასმელს ნატურალური პროდუქტითა და შაქრით."

უროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ლაურ მანაგაძე ღიმილით "აღიარებს", რომ უკვე წლებია "ყაზბეგის" გარდა სხვა ლუდს აღარ ეძებს. "გერმანიაში ლუდი სამკურნალო საშუალებად გამოიყენება. მას ჩვენც ვუნიშნავთ პაციენტებს შარდკენჭოვანი დაავადების მკურნალობისას. კერძოდ, ლითოტრიპსიის, ანუ კენჭების დაშლის შემდეგ ავადმყოფს ვურჩევთ, რომ მიირთვან რაც შეიძლება მეტი ლუდი," - ამბობს ლაურ მანაგაძე.

გია ნემსაძე, ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის მამოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი: "ექიმები დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ საკვებ და სასმელ პროდუქტებს. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქარხანაში არსებულმა სისუფთავემ, ნატურალური ნედლეულის დამზადების ტექნოლოგიამ. "ყაზბეგის" ცივი ჩაი დამატებით იოდიზირებულია და ეს ძალიან კარგია. ჩერნობილის ავარიის შემდეგ საქართველოში, განსაკუთრებით ქალებში, იმატა ფარული ჩიყვისა და იოდდეფიციტის შემთხვევებმა, ამიტომ ცივი ჩაის მიღება ძალიან სასარგებლო იქნება და თავიდან აგვაცილებს ბევრ დაავადებას."

როგორც "ყაზბეგში" აცხადებენ, ექიმების სტუმრობა წარმოებისთვის ერთგვარი ეკოლოგიური აუდიტი იყო და ეს პროცესი კვლავ გაგრძელდება.

24 საათი

მართლმადიდებელ ეკლესიას ქოლაგირელი აზერბაიჯანელები დაუპირისპირდნენ

ბოლნისის რაიონის სოფელ ქოლაგირის მართლმადიდებელ ეკლესიაში აღდგომის სწორ კვირა დღეს წირვის ჩატარება ვერ მოხერხდა. როგორც ეკლესიის მრევლი აცხადებს, იქ აზერბაიჯანელები შეცვივდნენ და სალოცავად მისულ ადამიანებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

სოფელ ქოლაგირის ცენტრში, წმინდა ქეთევან წამებულის სახელობის ქართული ეკლესია დარეჯან დედოფლის თეთრი ციხესიმაგრის ეზოში დგას. ციხესიმაგრის გარშემო კი 700 კომლი აზერბაიჯანელი ცხოვრობს. ამ ეკლესიაში მრევლი, ძირითადად, ბოლნისიდან და რუსთავიდან დადის. ბოლნისელი მოძღვარი მამა კვირიკე უკვე წლებია, იქ მოღვაწეობს.

როგორც თვითმხილველები აცხადებენ, გუშინ დილით კონფლიქტი ასე დაიწყო: ეკლესიის კუთვნილ ტერიტორიაზე, ციხესიმაგრის გალავნის გარშემო 50 მეტრი ეკლესიას ეკუთვნის, აზერბაიჯანელმა მოსახლეობამ მანქანების სამრეცხაო და სამღებრო მოაწყო, რის გამოც ეკლესიასთან მისასვლელი გზა გადაკეტილი იყო. მამა კვირიკემ მათ გზის გათავისუფლება სთხოვა, ამას მოჰყვა საქმის გარჩევა. მღვდელი და მრევლი ცდილობდა აზერბაიჯანელებისთვის აეხსნათ, რომ ისინი ეკლესიის კუთვნილ ტერიტორიას აბინძურებდნენ და ამის ნება მათ არ ჰქონდათ.

"24 საათს" ბოლნისის ტელეკომპანიის "ტვ-5"-ის დირექტორმა და ჟურნალისტმა გიზო კორტავამ უამბო, რომ კონფლიქტი აზერბაიჯანულ სოფელსა და მამა კვირიკეს შორის დღეს არ დაწყებულა. სოფელი უკვე რამდენჯერმე აუბუნტდა ქრისტიან მღვდელს. უფრო მეტიც, გასულ წელს მას ეკლესიის კარებზე დამხრჩვალი ძაღლიც კი ჩამოუკიდეს.

სოფლის მაცხოვრებლები მართლმადიდებლების გასაღიზიანებლად ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიას მუდმივად აბინძურებდნენ და ანაგვიანებდნენ. მიუხედავად ყველაფრისა, მამა კვირიკე თითქმის ყოველწლიურად ახერხებდა რამდენიმე აზერბაიჯანელის მოქცევას და მათ ქრისტიანულად ნათლავდა. გიზო კორტავა ვარაუდობს, რომ აზერბაიჯანელებსა და ეკლესიას შორის კონფლიქტის მთავარი მიზეზი სწორედ ეს იყო. ისინი მუდმივად სდევნიდნენ იმ თანასოფლელებსაც, რომლებმაც ქრისტიანობა მაჰმადიანობას ამჯობინეს. ამ ვარაუდს ამყარებს ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის გოდერძი ჩარქსელიანის კომენტარიც. ის აზერბაიჯანელების მონაყოლზე დაყრდნობით ამბობს, რომ მამა კვირიკეს ადრე აზერბაიჯანელი გაულახავს და შემდეგ უთქვამს, ეს სოფელი მთლიანად უნდა მოვაქციოო. პოლიციის უფროსი მიიჩნევს, რომ კონფლიქტის მიზეზი სწორედ მამა კვირიკეს ამგვარი პოზიციაა, თუმცა იქვე აცხადებს, რომ გუშინ ქოლაგირში უბრალო შელაპარაკება მოხდა და ეკლესიასთან შეკრებილი 50-მდე კაცი მალე დაიშალა. დანაშაულის არარსებობის გამო, პოლიციას მოკვლევა არ დაუწყია.

"24 საათის" ინფორმაციით, ქოლგირში მხოლოდ რელიგიურ დაპირისპირებასთან არ გვაქვს საქმე. აქ არის მეორე და, შეიძლება, უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორიც. არც ისე დიდი ხნის წინ, ეკლესიას სოფლის მიწის ნაწილი გადაეცა. მრევლი მიწას ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით ამუშავებს. ბოლო თვეებში მოსახლეობის ნაწილი ძალიან გააქტიურდა და ისინი ეკლესიას მიწის მათთვის დათმობას სთხოვდნენ, რაზეც უარი მიიღეს. ამის გამო, აზერაიჯანელებმა ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის დაბინძურება და დანაგვიანება კიდევ უფრო გააქტიურეს.

როგორც მხარის და რაიონის სამართალდამცველები აცხადებენ, გუშინ ქოლაგირში ინციდენტი შუადღემდე დასრულდა. მას გაგრძელება აუცილებლად ექნება, თუმცა როდის და რა ფორმით, არავინ იცის.

მაია მოსიაშვილი

საკადრო ცვლილებები აჭარაში

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გუშინწინ, გვიან ღამით აჭარის შს სამმართველოს გათავისუფლებული შეფი ჯუმბერ ტაკიძე აჭარის პროკურორის რესან კონცელიძის თანაშემწედ დაინიშნა, ტაკიძის ადგილი კი ხელვაჩაურის პროკურორმა თამაზ ჯორთმენაძემ დაიკავა. თავად ტაკიძე აცხადებს, რომ ახალ თანამდებობაზე მისი წარდგენის შესახებ ჯერ კიდევ გუშინ შეატყობინეს, თუმცა საბოლოოდ გადაწყვეტილი არაფერია. რაც შეეხება ბათუმის პოლიციის შეფის გადაყენების მოტივს, ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს მას "უჭირდა" აჭარის შს მინისტრის ჯემალ გოგიტიძის მითითებების შესრულება. თუმცა, თავად გადამდგარი შეფი უარყოფს ამ ვერსიას და აცხადებს, რომ მინისტრის მითითებებს გულმოდგინედ ასრულებდა, ეს საკადრო ცვლილება კი მისთვის აბსოლუტური მოულოდნელობა იყო. ჯუმბერ ტაკიძის განცხადებით, იგი კმაყოფილი დარჩება, თუ მას ხვალ მართლაც წარადგენენ პროკურორის თანაშემწის ვაკანტურ ადგილზე. 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ეს აჭარის შს სამინისტროში განხორციელებული რიგით მეორე საკადრო ცვლილებაა. არჩევნების დროს მინისტრის ახალ მოადგილედ ელგუჯა ჯინჭარაძე, მეტსახელად "რემბო" დაინიშნა.

ინტერ-პრესი

გურჯაანში დამნაშავეების დაკავება გრძელდება

გუშინ, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, გურჯაანის პოლიციამ ამავე რაიონის მკვიდრი, 1973 წელს დაბადებული კობა აბაზაშვილი დააკავა. მას პირადი ჩხრეკისას ნარკოტიკული ნივთიერება - 0, 15 გრამი ჰეროინი არმოაჩნდა: "ეს პიროვნება არ არის რელიზატორი. იგი ნარკოტიკს მოიხმარდა,"- აცხადებს რაიონის პოლიციის უფროსი თამაზ მაჭავარიანი. ძალოვანების მიერ ჩატარებულ სპეც-ოპერაციას აბაზაშვილების ოჯახის წევრები აპროტესტებენ. მათი თქმით, კობა აბაზაშვილს ნარკოტიკული ნივთიერება ჩაუდეს. თავის დროზე აბაზაშვილი სასჯელს ყაჩაღობისთვის იხდიდა. ამჯერად მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, ძიებას კი საგამოძებო დეპარტამენტის გურჯაანის განყოფილება აწარმოებს.

24 საათი

თბილისის საკრებულოში ათი ვაკანსიაა

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა — ერთიანი ფრონტის" ხუთი წევრი — დავით ბერძენიშვილი, ზვიად ძიძიგური, კობა ბექაური, ბესო ჯუღელი და რომან გოცირიძე - საკრებულოს დეპუტატის უფლებამოსილებას მოიხსნის და საქმიანობას პარლამენტში გააგრძელებს.

დედაქალაქის საკრებულო ამავე მიზეზით დატოვეს ფრაქციათა კოალიციის „მრეწველები-ახლების" წევრებმა: მამუკა კაციტაძემ, ლევან გაჩეჩილაძემ, გია ნაცვლიშვილმა და მზია თორთლაძემ. შესაბამისად, ამჟამად თბილისის საკრებულოში ათი ვაკანსიაა.

ვინ ჩაენაცვლება ახლად არჩეულ პარლამენტარებს, ეს ცნობილი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ცენტრალური საარჩევნო კომისია პარტიული სიით მომდევნო პირების თბილისის საკრებულოს წევრობის უფლებამოსილებას ცნობს.

მედია-ნიუსი

ქუთაისის მმართველობა გაქცეულია

ნუგზარ ფალიანი თერთმეტი დღეა ქუთაისში არ უნახავთ.

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

და საკრებულოს თავმჯდომარე, მპოვნელი დასაჩუქრება!". რიგითი ქუთაისელები კი ხუმრობით აცხადებენ: **"ქალაქის მერს გადადგომისკენ მოუწოდეს, ის კი საერთოდ გადაიკარგაო."**

შექმნილ ვითარებაში განსაკუთრებით კურიზოულად გამოიყურება ის ფაქტი, რომ ქუთაისის მერს, ოპოზიცია ახლა უკვე უკან დაბრუნებას ეხვეწება. საქმე ის არის, რომ თუკი ფალიანი ქუთაისში არ დაბრუნდა და ერთი ვიცე მერი მაინც არ დანიშნა, იურიდიული კაზუსები წარმოიშვება, რაც ხელისუფლებას შემდგომი მოქმედებისკენ ხელ-ფეხს უბორკავს.

"ქუთაისის თვითმმართველობაში სრული ვაკუუმია. ფალიანმა ქუთაისის ხელისუფლებაში ვაკუუმი ხელოვნურად შექმნა. რის შემდეგ თვითონაც გაიქცა და 10 დღეა არავის უნახავს, მგონი იძებნება კიდეც. ამ ვითარებაში ქალაქისთვის საკრებულოს თავმჯდომარეს უნდა ეხელმძღვანელა, მაგრამ იგი თვითონაც იძებნება. საკრებულოს მდივანი კი იმდენად უსუსურია, რომ მას არ შეუძლია ქალაქი მართოს. თუ უახლოეს დღეებში არ გადაწყდა ქუთაისის მერის საკითხი, ქალაქში ქაოსი დაიწყება," - განაცხადა ჩვენთან საუბრისას არასამთავრობო ორგანიზაცია "საჩინოს" ხელმძღვანელმა ზურაბ ხურციძემ. "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" კოორდინატორი ბესო ბრეგაძე კი ქალაქის თვითმმართველობის არარსებობის პირობებში ბიუჯეტის უთავბოლო ხარჯვაზე ამახვილებს ყურადღებას. **"შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ქუთაისის მთავრობა მოსწრებაზეა და სხვადასხვა საბიუჯეტო მუხლებით გათვალისწინებულ ხარჯებს გადაჭარბებით ფლანგავენ. ამავე დროს, მოსახლეობა გაურკვეველ მდგომარეობაშია და ვერ გაუგიათ, ფლიანი ისევ მერია თუ არა, მისი მოქმედებებით ქალაქი ანარქიულ მდგომარეობამდეა მისული,"** - აცხადებს ბესო ბრეგაძე. პარალელურად არასამთავრობო ორგანიზაციები უკვე თანხმდებიან, რომ ქალაქში ჯერ დროებითი მმართველობა უნდა დაინიშნოს, შემდეგ კი რიგგარეშე არჩევნები.

"ეტყობა ნუგზარ ფალიანმა ცუდად აღიქვა ჩვენი მესიჯი "ნუგზარ წადი" და გადადგომის ნაცვლად, თბილისში წავიდა. ამჟამად იგი ცდილობს შეხვდეს პრეზიდენტს, პემიერ მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს და მათი მფარველობა მიიღოს. ბუნებრივია, ისინი ქუთაისის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს მხარს არ დაუჭერენ. პროკურატურის ხელთ კი არსებობს სერიოზული მასალები, რომელიც იძლევა საფუძველს იმისა, რომ ნუგზარ ფალიანის მიმართ აღიძრას სისხლის სამართლის საქმეები: თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი გულგრილობის მუხლით. აქედან გამომდინარე, არ გმოვრიცხავ, რომ ფალიანი თბილსში სწორედ ამის გამო იმალება. რაც მთავარია, მან თავისი უპასუხისმგებლობა კიდევ ერთხელ გამოაჩინა. მისთვის კიდევ ერთხელ ვიმეორებ: "ნუგზარ წადი" ნიშნავს იმას, რომ დაწეროს განცხადება და წავიდეს თანამდებობიდან,"** - აცხადებს "დემოკრატიის ხელშეწყობის ცენტრის" დირექტორი გიგა შუშანია.

დღეს პირველ საათზე ფალიანის წინააღმდეგ ქუთაისში მასშტაბური მიტინგია დანიშნული.

ბექა სისაური ქუთაისიდან

სკანდალი ქუთაისში

ქუთაისის საავიაციო ქარხნის თანამშრომლები პრეზიდენტ სააკაშვილის გადაწყვეტილებას ელოდებიან და, მათი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ფართომასშტაბიანი გაფიცვებით იმუქრებიან. საწარმოს კოლექტივი დირექციას ქარხნის კანონდარღვევით პრივატიზებასა და მისი ქონების ფარულად გაყიდვაში ადანაშაულებს, რაც, თანამშრომელთა აზრით, ქარხნის დახურვის და 200-მდე მუშაკის უმუშევრად დარჩენის რეალურ საშიშროებას ქმნის. მუშების უკმაყოფილებას, აგრეთვე, ხელფასების თვეობით გაუცემლობა იწვევს. თანამშრომელთა მოთხოვნები ადმინისტრაციას საწარმოს პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ჯემალ მირცხულავამ გააცნო, საპასუხოდ კი, მას სამსახურიდან გათავისუფლებით და ფიზიკური ლიკვიდაციით დაემუქრნენ. კოლექტივსა და ადმინისტრაციას შორის დავა უკვე ღია დაპირისპირებაში გადაიზარდა. პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარემ ირაკლი ტუღუშმა ქარხნის კოლექტივის წერილი საქართველოს პრეზიდენტს გადასცა. პროფკავშირები გენერალური პროკურატურისგან ავიაქარხნის პრივატიზების საკითხის შესწავლას მოითხოვენ და აცხადებენ, რომ ქუთაისის ქარხანა ერთ-ერთი რუსული ფირმის მიერ არის პრივატიზებული.

მედია-ნიუსი

ედუარდ შევარდნაძეს გაეროში ეპატიჟებიან

მასმედიის მიერ გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს ექს-პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს გაეროს გენერალური მდივნის, კოფი ანანის მრჩევლის პოსტი შეთავაზეს. ამ ცნობას ადასტურებს გაეროს გენმდივნის თანაშემწე, გაეროს ბავშვთა ფონდის ("იუნისეფი") აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე კულ ჩანდრა გაუტამი, რომელიც ამჟამად თბილისში იმყოფება.

"გაეროს სხვადასხვა კომიტეტებში ძალიან არის საჭირო შევარდნაძისნაირი ავტორიტეტული და გამოცდილი ხალხი. გაერო-ში მოხარული იქნებიან, თუ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი დათანხმდება ჩვენს წინადადებას", - განაცხადა კულ ჩანდრა გაუტამმა.

როგორც ჩანს, ასეც მოხდება და ედუარდ შევარდნაძე შეთავაზებას მიიღებს. **"მე დიდ პატივს ვცემ კოფი ანანს. თუ მას ჩემი რჩევები სჭირდება, მე მზად ვარ გავაკეთო ეს, როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით",** - აღნიშნა საქართველოს ექსპრეზიდენტმა. მანვე დასძინა, რომ **"მრჩევლის მოვალეობის შესრულება შეუძლია როგორც საქართველოში, ისე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში ყოფნის პირობებში".**

აღნიშნულ ცნობას რუსული საინფორმაციო საშუალებები "საკმაოდ უცნაურს" უწოდებენ. მასთან დაკავშირებით, ისინი იხსენებენ, რომ აპრილის დასაწყისში საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა გაერო-ს გენერალური მდივნის სახელზე გააგზავნა მიმართვა მოთხოვნით, შეიქმნას საერთაშორისო ტრიბუნალი შევარდნაძის მოღვაწეობის შესასწავლად. რუსული მასმედია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ერთ გამონათქვამსაც უსვამს ხაზს: **"ყოფილი პრეზიდენტის ოჯახი ყველაზე მდიდარია ქვეყანაში და ამ სიმდიდრის წყაროები გულმოდგინედ შესწავლას საჭიროებს".**

24 საათი

მოკლედ

აფხაზები საარჩევნო კანონმდებლობას ცვლიან

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პარლამენტმა არჩევნების შესახებ ახალ კანონპროექტზე მუშაობა უკვე დაიწყო.

სხვა ცვლილებებთან ერთად, პროექტი იმ მუხლის გაუქმებასაც ითვალისწინებს, რომელიც ბოლო ხუთი წლის მანძილზე აფხაზეთის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ პირებს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას უკრძალავს.

ამ ცვლილებას განსაკუთრებით ლობირებს მოძრაობა "ერთიანი აფხაზეთი", რომლის დამფუძნებელთა შორის, დე ფაქტო ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბასა და კომპანია "ჩერნომორენერგოს" ხელმძღვანელ სერგეი ბაღაფშთან ერთად, არის სოხუმის ყოფილი მერი, ამჟამად მოსკოვში მცხოვრები ნოდარ ხაშბა.

ხაშბა პრეზიდენტობის სავარაუდო კანიდიდატია, თუმცა მას ბოლო რვა წელი რუსეთში ცხოვრება სამართლებრივ ბარიერს უქმნის.

ამ ცვლილებას მოწინაღმდეგეები ჰყავს თავად მოძრაობის წევრებს შორისაც. არძინბას ხელისუფლების ყოფილი იუსტიციის მინისტრი ბათალ ტაბაღუა მიიჩნევს, რომ ამან, შესაძლოა, გამოუსწორებელი შედეგები გამოიღოს.

"ჩვენი რესპუბლიკის საერთაშორისო პოზიციები ჯერ კიდევ მყარი არ არის და ასეთ დროს, შესაძლებელია, პრეზიდენტობა აფხაზური დიასპორის იმ წარმომადგენელმაც მოისურვოს, რომელსაც მსოფლიოში ცნობილი საერთაშორისო ფონდი უჭერს მხარს", - მიაჩნია ტაბაღუას.

ასეა თუ ისე, დაახლოებით ერთ თვეში აფხაზურმა პარლამენტმა საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი უნდა განსაზღვროს. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილების მიღების საკითხი მანამდე უნდა გადაწყდეს.

მედია-ნიუსი

თბილისიდან დაბრუნებულ აფხაზეთის მოქალაქეებს სამშობლოს ღალატში ადანაშაულებენ

აფხაზეთის რესპუბლიკური პარტია "აფსნი" აფხაზეთში მცხოვრებ 6 მოქალაქეს და 12 ბავშვს, რომლებიც, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინტიტუტის ინიციატივითა და ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის ფინანსური დახმარებით, 22 მარტიდან 1 აპრილის ჩათვლით, ბაკურიანსა და თბილისში იმყოფებოდნენ, სამშობლოს ღალატში ადანაშაულებს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, მათ წინააღმდეგ, ვინც თბილისში იმყოფებოდა, აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ დაუფარავი ზეწოლის პოლიტიკა ხორციელდება.

აფხაზურმა პარლამენტმა აფხაზეთის მოქალაქეებისა და მათი შვილების საქართველოში "არალეგალურად" ყოფნის შესახებ იმსჯელა და სოხუმის ხელისუფლების უშიშროების სამსახურისგან განმარტებები მოითხოვა.

აფხაზური უშიშროების ინფორმაციით, "თბილისში ყოფნისას, აფხაზეთის მოქალაქეები პრეზიდენტ სააკაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას, რუსეთის მიერ ძებნილ ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილს შეხვდნენ და მათგან ფასიანი საჩუქრები მიიღეს".

რესპუბლიკური პარტია ამ ფაქტს "ქართული პოლიტიკური ელიტის მხრიდან ქართულ-აფხაზური ურთიერთობებისადმი გულუბრყვილო და გამარტივებული შეხედულებებითა და მიდგომებით ხსნის".

რესპუბლიკური პარტია საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთთან "საეჭვო თამაშებისთვის თავის დანებებას" და "საქართველოსა და აფხაზეთს შორის, როგორც ორ თანაბარუფლებიან სახელმწიფოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელმოწერისკენ" მოუწოდებს.

ინტერ-პრესი

პარლამენტართა ნაწილი ნარკოშემოწმებაზე 20 ლარის გადახდას აპროტესტებს

საქართველოს ახალი მოწვევის პარლამენტის წევრთა ნარკოლოგიური შემოწმების შედეგები ორ დღეში გახდება ცნობილი. შემოწმება პარლამენტართა დიდმა ნაწილმა უკვე გაიარა. აქტიურობის მიუხედავად, პარლამენტის ყველა წევრის შემოწმებას, სავარაუდოდ, ორი დღე კიდევ დასჭირდება.

კანონით გათვალისწინებულ ნარკოლოგიურ შემოწმებაზე პარლამენტარებს 20-20 ლარს ახდევინებენ, რაც ზოგიერთმა მათგანმა გააპროტესტა. ისინი ამ შემოწმების სახელმწიფოს ხარჯზე ჩატარებას მოითხოვენ.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ გიგი წერეთლის თქმით, პარლამენტარების მოთხოვნა უსამართლოა: ისინი საკმაოდ მაღალანაზღაურებადი კატეგორიის წარმომადგენლები არიან და მათ 20 ლარის გადახდა არ გაუჭირდებათ.

მედია-ნიუსი

საქართველოს მთავრობაში, შესაძლოა, ოთხი ადგილი გათავისუფლდეს

დაუზუსტებელი ინფორმაციით, საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში, უახლოს ხანში, სერიოზული საკადრო ცვლილებებია მოსალოდნელი.

თითქმის ეჭვს აღარ იწვევს, რომ ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი ირაკლი რეხვიაშვილი თანამდებობას დატოვებს.

სავარაუდოდ, მის ბედს გაიზიარებენ ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრი თამარ სულუხია, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი თამარ ლებანიძე. საუბარია სათბობ-ენერგეტიკის მინისტრ ნიკა გილაურის ან უშიშროების მინისტრის ზურაბ ადეიშვილის გათავისუფლებაზეც.

ამის სავარაუდო მიზეზად პრეზიდენტ სააკაშვილის უკმაყოფილება სახელდება.

სახელმწიფო კანცელარიაში ამ ინფორმაციას ჯერ არ ადასტურებენ.

მედია-ნიუსი

ორი სიტყვით

თბილისი. ცნობილი მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილი გაკვირვებულია ცენტრალური ხელისუფლების პოზიციით, რომელიც ბათუმში ქალთა შორის ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებაზე შესაძლო უარს ეხება. როგორც ნონა გაფრინდაშვილმა განაცხადა, თუ ბათუმში აღნიშნული ჩემპიონატი არ გაიმართება, ეს არა აჭარის, არამედ ცენტრალური ხელისუფლების იმიჯზე უარყოფითად იმოქმედებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

მოსკოვი. რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარემ სერგეი მირონოვმა დსთ-ს ქვეყნების პარლამენტარებს მოუწოდა, დააჩქარონ კონვენციის რატიფიცირების პროცედურები, რომელიც დსთ-ს ქვეყნებში დემოკრატიული არჩევნების სტანდარტებსა და ამომრჩეველთა უფლებების დაცვას ითვალისწინებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ცხინვალი. სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკა თავდაცვის მინისტრის გარეშეა დარჩენილია. 40 წლის ვიცე-პოლკოვნიკი ზელიმხან ფულგაროვი, რომელიც თავდაცვის უწყების ხელმძღვანელად კოკოევის მთავრობაში წელიწადნახევრის წინათ დაინიშნა, გულის შეტევით გარდაიცვალა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ხელისუფლება ახალი ინიციატივით გამოდის - ამიერიდან ყველა გამგეობის შენობაზე, საქართველოს სახელმწიფო დროშასთან ერთად, ევროკავშირის დროშაც აღიმართება. ხელისუფლების განმარტებით, სახელმწიფო დაწესებულებების შენობების თავზე ამ დროშის აღმართვა საქართველოსა და ევროკავშირის ერთიან პოლიტიკაზე მიუთითებს. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხაძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ძირითადი ტენდენცია

სახელმწიფო ვერ დაიღლება!

პირველი გვერდიდან

ამჟამინდელი კონფლიქტიც არის კონფლიქტი უპირველესად რესურსებზე კონტროლისათვის. ცენტრალურ ხელისუფლებას (ქართულ სახელმწიფოს), ამ მხრივ, რასაკვირველია, თავისი პრეროგატივა და კანონიერი პრეტენზია აქვს, თუმცა აბაშიძის რეჟიმს კონტროლი არ ეთმობა, რაკი მისი ცხოველქმედებაც მთლიანად მას ეფუძნება და მის გარეშე იგი ნელ-ნელა შიგნიდან გამოიფიტება, რისი ნიშნებიც უკვე არის.

ამრიგად, ინტერესთა კონფლიქტის არსი გასაგებია. მხარეებმა განვლეს, აგრეთვე, "უკანმოუბრუნებლობის წერტილი", რის შემდეგაც სტრატეგიული კომპრომისი შეუძლებელი ხდება. ეს მხოლოდ დაადასტურა ქართველი ბიზნესმენების ინიციატივამ, რომელთა მისია, ჯერჯერობით, ინფორმაციის გაცვლით და პრეტენზიების მოსმენით ამოიწურა.

ქართულ ბიზნესს ამჟამად არ გააჩნია ზეგავლენის ისეთი ბერკეტები, რომ მას შეეძლოს, აიძულოს სახელისუფლებო სუბიექტები, მიიღონ მათთვის მძიმე გადაწყვეტილება.

განმეორებითი არჩევნები ჩაიშალა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აჭარაში არ შეუშვეს, გრძელდება ჟურნალისტების ცემა, კამერების დამტვრევა, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების თარეში და ასე შემდეგ.

ეს ყოველივე ბუნებრივად ღლის საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც იწყებს ყრუ და ნაცნობ გმინვას: "როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე", "ხომ უნდა ჰქონდეს ყოველივეს ბოლო", "გადაჭრან ბოლოს და ბოლოს ეს პრობლემა", "სანამ უნდა ვიცხოვროთ სტრესის ვითარებაში" და ასე შემდეგ.

რეაქცია გასაგებია, ვინაიდან ადამიანებს მშვიდი და პროგნოზირებადი ცხოვრება სურთ. მაგრამ როგორი ძნელი მოსასმენი და აღსაქმელიც არ უნდა იყოს, თვით კითხვის ასე დასმაც კი სრულიად უსაგნოა იმგვარ სახელმწიფოში, როგორშიც ვცხოვრობთ.

ჩვენ, ალბათ, უნდა შევურიგდეთ იმ აზრს, რომ საქართველო არ არის და ალბათ კიდევ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში არ იქნება შვეიცარიასავით "აწყობილი" და საათივით გამართული მექანიზმი – შესაბამისი ცხოვრების დონითა და გარემო-პირობებით თავისი მოქალაქეებისათვის.

ამდენად, ქართული სახელმწიფოსათვის ეს დაძაბულობა, მუდმივი ინტერესთა კონფლიქტი განვითარების დამაბრკოლებელ ფაქტორებთან (აჭარის რეჟიმი ერთ-ერთი მათგანია), შესაბამისი საზოგადოებრივი სტრესი და ამ საზოგადოების თანამდევი არც თუ იოლი ვალდებულებანი – გარდაუვალი და აუცილებელია.

ამას, უბრალოდ, ვერ ავიცილებთ თავიდან და ვერც ხელისუფლებას მოვთხოვთ, მკაფიოდ გვითხრას, "როდის მოეღება დაძაბულობას ბოლო, როდის დამშვიდდება ქვეყანა".

საზოგადოებისაგან განსხვავებით, სახელმწიფო ვერ დაიღლება და ვერ შეწყვეტს მუდმივ ძალისხმევას თავისი ინტერესების დასაცავად. უფრო მეტიც: სიმშვიდე და სტაბილურობა იმ ვითარებაში, როცა სახელმწიფოს სტრატეგიული პრობლემები აქვს გადასაწყვეტი, სწორედაც ყველაზე საშიში, მომაკვდინებელი სიმპტომი შეიძლება იყოს.

რევოლუციის ავტორები მშვიდ ცხოვრებას არ შეგვპირებიან. და ასეთი ცხოვრება არც გვექნება უახლოესი წლებისა და ათწლეულების განმავლობაში. როგორ გამოვლინდება და რაში გამოიხატება დაძაბულობა, მომავალი გვიჩვენებს. არც ერთი სცენარი გამორიცხული არ არის, რაკი სახელმწიფო ცდილობს, განვითარდეს და მის წინაშე არსებული პრობლემები გადაჭრას.

ბევრი მიმართულებით, დაძაბულობა და დაპირისპირება (როგორც ინტერესთა ღრმა კონფლიქტის გამოხატულება) უდავოდ პერმანენტული იქნება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი თაობისთვის მაინც.

ამას უნდა შევურიგდეთ და ვცადოთ, სახელმწიფომ თანდათან დააგროვოს რესურსები სტრატეგიული პრობლემების გადასაჭრელად – ჯერ "აჭარის რეჟიმის", შემდეგ, მასზე დაყრდნობით, ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესების, ეკონომიკური საზღვრების კონტროლის, სამხედრო პოტენციალის ზრდის, აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრის და ასე შემდეგ.

სანამ სახელმწიფო არსებობს, მისი ფუნქცია სწორედ ამგვარი პრობლემების გადაჭრაა და არა სიმშვიდისა და უზრუნველობის დამკვიდრება, რაც ჩვენს პირობებში თანდათანობითი კვდომის გამოვლინება თუ იქნება.

პრეზიდენტი სააკაშვილი ამ მხრივ ნამდვილად არ არის შემთხვევითი ფიგურა. ისევე, როგორც მთლიანად ახალი ხელისუფლება. "მშვიდ ცხოვრებას" ისინი ჩვენ არასდროს დაგვპირებიან (ვიმეორებ) და ვერც დაგვპირდებოდნენ.

მარტონი პრეზიდენტთან

მთავრობის ბოლო სხდომაზე, რომელიც, პრემიერის არყოფნის პირობებში, პრეზიდენტს მიჰყავდა, მიხეილ სააკაშვილმა იხუმრა: "ვგავართ პერსონაჟებს ფილმიდან "მარტო სახლში" და რაც გვინდა, შეგვიძლია ის გავაკეთოთო".

ამ ხუმრობას მედიამ საკმაოდ დიდი ყურადღება მიაქცია და სავსებით გამართლებულადაც, ვინაიდან აქ მხოლოდ ხუმრობასთან არ გვქონდა საქმე – ეს იყო არატრადიციული ფორმით გამოვლენილი კოლეგიურობა პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას მიმართ და მიხეილ სააკაშვილის ხუმრობამ ამ მხრივ ბევრად მეტი გამოამჟღავნა მათი ურთიერთობების შესახებ, ვიდრე ოფიციალური განცხადებებით შეიძლებოდა ამის გაკეთება.

მთლიანობაში, საქართველოს მთავრობის სხდომები "ოპტიმისტური ტრაგედიის" შთაბეჭდილებას ტოვებს. პრობლემათა სიმრავლის მიუხედავად, მინისტრების აბსოლუტური უმრავლესობა (განსაკუთრებით შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრები), თუ შეიძლება ასე ითქვას, ენერგიით "ბრდღვინავენ" და ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით ღრმა რეფორმებს ახორციელებენ.

ზურაბ ნოღაიდელის მხრიდან ერთობ მოულოდნელიც კი იყო თანხმობა ინდივიდუალური მეწარმეების გადასახადებისაგან გათავისუფლების შესახებ, რაც მინისტრთა კაბინეტის სრულმა შემადგენლობამ ამცნო "პირმზის" მუშაკებს. ამ საცოდავებმა კი უმალვე ამოიცნეს სიახლის არსი: სახელმწიფომ კი გაათავისუფლა ისინი გადასახადისაგან, მაგრამ ვერავითარი ძალა, სამწუხაროდ, ვერ გაათავისუფლებს გადასახადისგან, რასაც შენობის მეპატრონეს უხდიან ფართის იჯარისათვის. სწორედ ეს იყო მათთვის ძირითადი გადასახადი და არა დამატებული ღირებულებისა თუ სამეწარმეო.

მიუხედავად ამისა, მთავრობის აქცია (ამჯერად პირადად პრეზიდენტის ხელმძღვანელობით განხორციელებული) წარმატებულად უნდა ჩაითვალოს, რაკი დადასტურდა მეწარმის გადასახადისაგან გათავისუფლების პრეცედენტი.

აქ ნამდვილად არსებობდა გარკვეული შეთანხმება პრეზიდენტსა და პრემიერს შორის და ამგვარი აქციები მომავალშიც უეჭველად განხორციელდება. ამრიგად, "მარტომ სახლში", მიხეილ სააკაშვილმა, მთავრობის წევრებთან ერთად, მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელის დაუსწრებლად, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო და ამით ანალოგიური აქციებისათვის "მთავრობის სახლის პატრონს" (პრემიერ-მინისტრს) ნიადაგიც შეუმზადა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ "სახლში" დაბრუნებული პრემიერი მინისტრთა კაბინეტს კვლავინდებურად მშვიდად წარუძღვება, რაკი მას საკუთარი სტილი აქვს, რომელიც არ გულისხმობს "ღიპიანი მინისტრების" საწყალობელ ძუნძულს თბილისის ქუჩებში.

სამაგიეროდ ითვალისწინებს დრო და დრო გამსვლელი სხდომების ჩატარებას რეგიონებში. მიუხედავად ამისა, მთლიანობაში, მთავრობის ახალგაზრდული მობილურობა, ჯერჯერობით, დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს, ხოლო კონკრეტული საქმე და "მარგი ქმედების კოეფიციენტი" პირველად გამოვლინდება 2004 წლის ბიუჯეტის წარდგენისას პარლამენტში.

სოფიკო ჩხაიძის სვეტი

რა ქნას ვეველამ?

შაბათს გენერალურ პროკურატურაში კვლავაც სერიოზული ბიზნესმენი, კვლავაც სერიოზული - რამდენიმე ასეულათასიანი გადასახადის დამალვის გამო დასაკითხად დაიბარეს. კვლავაც გაიხარეს პენსიონერებმა, მასწავლებლებმა და საბიუჯეტო დაფინანსების იმედად მყოფი იმ ორგანიზაციების თანამშრომლებმა, რომლებსაც ხელისუფლება ბიუჯეტის მაზარალებელთაგან ამოღებული ყოველი თეთრის მათ სასარგებლოდ გამოყენებას ჰპირდება.

აგარაში მდებარე სააქციო საზოგადოება "ქართული შაქრის" ყოფილი გენერალური დირექტორი, ბლოკ "მრეწველები-ახლების" სიის მე-13 ნომერი თენგიზ გოგიჩაშვილი, რომელსაც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, გენერალური პროკურატურის პირველივე მითითებისთანავე, დეპუტატობის კანდიდატის იმუნიტეტი სასწრაფოდ მოუხსნა, შაბათსვე შინ დაბრუნდა. მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურას იგი ბრალდებულადაც კი არ უცვნია, გამოძიების მტკიცებით, გოგიჩაშვილი სადავო თანხის – 134 ათასი ლარის გადახდას დათანხმდა.

ზემოთ თქვენ მიერ წაკითხული სულ რაღაც ერთი აბზაცი, რომელიც შაბათს მომხდარი ფაქტების უტყუარი კონსტატირებაა, სულ ცოტა, სამ შეკითხვას ბადებს: რატომ წარადგინა პროკურატურამ გოგიჩაშვილისთვის იმუნიტეტის მოხსნის მოთხოვნა ცესკო-ში, როცა მთავრობის მიერ გამოცემული დადგენილების თანახმად, ფინანსური ამნისტია დამალული გადასახადების აღიარების ვადას ბიზნესმენებს ივნისამდე აძლევს? რა მოტივით დაეთანხმა ცესკო დეპუტატობის კანდიდატისთვის იმუნიტეტის მოხსნას პროკურატურიდან მიღებული არაფრისმთქმელი დოკუმენტის საფუძველზე, თანაც ისე, რომ საკითხში გარკვევა არც უცდია? რატომ დათანხმდა თავად თენგიზ გოგიჩაშვილი სადავო თანხის გადახდას ისე, რომ გამოძიებას ჯერ მისთვის ბრალის წარდგენის საფუძველიც კი არ გააჩნია?

კიდევ ერთ ტენდენციაზე გავამახვილებ ყურადღებას – პროკურატურის ხელში ყოველი მორიგი "მსხვერპლის" ჩავარდნა, ნახევარ საქართველოს იმედით განაწყობს და, შესაბამისად, ახარებს კიდეც – ხუმრობა საქმე ხომ არ არის, რაც მეტს დაიჭერენ და რაც მეტი ექნება თავის დროზე მოპარული, მით უფრო გარანტირებულია მორიგი თვის ხელფასისა თუ პენსიის დარიგება. საზოგადოების ერთი ნაწილის ამგვარი "ანგარებითი" დამოკიდებულება კანონიერების დაცვის მიმართ, ალბათ, სხვა წერილის თემა იქნებოდა, ხელისუფლება ამით ხალხის გულისმოგებას რომ არ ცდილობდეს. მაგრამ, თუ საკითხს სხვა კუთხით შევხედავთ, საქართველოს პრეზიდენტის პირობა - ქვეყნის თითოეული მოქალაქის პრეზიდენტი ვარო - თუ მხოლოდ გაჭირვებული ფენის მფარველობას გულისხმობს, ყოფილი ხელისუფლებისგან განსხვავებით, მეორე უკიდურესობაში გადავარდნაა. არ მინდა, ვინმემ იფიქროს, თითქოს, მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელთა პოზიციებიდან ვსაუბრობ. პირიქით, შესაძლოა, ეს ჟურნალისტებს შორის ცუდ ტონადაც კი ითვლებოდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ალბათ, უფრო ხელისუფლების ინტერესები მალაპარაკებს; ის ინტერესები, რომელიც საბოლოო ჯამში ისევ ქვეყანაზე აისახება. კერძოდ, თუ ასე გაგრძელდა, ხელისუფლება, რომლის პირველი და უმთავრესი კაპიტალი, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, მის მიმართ არსებული ნდობის ფაქტორია, სწორედ ამ ნდობის დაკარგვის საშიშროების წინაშე დადგება.

არც ისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მთავრობამ ფინანსური ამნისტიის შესახებ დადგენილება მიიღო. ეს იდეა საქართველოს პრეზიდენტს ეკუთვნის და მისი განხორციელების ძირითად მიზნად ბიზნესის "გათეთრება" შეიძლება ჩაითვალოს. ამ თემაზე ბევრი ითქვა და დაიწერა, ამიტომ მხოლოდ მოკლედ შეგახსენებთ მის ძირითად დებულებებს. ფინანსურ ამნისტიაზე ლაპარაკის დაწყებით, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ოფიციალურად აღიარა ის, რაც აქამდე ყველამ, მით უმეტეს, ბიზნესის სფეროში მოღვაწე ადამიანებმა ისედაც კარგად იცოდნენ. კერძოდ, რომ საქართველოში, ცხადია, ყოფილი ხელისუფლების მმართველობის პირობებში, საკუთარი ბიზნესის გადასარჩენად მეწარმე იძულებული იყო, ბიუჯეტისთვის გადასახადები დაემალა, თუმცა კი მათ მიერ დამალული ამ გადასახადების დიდი ნაწილი სხვა მიმართულებით – სხვადასხვა ჩინოვნიკთა ჯიბეებში მიდიოდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ხელისუფლებამ ბიზნესმენებს შემდგომი ურთიერთობის ასეთი ფორმა შესთავაზა: თუ ივნისის თვემდე კერძო ორგანიზაციები, ფინანსური დეკლარაციის შევსებისას, ბიუჯეტისთვის 2004 წლამდე დამალული გადასახადების ოდენობას მიუთითებენ, ისინი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებიან. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ გადასახადების ნაწილს მეწარმეები, მართალია, "შეცვლილი მისამართით", მაგრამ მაინც იხდიდნენ, ხელისუფლებამ მათ ერთ მილიონამდე დამალული გადასახადის პატიება აღუთქვა. მილიონს ზემოთ არსებული დავალიანების 10 პროცენტი 2004 წელს უნდა დაბრუნდეს, დანარჩენის რესტრუქტურიზაცია კი 15 წელზე გათვლით ხდება. ეს პირობები არ ვრცელდება მათზე, ვისაც დამალულ გადასახადებს სამართალდამცველები აღმოუჩენენ. მაგრამ საქმეც ის არის, რომ მთავრობის დადგენილებაში არაფერი წერია იმის შესახებ, ვადის გასვლამდე, ანუ ივნისამდე, როგორ უნდა მოიქცნენ სამართალდამცველი ორგანოები. ასე რომ, კანონით მათ ვერაფერზე მოედავები, მაგრამ, დამეთანხმებით, დაუწერელი კანონებიც არსებობს.

სხვათა შორის, ჩვენი ინფორმაციით, გამოძიებას "ნაკოლი" თავად თენგიზ გოგიჩაშვილმა მისცა - იგი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც თებერვალშივე გამოეხმაურა ფინანსური ამნისტიის პირობებს და 3-მილიონიანი საბიუჯეტო დავალიანების არსებობა აღიარა. გუშინწინ კი გენერალურმა პროკურატურამ იგი, სულ რაღაც, 134 ათასი ლარის დამალვაში ცნო ეჭვმიტანილად. ესეც პასუხი იმაზე, თუ რატომ დათანხმდა გუშინდელი დღიდან უკვე საქართველოს პარლამენტის, მართალია, იმუნიტეტმოხსნილი, მაგრამ მაინც დეპუტატი თენგიზ გოგიჩაშვილი სადავო თანხის გადახდას.

ცალკე საკითხია ის, რომ ხელისუფლება ამგვარი მოქმედებით ბიზნესმენთა ნდობას კარგავს და მათ დამალული გადასახადების არაღიარებისკენ უბიძგებს; და მეორე – რა საჭიროა სხვადასხვა ორგანოების, ამ შემთხვევაში, ცესკო-ს სათავეში ხელმძღვანელობის ცვლა, თუ ისინი მაინც ძველი სტილითა და მეთოდებით იმუშავებენ და, ძველი იქნება თუ ახალი, ხელისუფლების წარმომადგენელთა შეკვეთებს უსიტყვოდ და უყოყმანოდ შეასრულებენ? ყველა გადაწყვეტილების მიღებას თავისი პროცედურა აქვს, შაბათს, ცესკო-ში გენერალური პროკურატურის მოთხოვნის დაკმაყოფილებისას არც ერთი არ დაცულა და, თენგიზ გოგიჩაშვილს, რომელსაც საგამოძიებო მოქმედებისთვის თავის არიდება და იმუნიტეტისთვის ამოფარება არც უფიქრია, მყისიერად მოუხსნეს ჯერ კიდევ დეპუტატობის კანდიდატის იმუნიტეტი.

დაბოლოს, ვინ ეტყვის ბიზნესმენებს, როგორ მოიქცნენ, როცა ხელისუფლება მათ დამალული გადასახადების აღიარებისკენ მოუწოდებს და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას ჰპირდება, ამასობაში, სამართალდამცველები მათ დამალული გადასახადების აღმოჩენისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებით ემუქრებიან?!

საქართველო შავი ფულის "გამთეთრებელთა" "შავ სიაში" შესვლას გადაურჩა

ამ რამდენიმე დღის წინათ ფინანსური ქმედებების სპეციალურმა ჯგუფმა – FATF, იმ ახალი სახელმწიფოების სია გამოაქვეყნა, რომლებთანაც ფინანსური ურთიერთობები განვითარებულ ქვეყნებს კატეგორიულად აეკრძალათ. FATF-ის "შავ სიაში" დასახელებულ ქვეყნებს შორის არის: ინდონეზია, ფილიპინები, ნიგერია, ბირმა, გვატემალა, კუკის კუნძულები და სხვა ნაკლებად ცნობილი სახელმწიფოები. ასეთი მკაცრი გადაწყვეტილება საერთაშორისო ორგანიზაციებმა იმ მიზეზით მიიღეს, რომ ხსენებულმა ქვეყნებმა ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობის, ტერორიზმისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლასა და ამ გზით მიღებული ფულის "გათეთრების" საწინააღმდეგო პროგრამებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

ეთერ მამულაშვილი

საერთაშორისო ორგანიზაციების ასეთი ვერდიქტი ამ ქვეყნებისათვის ფინანსური ბლოკადის ტოლფასია, რომ არაფერი ვთქვათ თავად ამ სახელმწიფოების პრესტიჟულობაზე საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში.

მართალია, ამ სიაში მოხვედრას საქართველო ამჯერად იოლად გადაურჩა, თუმცა ექსპერტების შეფასებით, ქვეყანაში ფულის "გათეთრების" საშიშროება დღესაც აქტუალურია. ამას ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი ნიკა გეგუჭაძეც ადასტურებს. შეგახსენებთ, რომ ხსენებული სამსახური გასული წლის ზაფხულში, სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტების დაჟინებული მოთხოვნით, მაშინდელი პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე შეიქმნა. ამ სამსახურის მთავარი მისია შესაბამისი კანონით განისაზღვრა - უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა, თუმცა, როგორც სამსახურის უფროსი ნიკა გეგუჭაძე ირწმუნება, დღეს მოქმედი კანონმდებლობა ფულის "გამთეთრებლებს" გარკვეული ლავირების კარგ საშუალებას აძლევს. ამას სამსახურში შესული ინფორმაციების რაოდენობაც ადასტურებს. დღემდე ფინანსური მონიტორინგის სამსახურში მხოლოდ სამოცდაათამდე

ფინანსური მონიტორინგის სამსახურში სამოცდაათამდე შეტყობინებამ მოიყარა თავი.

შეტყობინებამ მოიყარა თავი.

"უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" კანონის რამდენიმე მუხლი, რომლიც წინა მოწვევის პარლამენტმა მიიღო, ექსპერტების შეფასებით, სხვადასხვა გვარ ინტერპრეტაციას და გაუგებრობას იწვევდა. მართალია, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა იმავე პარლამენტმა წელს თებერვალში მოახერხა, მაგრამ ის ძალაში მხოლოდ 1 სექტემბრიდან შევა. ამიტომაც ნიკა გეგუჭაძე ვარაუდობს, რომ მის სამსახურში ინფორმაციის მოზღვავება სწორედ ამ დროიდან დაიწყება.

კანონში ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება მეხუთე მუხლს ეხება, რომელიც ფულის "გათეთრების" მოყვარულებს 1 სექტემბრიდან მნიშვნელოვან გზას მოუჭრის. ამ დროიდან ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ყველა იმ გარიგების შესახებ მიეწოდება ინფორმაცია, რომლის ოდენობაც 30 ათას ლარს აჭარბებს, მიუხედავად მისი საეჭვოებისა. ამავე ცვლილების თანახმად, მონიტორინგის განმახორციელებელ პირს ევალება, რომ ნებისმიერი საეჭვო გარიგების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, მიუხედავად ამ გარიგების ღირებულებისა. ცნობისათვის, ძველი კანონით ხსენებულ სამსახურს ინფორმაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ეგზავნება, თუ გარიგების თანხა 20.000 ლარს (40.000 ლარს – უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში) აჭარბებს.

კანონის თანახმად, გეგუჭაძის სამსახურში სხვადასხვა გარიგებათა შესახებ ინფორმაციები იგზავნება, საბანკო დაწესებულებებიდან, სადაზღვევო, სანოტარო, საბროკერო კომპანიებიდან, სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებული ორგანიზაციებიდან, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებიდან და ვალუტის გადამცვლელი პუნქტებიდან. მიღებული ინფორმაციის სათანადო დამუშავებისა და გარკვეული ანალიზის შემდეგ, საკმარისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მასალები პროკურატურის სპეციალურ სამსახურს შემდგომი საგამოძიებო ქმედებების ჩასატარებლად გადაეგზავნება. "24 საათთან" საუბრის დროს გეგუჭაძემ განაცხადა, რომ მისი სამსახური ამჟამად შემოსული ინფორმაციების ანალიზის პროცესშია და უახლოეს მომავალში რამდენიმე მათგანს სამართალდამცავებს გადასცემს.

მისივე ინფორმაციით, ამ დროისათვის ყველაზე მეტი ინფორმაცია თბილისის ტერიტორიაზე მდებარე საბანკო დაწესებულებებიდან არის შემოსული. ფინანსური მონიტორინგის სამსახურში აჭარიდან შესაბამისი შეტყობინებების გაგზავნის პროცესი მას შემდეგ შეჩერდა, როცა ეროვნულმა ბანკმა ბათუმში "საზღვაო ბანკს" ლიცენზია ჩამოართვა.

"საქართველოს ფოსტის" თანამშრომლები ხელმძღვანელობას კორუფციაში ადანაშაულებენ

შპს "საქართველოს ფოსტის" თანამშრომლები კომპანიის ხელმძღვანელებს - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ნესტორ ხურცილავას, მის მოადგილეს ილია გვარიშვილს, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს აკაკი მხეიძეს და ექსპლუატაციის დირექტორს დავით დარახველიძეს კორუფციულ საქმიანობასა და "საქართველოს ფოსტის" მართვაში შეგნებულად განხორციელებულ არაკანონიერ ქმედებებში ადანაშაულებენ.

ნინო ნარჩემაშვილი

ინფორმაციისათვის - შპს "საქართველოს ფოსტა" სახელმწიფო სადისტრიბუციო კომპანიას წარმოადგენს და ყველა სახელმწიფოთაშორისი ოფიციალური დოკუმენტაცია მისი მეშვეობით ვრცელდება როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. საქართველოს მასშტაბით, მას 120 საფოსტო განყოფილების ქსელი აქვს, სადაც 3500 ადამიანია დასაქმებული. "საქართველოს ფოსტის" თანამშრომლები აპროტესტებენ კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას შრომითი კოლექტივის 60 პროცენტით შემცირების შესახებ, მეტიც, შპს-ს მარკეტინგის განყოფილების უფროსის მოადგილის მალხაზ ფერაძის განცხადებით, **"სამმართველო აპარატის მუშაკთა მიზანია შპს "საქართველოს ფოსტის" კორუმპირებული ხელმძღვანელობის გადაყენება და მათ წინააღმდეგ არსებული მამხილებელი მასალების საჯაროდ გამოქვეყნება".**

მისივე თქმით, "საქართველოს ფოსტის" ხელმძღვანელობის მიერ წლების მანძილზე შეგნებულად ხდებოდა ორი მილიონი ლარის ოდენობის სახელფასო და ერთი მილიონი ლარის ოდენობის სახელშეკრულებო დავალიანების დაგროვება. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შპს-ს ხელმძღვანელობა ექვსჯერ შეიცვალა. თითოეულმა მათგანმა საკუთარი რეორგანიზაცია ჩაატარა, რამაც ქაოტური საკადრო ცვლილებები გამოიწვია.

რაც შეეხება "საქართველოს ფოსტის" კოლექტივის მიერ ხელმძღვანელობის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს, მათი განცხადებით, ქონების მართვის საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის ერნსტ ენდ იანგის მიერ საქართველოს ფოსტის ხელმძღვანელობაში ისეთი კადრები დაინიშნა, რომლებმაც წლების მანძილზე, თავიანთი უნიათო თუ მიზანმიმართული სამეურნეო საქმიანობით, საფოსტო დარგის ქონება გაანიავეს და გაყიდეს.

დღევანდელი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ნესტორ ხურცილავას უშუალო ინიციატივით (მისი გენერალურ დირექტორად ყოფნის პერიოდში), გაფორმდა საქართველოს ფოსტის კუთვნილი 12 (45 - ტონიანი) საფოსტო ვაგონის ჩალის ფასად (2674 ლარად) გაყიდვის ხელშეკრულება. თანამდებობიდან გადაყენეს საფოსტო-საექსპლუატაციო ბლანკების დაბეჭდვისა და ფილიალებზე გაწერის უშუალო შემსრულებლები, რომელთა მოღვაწეობის დროსაც დანაკლისმა 39174.9 ლარი შეადგინა, მაგრამ ექსპლუატაციის განყოფილების მაშინდელი უფროსი დავით დარახველიძე ამჟამადაც ექსპლუატაციის დირექტორის თანამდებობაზე მუშაობს.

მათივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ გენერალური პროკურატურის მიერ საპენსიო თანხების უკანონოდ განკარგვაზე 2002 წელს აღძრულ იქნა სისხლის სამართლის საქმე და ამავე წელს კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევათა შესახებ აქტები გადაგზავნილია გენერალურ პროკურატურაში, დღემდე არანაირი რეაგირება არ მომხდარა. არც 900 000 ჰოლანდიური გულდენის ოდენობის გრანტის დანაშაულებრივად გაფლანგვის მიზეზები გამოკვლეულა.

"საქართველოს ფოსტის" მარკეტინგის განყოფილების უფროსის მოადგილე მალხაზ ფერაძე აცხადებს, რომ ოფიციალური მიმართვა, არსებული უკანონო ქმედებებისა და დარღვევების შესახებ, საქართველოს ინფრასტრუქტურის მინისტრის სახელზეც იქნა გაგზავნილი და, სავარაუდოდ, დოკუმენტმა მინისტრამდე ვერ მიაღწია, რის საბაბსაც ის ფაქტი იძლევა, რომ მას მინისტრთან მიღებაზე სამდივნოში, უბრალოდ, უარი უთხრეს. შპს "საქართველოს ფოსტის" შრომითი კოლექტივის მოთხოვნათა დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მალხაზ ფერაძე პროტესტის უკიდურეს ზომას - შიმშილობას მიმართავს, რათა, მისივე თქმით, **"პრეზიდენტამდე ინფორმაცია ამ სახით მაინც მიიტანოს".**

ორი სიტყვით

თბილისი. ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის ქვეყანაში შესაბამისი პირობების შექმნაა საჭირო, - აცხადებს ირანის ელჩი სომხეთში მოჰამედ ფარხად კოლეინი. მისი თქმით, მილსადენი ბათუმის ნავსადგურის გავლით უნდა აშენდეს, ამიტომაც ქვეყანაში თანხმობის დამყარებაა აუცილებელი, რათა მშენებლობის და შემდგომი ექსპლუატაციის უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იყოს. რაც შეეხება ნავთობსადენის დაცვისთვის ნატო-ს ბაზების გამოყენებას, ირანის ელჩის შეფასებით, ეს ინფორმაცია ჭორის დონეზეა და დასავლეთის ოფიციოზი ამ შესაძლებლობას უარყოფს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ირან-სომხეთის გაზსადენის პროექტის მშენებლობის საკითხზე ორ ქვეყანას შორის ხელშეკრულებას ერევანში, ირანის ნავთობისა და გაზის მინისტრის ბეჟან ზაგანეს ვიზიტის დროს მოეწერება ხელი. ორ ქვეყანას შორის ურთიერთანგარიშგება დაგეგმილია ფორმულით "გაზი – ელექტროენერგიის ნაცვლად". ირანი გაზსადენით ბუნებრივი აირის ევროპის ბაზარზე მიწოდებას გეგმავს. სომხეთიდან მილსადენი შავი ზღვის და უკრაინის ტერიტორიის გავლით ევროპისკენ მიიმართება. წინასწარი გათვლით, პროექტის შესრულებისთვის 5 მილიარდი დოლარია საჭირო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის რაიონების გამგეობების, ადმინისტრაციული ინსპექციისა და ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექციის ინიციატივით, ქალაქში უკანონოდ განთავსებული თხევადი აირის სადგურები დაილუქა. ამის მიზეზად მერიის სათბობ-ენერგეტიკის საქალაქო სამსახური სადგურების ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დარღვევას ასახელებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ბათუმი. ბათუმის თამბაქოს ქარხანას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ამ თანამდებობაზე შუახევის რაიონის ყოფილი გამგებელი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელი ტარიელ ნიჟარაძე დაინიშნა. თამბაქოს ქარხნის ყოფილ დირექტორს თამაზ ბოლქვაძეს ბრალი ფინანსურ მაქინაციებში ედება, რაზეც ბათუმის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა თურქეთის ტერიტორიაზეც წარმატებულად მიმდინარეობს, - აცხადებს "ბი-პი აზერბაიჯანის" პრეზიდენტი დევიდ ვუდვორდი. ზამთარში ნავთობსადენის თურქეთის მონაკვეთის მშენებლობა ჩამორჩენით მიმდინარეობდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

რუსთავი. გუშინ ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა რუსთავი-გამარჯვების გზაზე დიდი ოდენობით ძვირადღირებული თევზით დატვირთული მანქანა დააკავეს. მანქანაში აღმოჩნდა დაახლოებით 22 ათასი ლარის ღირებულების 1630 კილოგრამი ზუთხი, სვია და სათალი. უსაბუთო ტვირთი ამჟამად რუსთავში, მაცივარში ინახება. გარდა ამისა, დააკავეს გარდაბნის მხრიდან ლილოს ბაზრობისკენ მიმავალი ავტომანქანა "ვაზი", რომელიც უსაბუთო სამრეწველო საქონლით იყო დატვირთული. ტვირთის ღირებულება დგინდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საკონტროლო-სალარო აპარატების მუშაობის მდგომარეობის შესამოწმებლად ფინანსური პოლიცია მომსახურებისა და სავაჭრო ობიექტებში შერჩევით რეიდებს გეგმავს. პოლიციის თანამშრომლები სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში პერიოდულად, შერჩევით შევლენ, სალარო აპარატებს ლაბორატორიულ შემოწმებას ჩაუტარებენ და თუ დადგინდა, რომ აპარატი გამართულად არ მუშაობს, ობიექტის მეპატრონეებს დააჯარიმებენ. **ინტერ-პრესი**

"ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

20 აპრილს, 10.00-დან 18.00 სთ-მდე:
ჯანჯღავას, კაჭარავას, წერეთლის, ანდრონიკაშვილის, რიონის, სარაჯიშვილის, 5-ე ქუჩის, ლიბანის, ბარალეთის ქუჩების მაცხოვრებლებს.

20 აპრილს, 11.00-დან 17.00-სთ-მდე:
ვარკეთილის მასივის 4-ე მიკრორაიონის 3 კვარტლის, ვაზისუბნის დასახლების(ნაწილობრივ) მაცხოვრებლებს.

21 აპრილს, 10.00-დან 18.00 სთ-მდე:
ლაზოს, შუშის, ლიბანის, სარაჯიშვილის, ზაჰესის, სკოლის, ბიჭვინთის, რევოლუციის, ჩიქვანაიას, ბაღნარის ქუჩების მაცხოვრებლებს.

21 აპრილს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:
გამსახურდიას გამზირის(ნაწილობრივ), ბახტრიონის, ცინცაძის, იყალთოს ქუჩების მაცხოვრებლებს.

21 აპრილს, 11.00-დან 17.00-სთ-მდე:
ვაზისუბნის II და IIა მიკრორაიონის, ვაზისუბნის III მიკრორაიონის I კვარტლის მაცხოვრებლებს.

პალესტინელებს კიდევ ერთი ლიდერი მოუკლეს

ისრაელის შეიარაღებულმა ძალებმა შაბათს "ჰამასის" ლიდერის აბდელ აზიზ ალ-რანტისის ლიკვიდაციის ოპერაცია ჩაატარეს. "გილოცავთ წარმატებით განხორციელებულ ოპერაციას," - ასეთი სიტყვებით გამოეხმაურა ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი შაბათს ტერორისტული ორგანიზაციის მეთაურის მკვლელობის ფაქტს. შეიხ აჰმედ იასინის სიკვდილიდან ერთი თვის შემდეგ მისმა მემკვიდრემაც იგივე ბედი გაიზიარა. ოპერაციის გეგმაც იდენტურია – შვეულმფრენებით განხორციელებული სარაკეტო დარტყმები და აფეთქებული ავტომანქანა. შედეგი – სამი თუ ოთხი დაღუპული (დაღუპულთა რაოდენობის შესახებ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებები განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებენ), მათ შორის - ისრაელის, ალბათ, ყველაზე დაუძინებელი მტერი აბდელ აზიზ ალ-რანტისი.

ნიკა თარაშვილი

რას უნდა მოასწავებდეს რანტისის მკვლელობა? იქნებ იმას, რომ წინა კვირას აშშ-ს მიერ მოწონებული, შარონის "დაშორიშორების გეგმის" განხორციელებამდე ისრაელი ცდილობს, ღაზას სექტორში გამაგრებულ ტერორისტებს სამაგალითო დარტყმა მიაყენოს? ან იქნებ, ისრაელის სპეცსამსახურებს ერთგვარი "შავი სია" აქვთ და ოპერაციებს მის მიხედვით გეგმავენ? პალესტინელთა ორი ლიდერი უკვე მკვდარია. ვინ იქნება შემდეგი? სხვათა შორის, ამასწინათ, არიელ შარონი აცხადებდა, რომ ხელშეუხებლობის გარანტია თვით იასირ არაფატსაც კი არ აქვს. ფაქტი ერთია, ისრაელი პალესტინელთა დაშინების მიზნით, ძალადობას მიმართავს, მაგრამ შეუძლებელია ებრაელებმა არ იცოდნენ, რომ ძალადობა სანაცვლოდ ისევ და ისევ ძალადობას წარმოშობს და ორ ხალხს შორის მშვიდობის დამყარებას ყველა გზას უჭრის.

გუშინ ათასობით მგლოვიარე პალესტინელი მიაცილებდა "წამებულ" ლიდერს უკანასკნელ გზაზე. "ჰამასმა" უკვე დანიშნა რანტისის შემცვლელი, თუმცა ამჯერად ორგანიზაცია სიფრთხილის გამო ერიდება მისი ვინაობის გამხელას. "ჰამასის" წარმომადგენლების განცხადებით, ამ მკვლელობამ კიდევ უფრო განამტკიცა მათი გადაწყვეტილება, შური იძიონ ებრაელებზე რანტისის, შეიხ იასინის და კიდევ მრავალი დაღუპული პალესტინელის გამო.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა კი კვირას პირობა დადო, რომ ისრაელი "ტერორისტთა ლიდერების ლიკვიდაციის პოლიტიკიდან" არ გადაუხვევს.

რანტისის სიკვდილის შესახებ გამოხმაურებები ისმოდა მსოფლიოს ყველა კუთხიდან. მათ შორის იყო კატეგორიული გამონათქვამებიც. მაგალითად, გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანი აცხადებს, რომ ისრაელის ქმედება საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს არღვევს და ახლო აღმოსავლეთში ძალადობის ზრდას გამოიწვევს. ასეთივე პოზიცია ჰქონდათ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორ ხავიერ სოლანას და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ჯეკ სტროს. ხავიერ სოლანა აღნიშნავს, რომ ისრაელის ქმედება **"არა მხოლოდ უკანონოა, არამედ არანაირად არ შეუწყობს ხელს რეგიონში დაძაბულობის შემცირებას"**. სოლანას სიტყვებით, ევროკავშირი აღიარებს ისრაელის თავდაცვის უფლებას, მაგრამ - არა მსგავსი მეთოდებით. დიდი ბრიტანეთიც არ აღფრთოვანებულა ისრაელის სპეცსამსახურების გუშინწინდელი ოპერაციით. საგარეო საქმეთა მინისტრი ჯეკ სტრო მიიჩნევს, რომ ამგვარი "წერტილოვანი დარტყმები" უკანონოა და უკუეფექტის მქონეც შეიძლება გახდეს.

აბდელ აზიზ ალ-რანტისი.

ისრაელის რაკეტებმა რანტისის მანქანა სრულიად გაანადგურეს.

ამავდროულად, ნაკლებად კატეგორიული იყო აშშ-ს ადმინისტრაციის რეაქცია მომხდარზე. თეთრი სახლი გუშინ აცხადებდა, რომ ისრაელს სრული უფლება აქვს, ტერორისტებისაგან თავი დაიცვას, თუმცა განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ აშშ **"სერიოზულადაა შეშფოთებული რეგიონში სტაბილურობის მდგომარეობით"** და რომ ისრაელს მოუწოდებს, თავისი ქმედებების მოსალოდნელი შედეგები ყურადღებით აწონ-დაწონოს.

ისრაელის ქმედება მკვეთრად არ გაუკრიტიკებია რუსეთის საგარეო უწყებასაც. საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის ალექსანდრ იაკოვენკოს გამოსვლაში აღნიშნული იყო, რომ, მართალია, რუსეთი ეჭვქვეშ არ აყენებს ისრაელის უფლებას, დაიცვას თავისი მოქალაქეები, მაგრამ მოსკოვს მიაჩნია, რომ ეს უნდა განხორციელდეს საერთაშორისო სამართლის, კერძოდ, ჟენევის კონვენციის ფარგლებში. მან, აგრეთვე, განაცხადა, რომ **"ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის დარეგულირება მსგავსი აქციებით შეუძლებელია"**.

პროფესიით პედიატრი რანტისი, წლების განმავლობაში უცხოელი ჟურანლისტებისათვის "ჰამასის" უცვლელი სპიკერი იყო. "ჰამასის" ლიდერად არჩევამდე ერთი წლით ადრე, რანტისზე ებრაელებმა სარაკეტო დარტყმა განახორციელეს, თუმცა მაშინ, პალესტინელთა ერთ-ერთი წინამძღოლი მხოლოდ ჭრილობით გადარჩა. რანტისი თითქოს გრძნობდა თავის სწრაფ აღსასრულს და არჩევისთანავე ამბობდა: **"ერთ დღეს ყველანი დავიხოცებით. არაფერს შეცვლის, "აპაჩი" (შვეულმფრენი) იქნება თუ გულის შეტევა, თუმცა მე მირჩევნია, რომ სიკვდილის მიზეზი "აპაჩი" იყოს".**

შეიხ იასინმა და რანტისმა ხუთ თანამოაზრესთან ერთად 1987 წელს დააარსეს ორგანიზაცია, რომელსაც დღემდე არაერთ ტერორისტულ აქტზე აუღია პასუხისმგებლობა. ეს ჯგუფი წლების განმავლობაში რეგიონის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან სამხედრო დაჯგუფებად გადაიქცა. ჯგუფის მთავარი მიზანი ახლო აღმოსავლეთში ებრაული სახელმწიფოს განადგურებაა. გასული საუკუნის 90-იანი წლებში განახლებული ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო პროცესისადმი პროტესტი დაჯგუფებამ, პირველად ისტორიაში, კამიკაძე ტერორისტების აფეთქებებით გამოხატა, რანტისმა, იასინის მოკვლის შემდეგ, თავის პირველივე გამოსვლაში პალესტინელებს შურისძიებისაკენ მოუწოდა. თავის გამოსვლაში რანტისმა დაჯგუფების სამხედრო ფრთის წევრებს შეიხ იასინის მკვლელობისათვის ისრაელის სამაგალითოდ დასჯისაკენ მოუწოდა. ზოგიერთი ექსპერტი ვარაუდს გამოთქვამს, რომ შესაძლოა, "ჰამასის" მხრიდან "შურისძიების" დაგვიანებამ, თავის მხრივ, დააჩქარა მისი ახალი ლიდერის აღსასრული.

აღსანიშნავია, რომ რანტისის მკვლელობა ერეცის გამშვებ პუნქტთან კამიკაძე ტერორისტის აფეთქების შემდეგ რამდენიმე საათში მოხდა. ტერაქტისას ერთი ებრაელი პოლიციელი დაიღუპა და რამდენიმე დაიჭრა. ერეცის აფეთქება ისრაელის შეიარაღებული ძალებისათვის რანტისის გასანადგურებლად მშვენიერი საბაბი გამოდგა. სავარაუდოა, რომ რანტისზე თვალთვალი მუდმივად ხორციელდებოდა, რადგანაც ძნელი დასაჯერებელია, რომ ერეცის აფეთქებიდან ასე მოკლე დროში, ისრაელის სპეცსამსახურებს "ჰამასის" ლიდერის ადგილსამყოფელი ზედმიწევნით ზუსტად დაედგინათ.

პალესტინელთა რეაქცია ლიდერის მოკვლის გამო არანაირ იმედს აღარ გვიტოვებს, რომ უახლოეს მომავალში ახლო აღმოსავლეთი მშვიდობის ოაზისად გადაიქცევა. უფრო მეტიც, ბევრი ანალიტიკოსი შაბათის სპეცოპერაციას ისრაელის მხრიდან ღაზას სექტორში "კარის გამოჯახუნებად" აღიქვამს და რეგიონში უფრო მეტი ქაოსის დასადგურების არასახარბიელო სურათს ხატავს. სავარაუდოდ, პალესტინელ რადიკალებს ვერ შეაშინებთ რანტისის სიკვდილი და, შესაბამისად, კიდევ უფრო მეტი პალესტინელი მოზარდი იქნება მზად, მისი ხვედრი გაიზიაროს - ისლამისათვის "წამებულ" რაინდებს ხომ სამოთხეში ადგილი გარანტირებული აქვთ.

ბრძოლა ჩეჩნური ნავთობისათვის

ტიმურ ალიევი
IWPR

კადიროვი ჩეჩნეთის ნავთობსექტორის გაკონტროლებას ცდილობს. დამკვირვებლები მის მცდელობას გროზნოსა და მოსკოვს შორის კულუარული ომის დაწყების კონტექსტში განიხილავენ.

ჩეჩნეთის პრომოსკოვური ლიდერი აჰმად კადიროვი ჩეჩნეთის ნავთობკომპანიის შექმნას გეგმავს, რომელიც მას საშუალებას მისცემს, ნავთობის მოპოვებიდან და გადამუშავებიდან შემოსული მოგება რესპუბლიკაში დატოვოს. ეს კი ჩეჩნეთის პრეზიდენტს, ფინანსური და პოლიტიკური თვალსაზრისით, მოსკოვისგან უფრო მეტად დამოუკიდებელ ფიგურად აქცევს.

აქამდე ჩეჩნური ნავთობის რეალიზაციიდან შემოსული მოგება რესპუბლიკიდან ჩეჩნეთის ნავთობკომპლექსის ძირითადი ექსპლუატატორის "როსნეფტის" და მისი შვილობილი კომპანიის "გროზნეფტგაზის" საშუალებით გაედინებოდა. ჩეჩნეთის რესპუბლიკა კი, კადიროვის აზრით, "გროზნეფტგაზიდან" გადასახადებსაც კი ვერ ღებულობდა."

"ფაქტობრივად, "გროზნეფტგაზი" ოდნავ შესამჩნევ როლსაც კი ვერ თამაშობს რესპუბლიკის აღდგენის საქმეში. დღეს, ნავთობის რეალიზაციიდან მიღებული გადასახადების 70 პროცენტი მოსკოვში გაედინება," - განაცხადა გასულ კვირას გროზნოში გამართულ მთავრობის სხდომაზე კადიროვმა. გარდა ამისა, ჩეჩნეთის პრეზიდენტის სიტყვებით, არც "გროზნეფტგაზი" და არც "როსნეფტი" რესპუბლიკის ნავთობმრეწველობის განვითარებასა და სოციალურ სფეროში ინვესტიციების ჩადებაზე არ ზრუნავენ.

ჩეჩნური ნავთობის მარაგი დიდი არ არის, მაგრამ ის საკმაოდ მაღალხარისხიანია. თავის დროზე, გროზნოში ფუნქციონირებდა სსრკ-ში ერთ-ერთი უდიდესი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. თუმცა, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, ორი სამხედრო კამპანიის შედეგად, რომელიც რუსეთმა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რესპუბლიკის დასასჯელად წამოიწყო, რესპუბლიკის ნავთობკომპლექსმა სერიოზული ნგრევა განიცადა.

ჩეჩნეთს ნავთობის დამუშავების თითქმის ასწლიანი გამოცდილება გააჩნია. ნავთობმოპოვების დონის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ზრდა გასული საუკუნის სამოციან წლებში დაფიქსირდა, ხოლო 1971 წელს ჩეჩნეთში მოპოვებულმა ნავთობმა 21 მილიონი ტონა შეადგინა. 1980-იანი წლები კი ამ მაჩვენებლის დაცემის პერიოდია, ხოლო 1990-იან წლებში, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ჯოხარ დუდაევის პერიოდში, ჩეჩნეთის ნავთობმოპოვების დონე 4-5 მილიონ ტონას შეადგენდა.

მიყენებული უზარმაზარი ზარალის და ასევე, იმის მიუხედავად, რომ მაგისტრალური ნავთობსადენის მარშრუტი ჩეჩნეთის გვერდის ავლით ხორციელდება, ნავთობი ჩეჩნეთისათვის შემოსავლის მთავარ წყაროდ რჩება. ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობას ნავთობგადამამუშავებელი მინი-ქარხნები იატაკქვეშ, "სახლის პირობებში" აქვთ მოწყობილი.

აჰმად კადიროვისა და ვლადიმირ პუტინის შეხვედრა.

კადიროვის გეგმამ, ჩეჩნური ნავთობსექტორის დაქვემდებარების თაობაზე, მოსკოვში მყოფი პოლიტიკური ოპონენტების მხრიდან მისდამი მტრული დამოკიდებულება კიდევ უფრო გააღრმავა.

კრემლის ზოგიერთი პოლიტიკოსი მოითხოვს, რომ კადიროვს უფრო მეტი პასუხისმგებლობა დაეკისროს რესპუბლიკის მართვისა და ჩეჩნურ წინააღმდეგობასთან ბრძოლის საკითხებზე. სხვები კი, კერძოდ - რუსეთის ფინანსთა და თავდაცვის სამინისტროების მაღალჩინოსნები, კადიროვს ეჭვის თვალით უყურებენ.

ჩეჩნური ნავთობის მოპოვების და გადამუშავების შესახებ წინადადებების შემუშავება კადიროვმა "გროზნეფტგაზის" გენერალურ დირექტორს ბაუდინ ხამიდოვს დაავალა. ეს წინადადებები, იმავე "გროზნეფტგაზის" ბაზაზე "როსნეფტისგან" დამოუკიდებლად, ახალი ნავთობჰოლდინგის შექმნას ითვალისწინებს.

"ჩეჩნეთისათვის ასეთი განსაკუთრებული სტატუსი სასარგებლო იქნება. ჩვენ დანგრეული რესპუბლიკა ვართ და მიღებული ინვესტიციების წყალობით ვმუშაობთ. "გროზნეფტგაზის" მიერ გამომუშავებული თანხები რუსეთის ენერგეტიკის სამინისტროში მიედინება, იქიდან - ფინანსთა სამინისტროში და შემდეგ ისევ უკან ბრუნდება," - განაცხადა ჩეჩნეთის ნავთობის და ქიმიური მრეწველობის ყოფილმა მინისტრმა ზაინდი დურდიევმა. მას ეს პოსტი 1992-1993 წლებში ეკავა. ამავე დროს, ამ იდეის რეალიზებას "გროზნეფტგაზში" სკეპტიკურად უყურებენ. **"ნაკლებად სარწმუნოა, რომ აქედან რამე გამოვიდეს – რუსეთის მთავრობა წინააღმდეგია,"** - ამბობს დურდიევი.

ჩეჩნეთში ახალი ნავთობკომპანიის შექმნა შესაძლებელი გახდება მას შემდეგ, რაც ჩეჩნეთსა და რუსეთს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ ხელშკრულება დაიდება. კადიროვის მიერ შემუშავებული პროექტის ვარიანტში ჩადებულია რუსეთის და ჩეჩნეთის თანაბარი მონაწილეობა ჩეჩნური ნავთობის ექსპლუატაციის საქმეში. გარდა ამისა, ამ დოკუმენტის თანახმად, წარმოებისა და ექსპორტის კვოტები რესპუბლიკის ხელისუფლებასთან უნდა იყოს შეთანხმებული.

"როსნეფტი" ჩეჩნური ნავთობკომპანიის შექმნის წინააღმდეგი არ არის. **"თუკი სახელმწიფო კიდევ ერთი ნავთობკომპანიის შექმნას საჭიროდ ჩათვლის, დაე, შექმნან,"** - აცხადებს "როსნეფტის" პრეს-ცენტრის თანამშრომელი დმიტრი პანტელეევი.

ამავდროულად, "როსნეფტში" უარყოფენ მათი მისამართით არსებულ ბრალდებას - რომ ისინი არ აფინანსებენ ნავთობის და გაზის კომპლექსის აღდგენას რესპუბლიკაში და არ დებენ თანხებს ჩეჩნეთის რესპუბლიკის სოციალურ სფეროში. პანტელეევის მონაცემებით, კომპანიის მიერ გაწეულმა ინვესტიციებმა გასულ წელს 3 მილიარდი რუბლი შეადგინა. აქედან, 550 მილიონ რუბლზე მეტი ქვეყნის ეკონომიკის აღდგენასა და სოციალურ სფეროებზე განაწილდა.

ჩეჩნეთის ფინანსთა სამინისტროს თანამშრომელი რაშინ იუნუსოვი, "როსნეფტს," "გროზნეფტგაზსა" და "ნავთობქიმიის" სხვა კომპანიებს შორის წარმოშობილი კონფლიქტის ინიციატორად კადიროვს მიიჩნევს.

მისი აზრით, კომპანია "კრეკინგის" უკან კადიროვი დგას. **"კადიროვისათვის მთავარია, რომ ჩეჩნეთში პრივატიზაციის პროცესის დაწყებამდე ჩეჩნური ნავთობკომპანიის შექმნა მოასწროს,"** - განაცხადა მან.

"როსნეფტმა" კი ასეთი განცხადებების კომენტირება არ ისურვა. **"ჩვენ არ გვსურს ამ თემის წამოწევა. ჩვენ გვსურს, რომ პოლიტიკური კორექტულობა შევინარჩუნოთ. ეს ანალიტიკოსებმა იფიქრონ, თუ ვინ ვის უკან დგას,"** -განაცხადა დმიტრი პანტელეევმა.

საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის "პანორამას" ანალიტიკოსი ვლადიმირ პრიბილოვსკი ფიქრობს, რომ ჩეჩნეთის ნავთობკომპანიის შექმნა, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური საკითხია. **"კრემლისათვის ეს არ არის ეკონომიკური საკითხი. აქ მთავარია, თუ რამდენად უღირს კრემლს კადიროვის ნავთობში "განბანვა,"** - აცხადებს ის.

მისი აზრით, ჩეჩნური ნავთობკომპანიის შექმნის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ვინ გაიმარჯვებს კრემლში არსებულ კლანებს შორის.

"ვლადიმირ პუტინის ორი თანაშემწე – ვიქტორ ივანოვი და იგორ კადიროვი ძალოვანთა დაჯგუფებას მიეკუთვნებიან, სადაც სამხედრო წარსულის და კაგებეში მუშაობის გამოცდილების მქონე პოლიტიკოსები არიან გაერთიანებულნი," -ამბობს პრიბილოვსკი.

"კადიროვის დამცველი კი პრაგმატულ-კოსმოპოლიტური "ოჯახი" იქნება, - ამბობს ის და მხედველობაში ჰყავს ელცინის მმართველობის დროს წარმოქმნილი კლანური დაჯგუფება, - **მათ შეუძლიათ, რუსეთისადმი ლოიალობის და ამბოხებულებთან ბრძოლის გაგრძელების სანაცვლოდ, აჰმად ხაჯის ნავთობი უწყალობონ."**

ჩინეთის ეკონომიკა - „გადახურების" საფრთხე

თორნიკე შარაშენიძე

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ჩინეთის ეკონომიკის მოცულობა 9,75 პროცენტით გაიზარდა. 43 პროცენტით აიწია ინვესტიციებმა უძრავ ქონებაში. ეს მონაცემები, ერთი შეხედვით, ერთობ დადებითია, მაგრამ, ამავე დროს, სპეციალისტთა დიდ შიშს იწვევს: შესაძლებელია, ამგვარმა მაღალმა მაჩვენებლებმა ეკონომიკის "გადახურება" გამოიწვიოს და გამორიცხული არ არის, რომ ჩინეთი ეკონომიკური ციკლის პირას იდგეს, ანუ დიდ აღმავლობას დიდი ჩავარდნა მოჰყვება. თუკი ასე მოხდა, ჩინეთის "ჩავარდნა" მთელი რეგიონის ეკონომიკაზე ერთობ უარყოფით გავლენას მოახდენს.

უკვე თავად ჩინეთის მთავრობაც შიშობს, რომ ბანკების მიერ მეტისმეტად დიდი ოდენობით გაცემულმა სესხებმა შეიძლება ეკონომიკის "გადახურება" გამოიწვიოს. უკვე აშკარაა, რომ ჩინეთში საკმაოდ შეუსაბამო განსხვავებაა, ერთი მხრივ, უძრავ ქონებაში დიდძალ დაბანდებებსა და, მეორე მხრივ, მოძველებულ ინფრასტრუქტურასა და ენერგიის დეფიციტს შორის. მთელ ქვეყანაში არნახული მშენებლობებია - ბეტონის ახალი ცათამბჯენები, ხიდები და ქარხნები... ეს მაშინ, როცა ინფრასტრუქტურა უკვე გადატვირთულია, ენერგეტიკული პრობლემები კი - კვლავაც მოუგვარებელი.

საგანგაშო ნიშნები უკვე გამოჩნდა - ნედლეულზე ფასები გაიზარდა. მთავრობის განცხადებით, ჯერჯერობით, ინფლაციამდე საქმე არ მიდის (სამომხმარებლო კალათა სულ 2,8 პროცენტით გაძვირდა, გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით), მაგრამ თუკი შიდა ინვესტიციათა მოცულობა ასეთი ტემპით გაიზარდა და ეკონომიკამაც ამგვარი სისწრაფით განაგრძო ზრდა, ინფლაცია მეტად რეალური გახდება. ეკონომიკის აღმასვლას ახალი სამუშაო ადგილების შექმნა მოსდევს, რასაც ხელფასების ზრდა მოჰყვება. ეს უკანასკნელი კი ინფლაციას იწვევს. ეკონომიკის "გადახურებამ" არა მხოლოდ ჩინეთს, არამედ აშშ-ს მსგავს ქვეყანასაც კი შეუძლია საფრთხე შეუქმნას. სწორედ ამის გამო, 1990-იანი წლების არნახული ბუმის დროს აშშ-ს ფედერალური რეზერვი (ადგილობრივი ცენტრალური ბანკი) სისტემატურად სწევდა მაღლა საპროცენტო განაკვეთს, რათა ეკონომიკის აღმასვლის გიჟური ტემპი შეენელებინა. როცა ტემპი შემცირებისკენ წავიდა, ფედერალური რეზერვი განაკვეთის დაწევას შეუდგა, რითაც ეკონომიკას სტიმული მისცა.

ჩინეთის ცენტრალურმა ბანკმა უკვე მიიღო ზომები, რათა კომერციული ბანკების მიერ სესხების დიდი ოდენობით გაცემა შეამციროს. ახალი დირექტივის მიხედვით, ბანკებში მინიმალური რეზერვების ოდენობა 7,5 პროცენტს უნდა აღწევდეს, რაც საშუალოზე მაღალი მაჩვენებელია.

ჩინეთის ეკონომიკას სხვა ბევრი პრობლემაც გააჩნია. კერძოდ, იგი ძალიან არის დამოკიდებული ექსპორტსა და გარე ბაზრების სტაბილურობაზე. ეს დამოკიდებულება სულ უფრო და უფრო იზრდება და არავინ იცის, გაუთვალისწინებელი მოვლენების შემთხვევაში, რად დაუჯდება ქვეყანას.

განსაკუთრებით კეთილი ურთიერთობა

ზაზა დუმბაძის ფოტო

უნეტარესი ჰერმანე.

პირველი გვერდიდან

ეს არის გაგრძელება ძმური, მეგობრული დამოკიდებულებისა. მოგეხსენებათ, ბოლო ხანებში საქართველოსა და აშშ-ს შორის განსაკუთრებით კეთილი ურთიერთობები დამყარდა. კავკასია გამორჩეული რეგიონია, სადაც აშშ-ს თავისი ინტერესები აქვს. იმ დროს, როცა დარღვეულია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ქართველებსა და აფხაზებს არასოდეს ჰქონიათ პრობლემები და ეს გარეშე ძალების მიერ ინსპირირებული კონფლიქტია," – ბრძანა მიღებაზე საქართველოს პატრიარქმა.

უნეტარესმა ჰერმანემ საქართველოს ეკლესიისა და ხალხის მისამართით დიდი სიყვარული გამოხატა და, შეძლებისდაგვარად, დახმარების პირობაც დადო.

"თქვენო უწმინდესობავ, ჩემთვის დიდი სიხარულია თქვენთან შეხვედრა. მთელი ჩვენი დელეგაციის სახელით, გიხდით მადლობას იმ დიდი სიყვარულისთვის, რაც აქ ვიგრძენით. ჩვენი მეგობრობა დიდი ხნის წინათ, ჩვენი პირველი შეხვედრის დროს დაიწყო. ეს არის მაგალითი ღვთისნიერი სიყვარულისა. ძალიან მახარებს ჩვენი სიახლოვე და მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობა.

მას შემდეგ, რაც თქვენ გახდით საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი, მრავალი სასიკეთო ცვლილება მოხდა. თქვენ ძალიან დიდი ძალისხმევა გაიღეთ კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების საქმეშიც, მაგრამ უცებ არაფერი მოგვარდება. ცხადია, ყველაფერი ღვთის განგებით ხდება. ჩვენ თქვენს მიმართ არა მარტო პატივისცემას გამოვხატავთ, არამედ გპირდებით გარკვეულ დახმარებასაც.

ჩვენ ვლოცულობთ იმისთვის, რომ თქვენ ქვეყანაში მშვიდობამ დაისადგუროს; ყოველთვის მოგიხსენიებთ ლოცვებში თქვენ, თქვენ ხალხს და ქვეყანას," – ბრძანა ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტმა.

გუშინ ორმა მღვდელმთავარმა საზეიმო წირვა ჩაატარა სვეტიცხოველში. ვიზიტი 23 აპრილამდე გასტანს. ამ ხნის განმავლობაში უნეტარესი ჰერმანე მოილოცებს მცხეთას (ჯვარი, სამთავრო, შიო მღვიმის მონასტერი) და კახეთს (ბოდბის დედათა მონასტერი, გრემის მონასტერი, ალავერდი, შუამთა, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი), ეწვევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, შეხვდება მთავრობის ხელმძღვანელებს;

ბოლოს მოინახულებს შავნაბადის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერს.

23-ში საღამოს კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში პრესკონფერენცია გაიმართება.

ქრონიკები

ერთი დაბის მოკლე ქრონიკა ანუ ეს ერთი და სხვა მრავალი

თბილისიდან 50 კილომეტრით დაშორებულ დაბა ჟინვალს - ქალაქის ტიპის დასახლებას, წესით, სიცოცხლის ნიშანი მაინც უნდა ემჩნეოდეს. თუმცა, ვინც იქ პირველად მოხვდება, იფიქრებს, - შაჰ-აბასს ამ ოდესღაც ცნობილ ქალაქში ახლად გაუვლიაო. ისრაელსა და საბერძნეთში წლობით გადახვეწილ ჟინვალელებს კი თავიანთი ერთი ციცქნა დაბა მაინც ენატრებათ.

ნანა ქადაგიშვილი

ჟინვალჰესი, "შახტა" და რუსი გოგოები

ჟინვალჰესი ჟინვალელებისა და დაბის ახლო-მახლო მდებარე სოფლების მოსახლეობითვის მაღაროს გამაყრუებელ გუგუნთან, რუს გოგოებთან და "კაი ცხოვრებასთან" ასოცირდება. ჰესის მშენებლობის პროცესში ჟინვალი ინტერნაციონალურ დასახლებას წარმოადგენდა. დაბის ერთადერთი სკოლის ქართულ და რუსულ სექტორებზე რამდენიმე ეროვნებისა და საქართველოს ყოველი კუთხიდან ჩამოსული მოსწავლე სწავლობდა. ქართულ სექტორზე რუსებზე ნაკლები გოგოები ნამდვილად არ იყვნენ, მაგრამ ჟინვალელ ბიჭებს მაინც რუსული სექტორისკენ ეჭირათ თვალი. ზოგისთვის ეს ინტერესი ქორწინებით დასრულდა, ზოგმა კი, უბრალოდ, რუსული ენა ისწავლა.

მაღარო, რომელიც ჟინვალისა და სოფელ ბიჩნიგაურის გასაყარზე მდებარეობდა, მშენებარე ჰესის სტრატეგიულ ობიექტსა და მკვიდრ თუ დროებით ჟინვალელთა მთავარ სამუშაო ადგილს წარმოადგენდა. ჩამოსახლებულებისთვის საბჭოთა მთავრობამ კოლოფებივით კორპუსები ააშენა. ერთ კორპუსში მაღაროში მომუშავე პატიმრებიც შეასახლეს. სხვათა შორის, სასჯელის მოხდის შემდეგ ზოგიერთი პატიმარი ჟინვალს ვეღარ შეელია და "პატიმართა კორპუსში" ახლად შექმნილ ოჯახთან ერთად დარჩა. თუმცა, აღნიშნული მაღარო ყველა ჟინვალელისთვის სასიამოვნო მოგონება როდია. მისი გამაყრუებელი გუგუნის გახსენებაზე ბევრს ახლაც აკანკალებს. **"თავიდან, ლამის, გავგიჟდით, მაგრამ მერე ისე შევეჩვიეთ, დედის ნანასავით ჩაგვესმოდა. ჟინვალჰესის მშენებლობა რომ დამთავრდა, მაშინღა მივხვდით, სიჩუმე რა ბედნიერება ყოფილა,"** – ჰყვებიან ჟინვალელები. თუმცა, სამუშაო ადგილისთვის იმ გუგუნს ახლაც სიამოვნებით აიტანენ.

მაღაროს გარდა, ჟინვალელებს სხვა გასართობიც ჰქონდათ – კულტურის ცენტრი - ესტრადით (სიმღერას რომ თავი დავანებოთ, სცენაზე მომღერალი ცისფერთვალა ლელას ყურებას რა სჯობდა), ინდური ფილმებით (სადაც გოგოების თვალიერება და მზესუმზირის ჭამა იოლად ხერხდებოდა), ტანვარჯიშისა და კარატეს შემსწავლელი წრეებით; კიდევ იყო ბიბლიოთეკაც და ბიბლიოთეკარი წიგნების მოყვარულებს თვეობით დასდევდა და წიგნების დაბრუნებას ამაოდ სთხოვდა.

"ნაშთი ძველი დიდებისა"

დღეს, ინტერნაციონალი კი არა, ჟინვალში მკიდრი ჟინვალელის რამდენიმე ოჯახიღა შემორჩა. ადამიანებისგან დაცარიელებული დაბა უპატრონო ძაღლებმა და კატებმა დაიკავეს. თუმცა, იმდენი მაცხოვრებელი მაინც დარჩა, რომ მათ მიერ ქუჩაში დაყრილმა ნაგავმა ეს ცხოველები გამოკვებოს. საბედნიეროდ, ჟინვალელები ინფექციურ დაავადებებს ჯერჯერობით, სასწაულით, გადაურჩნენ.

საბჭოთა პერიოდში "სწრაფად და იაფად" აშენებული რამდენიმე კორპუსი დღეს ისე გამოიყურება, შეხედვაც კი გულს გაგიხეთქავთ. ერთი-ორი წლის წინათ აქ რამდენიმე ღატაკი მობინადრე კიდევ ცხოვრობდა, მაგრამ მალე მათაც ვეღარ გაუძლო გულმა და გადასაბარგებელი ადგილი მოძებნეს. კორპუსების დიდი ნაწილი ჯერ ისევ დგას და ჩამოშლის საშიშროება უახლოეს წლებში არ ემუქრება. თუმცა, ჟინვალელები შედარებით მდგრად ბინებსაც ტოვებენ. ნახევარი ჟინვალი ისრაელსა და საბერძნეთშია წასული. **"აქ ჩვენი შვილები მშობლებს დავუტოვეთ და იქ სხვის შვილებსა და მშობლებს ვუვლით. ამაზე საშინელი არაფერია, მაგრამ რომ არ წავსულიყავით, მართლაც, შიმშილით დავიხოცებოდით,"** – სიმწრით იხსენებენ უცხოეთში გატარებულ წლებს ჟინვალში დროებით დაბრუნებული ქალები. **"საბერძნეთში ერთი წლის გოგონას ვუვლიდი. იმას რომ ვუყურებდი, სულ ჩემი შვილი მახსენდებოდა. ერთხელ ისე გავმწარდი, საწყალ ბავშვს უმიზეზოდ გავარტყი კიდეც. იქ გაძლება მიჭირს, მაგრამ ისევ უნდა წავიდე,"** – ჩვენთან საუბრისას ცრემლებს ვერ იკავებდა ერთ-ერთი მათგანი.

რაც შეეხება კულტურის ცენტრს, ის ისევ დგას, ოღონდ, ინდურს ვინ ჩივის, ამერიკული ფილმიც, დიდი ხანია, აღარ უჩვენებიათ. ბიბლიოთეკარსაც აღარ უწევს წიგნების დევნა, რადგან მათი მკითხველი, თითქმის, აღარ დარჩა.

სამწუხაროდ, ჟინვალი ერთადერთი არ არის - იგი საქართველოს წვრილ-წვრილი ქალაქებისა და დაბების შემზარავი სახეა.

საფეხურები

მეგობრების წყალობით

არასამთავრობო ორგანიზაცია "საფეხურების" პროექტი "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით" აგრძელებს "ნამდვილი ამბის" სერიის გამოქვეყნებას. ისტორიებს ქმნიან ადამიანები, ჩვენი საზოგადოების წევრები. ისინი საუბრობენ თავიანთ პრობლემებზე. პროექტის საშუალებით შესაძლებელია, მოვუსმინოთ და დავეხმაროთ მათ.

თინათინ ასათიანი

გოჩა სოზიაშვილი პირველი ჯგუფის ინვალიდია. მას ლიტლის თანდაყოლილი დაავადება აქვს, რამაც მყესების შეკუმშვა და შემდეგ კუნთების განვითარების შეფერხება გამოიწვია. დიდი ხნის წინათ ბატონმა გოჩამ სამი აუცილებელი ოპერაცია ჩაიტარა, რის შემდეგაც მან ფეხზე გავლა შეძლო. ახლა ის ყავარჯნების საშუალებით ქალაქში დამოუკიდებლად დადის.

მართალია, ჯანმრთელობის მდგომარეობა მოუწესრიგებელი აქვს, მაგრამ გოჩა სოზიაშვილისთვის საფიქრალი ჯანმრთელობა აღარაა, რადგან მას და მის ოჯახს სხვა უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა შეექმნათ - უაღრესად გაჭირვებულ პირობებში უხდებათ ცხოვრება. სოზიაშვილების მარჩენალი და ოჯახის უფროსი მამა იყო, რომელიც დიდი ხნის წინათ გარდაიცვალა. შემდეგ ვალდებულებები ბატონ გოჩას დედაზე გადავიდა, მაგრამ ცოტა ხანში, ოთხი წლის წინ დედას ინსულტი დაემართა და ახლა ის პარალიზებული ლოგინში წევს. ახლა მასაც გოჩა სოზიაშვილის და - მარტოხელა დედა უვლის, რომელსაც 21 წლის ვაჟი ჰყავს.

სოზიაშვილების ოჯახში არავინ მუშაობს და მათ ინვალიდებისთვის გამოყოფილი პენსიით უწევთ თავის რჩენა. პენსია, საერთო ჯამში, 34 ლარს შეადგენს. **"ახლაც ამ ფულს ველოდებით. როგორც კი ავიღებ, მაღაზიებში ვალები უნდა გავისტუმრო. მოგვიწევს, შემდეგ თვეს ოთხი ლარით შევხვდეთ,"** - ამბობს ბატონი გოჩა.

სოზიაშვილების მდგომარეობა თანდათან მძიმდება - ამ თვეში მათ შუქი არ ჰქონიათ, რადგან, დავალიანების გამო, მარტის 26 რიცხვში დენი გამოურთეს. ახლა სოზიაშვილებს ვალის (ათასი ლარის), თუნდაც, ნახევრის გადახდას სთხოვენ, რომ შუქის მინოდება აღდგეს. ამის საშუალება ოჯახს არ აქვს, არც - იმის პერსპექტივა, რომ ცოტა ხანში შეძლებენ გადახდას. **"თავის დროზე ჩვენ გაზის შემოყვანაც ვერ მოვახერხეთ, რადგან 150 ლარი არ გვქონდა. ამიტომ, მიუხედავად 45-ლარიანი შეღავათისა, ამხელა ვალი დავაგროვეთ,"** - ამბობს ბატონი გოჩა.

გოჩა სოზიაშვილი განათლებით ფილოლოგია. პროფესიას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაეუფლა. **"მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს სიარული უფრო მიჭირდა, მშობლებმა ჩვეულებრივ სკოლაში მიმიყვანეს. იქ კი, ჩემი მეგობრების წყალობით, ბოლომდე წარმატებით შევძელი განათლების მიღება,"** - ამბობს ის და იხსენებს მეგობრებს, რომლებიც კლასიდან კლასში ყოველ გაკვეთილზე ხელით დაატარებდნენ. შემდეგ სიცილით დასძენს, რომ, იმავე მეგობრების დამსახურებით, ერთხელ არქეოლოგიურ გათხრებზე იყო წასული და ფეხბურთის თამაშისას მეკარედაც მდგარა.

გოჩა სოზიაშვილმა დიდი ხნის წინათ ლევან გოთუას ნაშრომებიდან საინტერესო გამონათქვამები და სენტენციები ამოკრიბა და გამოსაცემად გაამზადა, მაგრამ, იმის გამო, რომ სპონსორი ვერ მონახა (როგორც გაარკვია, ათასი ეგზემპლარის გამოცემა 800 ლარი დაჯდება), 80-გვერდიანი წიგნი ისევ შინ უდევს.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნის გამოქვეყნება გაცილებით ადრე იყო დაგეგმილი, ეს ვერ მოხერხდა. მომავალ წელს ლევან გოთუას 100 წლის იუბილე იქნება. ბატონ გოჩას დიდი სურვილი აქვს, ახლა მაინც მიიპყროს წიგნმა ყურადღება და მისი დაბეჭდვა მოხერხდეს.

შენიშვნა: სტატიის შინაარსი დაფუძნებულია რესპონდენტთან უშუალო საუბარზე და მიუკერძოებლად აღწერს მხოლოდ იმ ფაქტებს, ისტორიებს, თუ პრობლემებს, რის შესახებაც თავად რესპონდენტი საუბრობს. პროექტის მიზანია, მისცეს შესაძლებლობა მარგინალური ჯგუფების წარმომადგენლებს, თავიანთ შესახებ ამცნონ საზოგადოებას. ამჯერად პროექტის ფარგლებში არ შედის რესპონდენტის მიერ მოთხრობილი ფაქტებისა და პრობლემების სამედიცინო დონეზე გადამოწმება.

P.S. თუ ვინმეს დახმარების სურვილი გაუჩნდება, დაუკავშირდით პროექტის, "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით", კოორდინატორს ნანა ბარამიძეს.

მობ: 893 32 44 41 ან ელექტრონული ფოსტით მისამართზე: stagesngo@mail.com

სამართალი

"მემარჯვენე ოპოზიციის - მრეწველები, ახლების" №13 კანდიდატის საქმე

პირველი გვერდიდან

ორი დღის წინ, ხელისუფლების მხრიდან ბიზნესმენებთან დადებული შეთანხმების დარღვევაზე საუბრის დაწყების საბაბი გახდა ბლოკ "მემარჯვენე ოპოზიციის – მრეწველები, ახლების" წევრის თენგიზ გოგიჩაშვილის გენერალურ პროკურატურაში დაბარება და მისი გადასახადების დიდი ოდენობით დამალვაში ეჭვმიტანილად ცნობა, რაც იმავე დღეს "მემარჯვენე ოპოზიციის – მრეწველები, ახლების" მხრიდან პოლიტიკური განსჯის საგანი გახდა. მათ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაში, ხოლო ქვეყნის ხელისუფლება - ახალი პარლამენტის ერთადერთი ოპოზიციური ძალის წინააღმდეგ "შავი პიარის" წარმოებაში დაადანაშაულეს.

საქმე ის გახლავთ, რომ ს/ს "ქართული შაქრის" გენერალური დირექტორი თენგიზ გოგიჩაშვილი ბლოკი "მემარჯვენე ოპოზიციის – მრეწველები, ახლების" სიით მეცამეტე ნომერია და იგი გუშინწინდლამდე მომავალი პარლამენტის სრულუფლებიან წევრად მოიაზრებოდა. აქედან გამომდინარე, გოგიჩაშვილი დეპუტატის იმუნიტეტითაც სარგებლობდა და მის მიმართ საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარება კანონმდებლობით იკრძალებოდა. ამიტომ, გენერალურმა პროკურორმა, გოგიჩაშვილის პროკურატურაში დაბარებამდე რამდენიმე საათით ადრე, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ოფიციალური წერილით მიმართა და "მემარჯვენე ოპოზიციის – მრეწველები, ახლების" წევრისათვის იმუნიტეტის მოხსნა მოითხოვა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კი არ დააყოვნა, რამდენიმე წუთში რვა ხმით სამის წინააღმდეგ გადაწყვეტილება მიიღო და პროკურატურის მოთხოვნა დააკმაყოფილა. ანუ თენგიზ გოგიჩაშვილის მიმართ, რომელიც განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადებისთვის თავის არიდებაში იმხილება, ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შესაძლებელი გახდა.

გენპროკურატურაში სააქციო საზოგადოება "ქართული შაქრის" ხელმძღვანელი პირების მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადების თავის არიდების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე თვის წინ აღიძრა. სწორედ აღნიშნული საქმის ნაწილია თენგიზ გოგიჩაშვილის საქმიანობის მიმართ დაწყებული გამოძიებაც. კერძოდ, პროკურატურაში არსებული მასალების თანახმად, გასული წლის 4 მარტს ს/ს "ქართულ შაქარსა" და შ.პ.ს "აგარა ჯგუფს" შორის გაფორმდა სანოტარო აქტი, რომლის საფუძველზეც ს/ს "ქართული შაქრის" გენერალურმა დირექტორმა თენგიზ გოგიჩაშვილმა, როგორც გამყიდველმა, შ.პ.ს "აგარა ჯგუფის" დირექტორს კობა ძლიერიშვილს 1 200 000 ლარის ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება მიჰყიდა. გაყიდული ქონების საერთო ღირებულებიდან მოძრავი ქონების ღირებულებაა 537 001 ლარი, რაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, დამატებული ღირებულების გადასახადით უნდა დაბეგრილიყო და, შესაბამისად, ამ ოპერაციაზე ს/ს "ქართულ შაქარს" შ.პ.ს "აგარა ჯგუფის" სახელზე უნდა გამოეწერა დ.ღ.გ-ს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. აქედან გამომდინარე, ს/ს "ქართულ შაქარს" შ.პ.ს "აგარა ჯგუფისთვის" მიწოდებულ მოძრავ ქონებაზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა უნდა წარედგინა საგადასახადო ინსპექციაში და 2003 წლის 10 ივნისამდე დ.ღ.გ-ს გადასახადი 89 500 ლარი უნდა გადაეხადა. ამასთან, შს სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს სპეციალისტების მიერ შედგენილი შუალედური აქტით, "ქართულ შაქარს", გარდა ძირითადი გადასახადისა, ჯარიმის სახით 240 ათასი ლარიც დაერიცხა. გამოძიების მტკიცებით, გოგიჩაშვილმა სწორედ დასახელებული თანხის გადახდას აარიდა თავი.

სწორედ აღნიშნული საქმე გახდა ს/ს "ქართული შაქრის" გენერალური დირექტორის და მომავალი პარლამენტარისთვის იმუნიტეტის მოხსნის და გენერალურ პროკურატურაში ხუთსაათიანი დაკითხვის საბაბიც. თუმცა, ამ შემთხვევაში საქმე დაკავებამდე არ მისულა და ყველაფერი შეთანხმებით დასრულდა.

მართალია, გოგიჩაშვილი და მის გვერდით მდგომი პოლიტიკოსი ბიზნესმენები, გამოძიებას არ ეთანხმებიან, რადგან, მათი თქმით, "ქართულმა შაქარმა" "აგარა ჯგუფს" უძრავ-მოძრავი ქონება როდესაც მიჰყიდა, მაშინ "საგადასახადო კოდექსის" თანახმად, დღგ-ს გადახდა არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ არც იმას გამორიცხავენ, რომ არსებული დაუხვეწავი "საგადასახადო კოდექსის" პირობებში, შესაძლოა, თენგიზ გოგიჩაშვილს გარკვეული დავალიანება მართლაც ჰქონდეს. სწორედ ამიტომ და, ალბათ, სხვა მიზეზების გამოც, თენგიზ გოგიჩაშვილი გამოძიების მხრიდან დასახელებული თანხის გადახდას დათანხმდა.

თუმცა, საქმე ამით არ დასრულებულა. როგორც გენპროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა გამომძიებელმა დავით მინაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, "ქართული შაქარის" რევიზია გრძელდება და არ არის გამორიცხული, რომ დამალული გადასახადი კიდევ გამოვლინდეს. ერთი სიტყვით, თენგიზ გოგიჩაშვილის მომავალთან დაკავშირებით, საბოლოო დასკვნების გაკეთებაზე გენპროკურატურა თავს იკავებს.

"მემარჯვენე ოპოზიციის - მრეწველები, ახლების" წარმომადგენლები კი №13 დეპუტატობის კანდიდატისთვის იმუნიტეტის მოხსნას და ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხის იძულებით გადახდას, მაშინ, როდესაც "ფინანსური ამნისტიის" სახით გარკვეული შემთხვევები არსებობს, რეკეტს უწოდებენ.

მოკლედ

თბილისი. თბილისში, დიღმის მასივში მდებარე დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის სამმართველოს პირველი განყოფილების შენობასთან აფეთქება მოხდა, რომელმაც პოლიციის შენობის ფასადის და მიმდებარე კორპუსის აივნის ჩამონგრევა გამოიწვია. მომხდარის შესახებ რაიონის პროკურატურა კომენტარს არ აკეთებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ქუთაისი. ქუთაისში, ჭავჭავაძის გამზირისა და ნინოშვილის ქუჩის გადაკვეთაზე, გამდინარე არხში ადგილობრივებმა გუშინ ახალგაზრდა მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს. გარდაცვლილი 34 წლის ქუთაისელი კობა მესხი აღმოჩნდა, რომელსაც, წინასწარი დათვალიერების შედეგების თანახმად, ყელი აქვს გამოჭრილი. პოლიციაში ჯერჯერობით არ იციან, რა ვითარებაში და როდის მოკლეს მესხი. გვამი პროზექტურაში გადაიტანეს. მოკვლევას ქუთაისის საგამოძიებო სამსახური აწარმოებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

რუსთავი. ფინანსური პოლიციის სპეციალურ დავალებათა სამმართველოს და ქვემო ქართლის ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა დღეს რუსთავი-გამარჯვების გზაზე დიდი ოდენობით ძვირადღირებული თევზით დატვირთული მანქანა დააკავეს. როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, მანქანაში აღმოჩნდა დაახლოებით 22 ათასი ლარის ღირებულების 1630 კილოგრამი ზუთხი, სვია და სათალი. უსაბუთო ტვირთი ამჟამად რუსთავში, მაცივარში ინახება, სამართალდამცველები კი იმას არკვევენ, თუ რა გზით შემოვიდა იგი. გარდა ამისა, დღესვე ფინანსური პოლიციის სპეცდავალებათა სამმართველომ და ქვემო ქართლის განყოფილებამ ერთობლივი რეიდი განახორციელეს და გარდაბნის მხრიდან ლილოს ბაზრობისკენ მიმავალი ავტომანქანა "ვაზი" დააკავეს, რომელიც უსაბუთო სამრეწველო საქონლით იყო დატვირთული. ტვირთის ღირებულების ოდენობა დგინდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. სამართალდამცავებმა დააკავეს ქურდული ტრადიციების მატარებელი, კრიმინალური სამყაროს ერთ-ერთი ლიდერი, მეტსახელად „ბურვაკა". იგი იყო ე.წ. კანონიერი ქურდის, ტრისტან სიჭინავას, იგივე „ღეროს" მარჯვენა ხელი კახეთის მხარეში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სამართალდამცავებმა დააკავეს თემქის დასახლებაში მცხოვრები, 20 წლის ვასილ ჩადუნელი და გლდანის III მიკრორაიონში მცხოვრები, 18 წლის ალექსანდრე ბანდური. დაკავებულებს ჩხრეკისას აღმოაჩნდათ გაუფორმებელი საფანტის ტიპის პისტოლეტი მჭიდით და სამი ვაზნით, კუსტარული წესით დამზადებული დანა.მათ დაკავებისას წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციის თანამშრომლებს - ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს პირველი განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს ქვეგანყოფილების ინსპექტორს, პოლიციის უფროს ლეიტენანტ დავით ამირანაშვილს დანით მიაყენეს ჭრილობა ხელის არეში. **მედია-ნიუსი**

გრიგოლ ხურცილავას სასამართლო პროცესი დღეს განახლდება

ხათუნა ჭანგირაშვილი

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, დღეს თბილისის საოლქო სასამართლოში, გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის სასამართლო გამოძიება განახლდება. თუკი გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში გრიგოლ ხურცილავას სასამართლო პროცესი პირდაპირი ეთერის თანხლებით, ინტენსიურად, ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა და განაჩენმაც არ დააგვიანა, საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატაში გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის გამოძიება ზედმეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს და სასამართლო პროცესები თითქმის ორთვიანი ინტერვალებით იმართება. ამის მიზეზად საოლქო სასამართლოს სამუშაო გრაფიკის გადატვირთულობა სახელდება.

შეგახსენებთ, გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს მიერ გრიგოლ ხურცილავასთვის გამოტანილი განაჩენი დაზარალებულმაც გაასაჩივრა და მსჯავრდებულმაც. დაზარალებული მხარე საქმის ხელახლა გამოძიებას და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას მოითხოვს. მსჯავრდებული და მისი ინტერესების დამცველი კი განზრახ მკვლელობის ბრალდების აფექტის მდგომარეობაზე გადაკვალიფიცირებას ითხოვენ.

საოლქო სასამართლოში მკვლელობის საქმის გამოძიება ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბრის თვეში დაიწყო, თუმცა, მას შემდეგ სასამართლო პროცესი მხოლოდ სამჯერ ჩატარდა. საოლქო სასამართლოში დღემდე რამდენიმე მოწმე დაიკითხა, მათ შორის არიან მსჯავრდებულის და, ძაბული ხურცილავა (რომლის ჩვენებასაც, პირველი ინსტანციის სასამართლოსგან განსხვავებით, გრიგოლ ხურცილავას ხმაური არ მოჰყოლია) და ხურცილავების რამდენიმე მეზობელი. საოლქო სასამართლოში დაიკითხა, აგრეთვე, ნათელა ქართველიშვილი, რომელმაც, როგორც გლდანი-ნაძალადევის სასამართლოში, საოლქოში მიმდინარე პროცესზეც მოსამართლეს გამოძიების ვერსიის საწინააღმდეგო ჩვენება მისცა.

საოლქო სასამართლოში ჯერ არ დაკითხულან ბრალდების მთავარი მოწმეები - ხურცილავას მეგობარი მალხაზ ხვედელიანი და მისი სიმამრი ამირან ადეიშვილი, თუმცა, როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, მსჯავრდებულის მეგობარს და სიმამრს საოლქო სასამართლოში არ დაკითხავენ. საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატა მსჯავრდებულის მეგობრის მალხაზ ხვედელიანის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებას დაეყრდნობა. ამის მიზეზი თავად ხვედელიანის სურვილია. **"ვადასტურებ ჩემს ადრინდელ ჩვენებას და გთხოვთ, მტკიცებულებად ეს ჩვენება გამოიყენოთ",** - ასეთი განცხადებით მიმართა ხვედელიანმა საოლქო სასამართლოს. მისი სიმამრის ამირან ადეიშვილის ჩვენებას კი საოლქო სასამართლოში უბრალო მიზეზის გამო ვერ მოისმენენ – ამირან ადეიშვილი საქართველოში არ იმყოფება. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ის ამჟამად აზერბაიჯანის ციხეშია. ჩვენივე ინფორმაციით, თაღლითობის ბრალდებით, აზერბაიჯანულმა მართლმსაჯულებამ მას 13-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

დღევანდელ სასამართლო პროცესზე ელენე თევდორაძისა და რუსუდან ბერაიძის დაკითხვაა დაგეგმილი. ორივე მათგანს გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ ჩვენების მისაცემად საკმაოდ დიდი დრო დაუთმო.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე

აცხადებს კონკურსს

საეთერო ტელერადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად

“კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ” საქართველოს კანონის 362 მუხლის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე ლიცენზიის გასაცემად კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კონკურსის გამოცხადების საფუძვლების - თავისუფალი რესურსის არსებობის და/ან ლიცენზიის მაძიებლის მიერ კომისიისათვის შესაბამისი განცხადების წარდგენის შემთხვევაში.

კომისია აღნიშნავს, რომ, კომისიას მიმართა შპს „ქართული კულტურის ტალღა“-მ წერილით (02.04.2004) ქ. თბილისის ზონაში საეთერო საერთო რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ. ამასთან, მაუწყებლობის სიხშირეთა განაწილების გეგმით განსაზღვრულია ქ. თბილისის სამაუწყებლო ზონაში თავისუფალი სიხშირე - 98.0 მგჰც.

"კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა და 455 მუხლის, „კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე და სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის განსაზღვრისა და სალიცენზიო გადასახდელის გადახდის წესის შესახებ“ დებულების მე-2 მუხლის თანახმად, კომისიამ

გადაწყვიტა:

1. გამოცხადდეს კონკურსი საეთერო საერთო რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად შემდეგი პირობებით:

ა) ერთი გადამცემის გამოყენებით, მითითებული სამაუწყებლო ზონის მიხედვით:

	სამაუწყებლო ზონა	ანტენის განთავსების ადგილი	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის სიმაღლე მინის ზედ. მ	სიხშირე მგჰც	სიმძლ. კვტ	მაუწყებლობის საშ. რად კმ.
1	1	თბილისის ანძა	44E47; 41N41	100	98.0	1	25

შენიშვნა:

სამაუწყებლო ზონები განსაზღვრულია კომისიის 2003 წლის 13 ივნისის N 267 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით.

გეოგრაფიული კოორდინატები მითითებულია საანძო კონსტრუქციისათვის. შესაძლებელია ანძის კონსტრუქციის აგება აღნიშნული კოორდინატებიდან 50-150 მეტრის რადიუსში ზღვის დონიდან ანტენის განთავსების მითითებული სიმაღლის შენარჩუნებით (კანონმდებლობით დადგენილი აუცილებელი ნებართვების მიღების შემთხვევაში).

ბ) სამოქმედო ზონა – ქ. თბილისი (სამაუწყებლო ზონა 1)

გ) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა განისაზღვროს **10 692** (ათი ათას ექვსას ოთხმოცდათორმეტი) ლარით;

დ) კონკურსის ჩატარების თარიღად გამოცხადდეს **2004 წლის 16 ივლისი 12:00 საათი.**

ე) ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მოხდეს **2004 წლის 3 ივნისის 17 საათამდე;**

2. ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი კომისიას მიმართავს განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) ფიზიკური პირისთვის – სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, რეგისტრაციის მონაცემები, მისამართი, მოქალაქეობა;

ბ) იურიდიული პირისთვის – საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, მონაცემები დამფუძნებლების შესახებ;

გ) ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის სახე, რომლის მიღებასაც მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;

დ) ტელერადიომაუწყებლობის სავარაუდო ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში;

ე) ტელერადიომაუწყებლობის დადგენილი პრიორიტეტების უზრუნველყოფის პირობები;

ვ) სამაუწყებლო ზონის დასახლებული ტერიტორიის მაუწყებლობით მოცვის გრაფიკი და სამაუწყებლო ზონაში პრაქტიკული საქმიანობის დაწყების ვადები;

ზ) ტელერადიოპროგრამების გავრცელებისათვის გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებები;

3. ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

ბ) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე. ლიცენზიის მიუღებლობის შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს უბრუნდება აღნიშნული თანხა, საბანკო მომსახურების ხარჯების გამოკლებით, კომისიისთვის წერილობითი განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დარჩენილი თანხა გადაიხადოს კონკურსის პირობების შესაბამისად.

გ) სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები; ფიზიკური პირისათვის – აგრეთვე, პირადობის მოწმობის ასლი;

დ) ლიცენზიის მიღების შემთხვევაში განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია;

ე) სამაუწყებლო საქმიანობის დოკუმენტურად დასაბუთებული დაფინანსების გეგმა;

ვ) განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკური პროექტი, რომელმაც სამშენებლო, სანიტარულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური ექსპერტიზისა და სათანადო ნებართვების უზრუნველყოფის მიზნით ექსპერტიზა უნდა გაიაროს კომისიასთან შექმნილ მუდმივმოქმედ ქვეკომისიაში. ლიცენზიის მაძიებელი კონკურსზე დაიშვება ქვეკომისიის დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში.

4. კომისია არ მიიღებს წარმოებაში ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ, თუ მის მიერ არასრულყოფილადაა წარმოდგენილი ამ გადაწყვეტილების მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული მონაცემები და დოკუმენტაცია, რის თაობაზეც ლიცენზიის მაძიებელს განემარტება განცხადების წარდგენისთანავე. დაუშვებელია კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადებისა და დოკუმენტაციის კომისიისათვის საფოსტო გზავნილების სახით მიწოდება. კონკურსის ჩატარების დროს სავალდებულოა ლიცენზიის მაძიებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის დასწრება;

5. ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის მიღება, "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 452 და 362 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ეკრძალება:

ა) უცხო ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს და მის წარმომადგენლებს;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეს, მოქალაქეობის არმქონე პირს და მათ წარმომადგენლებს;

გ) უცხოეთის კანონმდებლობის მიხედვით რეგისტრირებულ პირს, მის წარმომადგენლობებსა და ფილიალებს;

დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომლის საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტი ეკუთვნის ამ პუნქტის „ბ"–„გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სუბიექტს.

ე) პირს, რომელიც კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში FM რადიოსამაუწყებლო სიხშირული რესურსის საერთო მოცულობის 50%-ის ან მეტის მფლობელი გახდება ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრულ კონკრეტულ სამაუწყებლო ზონაში.

6. კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება შემდეგი ასპექტების მიხედვით:

ა) ტექნიკური;

ბ) ფინანსური;

გ) პროგრამირების.

7. ტექნიკური ასპექტის შეფასებისას კომისია პრიორიტეტს ანიჭებს ლიცენზიის მაძიებლის მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პირობას, აგრეთვე მის მიერ მაუწყებლობის პროცესში გამოყენებული ტექნიკური საშუალებების ევროპულ ჰარმონიზებულ სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხს.

ტექნიკური ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 1 ქულა.

8. ფინანსური ასპექტი შეფასდეს წარმოდგენილი სამაუწყებლო საქმიანობის დოკუმენტალურად დასაბუთებული დაფინანსების გეგმის თანახმად, მიმდინარე და მომავალში საქმიანობის დაწყებისა და გაფართოების დაფინანსების წყაროების და მოცულობის მიხედვით, შემდეგი ჩამონათვალის შესაბამისად:

ა) საკუთარი წყაროები (მათ შორის უშუალოდ განხორციელებული საქმიანობიდან მისაღები სავარაუდო შემოსავლები);

ბ) სესხები;

გ) სუბსიდიები, გრანტები და სპონსორული დაფინანსება;

დ) საინვესტიციო ვალდებულებები;

ფინანსური ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 2 ქულა;

9. პროგრამირების ასპექტი შეფასდეს წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციის კომისიის 2003 წლის 13 ივნისის N267 გადაწყვეტილებით განსაზღვრული ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტებთან შესაბამისობის, აგრეთვე მასში ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ოდენობის მიხედვით. პროგრამირების ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 3 ქულა.

10. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის "დ", "ე", "ვ", "ზ" ქვეპუნქტით, მე-3 პუნქტის "დ" და "ე" ქვეპუნქტებით, მე-8 და მე-9 პუნქტების მოთხოვნების ამსახველი მასალები უნდა წარმოადგინოს ბიზნეს-გეგმის სახით, რომელსაც თან უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

11. გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია – ტექნიკური, ფინანსური და პროგრამირების ასპექტების მიხედვით დაგროვილი ქულების მაქსიმალური რაოდენობა.

12. კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება კომისიის სხდომაზე. კომისიის სხდომაზე დგინდება საჭირო დოკუმენტაციის არსებობა და კონკურსის პირობებთან შესაბამისობა. კონკურსში მონაწილეობისთვის არ დაიშვება ის პირი, რომელსაც არასრულად აქვს წარმოდგენილი დოკუმენტაცია ან მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს ან კონკურსის პირობებს. სხდომის ოქმი, რომელსაც კონკურსის დამთავრების შემდეგ ხელს აწერენ საკონკურსო სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი, მოწმდება კომისიის ბეჭდით.

13. თუ კონკურსის ორი ან მეტი მონაწილის ქულების ოდენობა თანაბარია, კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 455 მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, შემდეგი წესით:

ა) საკონკურსო სხდომის თავმჯდომარის მიერ ხდება სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის დაფიქსირება და თანხის იმ მინიმალური ოდენობის გამოცხადება, რომელიც უნდა დაემატოს კონკურსის მსვლელობისას ბოლო მაქსიმალურ განაცხადში დაფიქსირებული თანხის ოდენობას (საკონკურსო ბიჯი), რომელიც შეადგენს სალიცენზიო გადასახდელის 5 პროცენტს დამრგვალებულს მთელ რიცხვამდე. საკონკურსო ბიჯი უცვლელია. იგი ჯერადად უნდა დაემატოს კონკურსის მსვლელობისას ბოლო მაქსიმალურ განაცხადში დაფიქსირებულ თანხის ოდენობას.

ბ) კონკურსის მონაწილის მიერ კონკურსის დაწყებისას დაფიქსირებული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს ნაკლები სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობისა და საკონკურსო ბიჯის ჯამისა.

გ) ყოველი მომდევნო მონაწილის მიერ თანხის დაფიქსირება ხდება წინა მონაწილის მიერ თანხის დაფიქსირების შემდგომ საკონკურსო ბიჯის დამატებით. კონკურსის მონაწილეს უფლება აქვს დააფიქსიროს საკონკურსო ბიჯზე მეტი თანხა.

დ) კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება ის მონაწილე, რომელიც კონკურსის მსვლელობისას დააფიქსირებს გადასახდელი თანხის მაქსიმალურ ოდენობას.

ე) ყოველი მონაწილის მიერ დაფიქსირებული თანხა აისახება სხდომის ოქმში.

14. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ მიიღება კომისიის გადაწყვეტილება. კომისიის გადაწყვეტილების ასლი კონკურსის შედეგების შესახებ ეგზავნება კონკურსის ყველა მონაწილეს.

15. სალიცენზიო გადასახდელის ოდენობა ან სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა და გადახდის პირობები მითითებული უნდა იყოს კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაში.

16. კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულისათვის ლიცენზიის გაცემის თაობაზე სალიცენზიო გადასახდელის ან სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 20%-ის კომისიის ანგარიშზე, ხოლო 10%-ის კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე თანხების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში. დარჩენილი ნაწილის გადახდა უნდა მოხდეს ლიცენზიის მოქმედების ვადის პირველი წლის გასვლიდან მომდევნო ცხრა წლის განმავლობაში თანაბარწილად ლიცენზიის მოქმედების ვადის ყოველი მომდევნო წლის პირველივე თვის განმავლობაში სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე, კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად.

17. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის პროცესში დაიცვას საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან/და შეთანხმებებით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი", "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ", "დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ", „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ", „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ", „რეკლამის შესახებ" და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონებით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესები.

18. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის განხორციელების პროცესში უზრუნველყოს მისთვის ლიცენზიით განსაზღვრული სამაუწყებლო ზონ(ებ)ის სრულად დაფარვა ლიცენზიით განსაზღვრულ ვადაში, საკუთარი სამაუწყებლო ქსელის შექმნის ან სხვა პირის ტექნიკური საშუალებების სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე გამოყენების გზით.

19. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია კომისიას მოთხოვნისთანავე წარუდგინოს მაუწყებლობის პროცესში ტელერადიოპროგრამის გავრცელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

20. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის დაწყების შემდეგ კვირაში ერთხელ კომისიას მიაწოდოს და გამოაქვეყნოს ყოველი მომდევნო კვირის სამაუწყებლო ბადე.

21. კონკურსის საფუძველზე ლიცენზიის მიღებისას კონკურსის პირობები და ლიცენზიის მაძიებლის მიერ კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნული პირობები აისახება კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიის განსაკუთრებულ პირობებში, როგორც ტელერადიომაუწყებლობის ოპერატორის ვალდებულებები.

22. საკონკურსო სხდომა საჯაროა.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, მისამართზე:
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N 42 ტელ.: 921667 ფაქსი: 921625

პრეპარატი ისევ აფთიაქებშია

ამ წერილის დაწერა გარკვეულწილად იმან განაპირობა, რომ, მიუხედავად ზღვა ინფორმაციისა და არაერთგზის ატეხილი ხმაურისა, გერმანული კომპანია „ველედას“ სკანდალური პრეპარატის „ჰაილზალბეს“ თაობაზე არაფერი გარკვეულა. ამდენად, თავს ვალდებულად ვთვლი, ყველა ინფორმაცია, რაც „ველედას“ წარმოებულ პრეპარატ „ჰაილზალბეზე“ და მის შემცველ „სტიბიუმზე“ მაქვს ხელთ, საზოგადოებას მივაწოდო.

ოთარ ქირია

საპასუხო წერილის სახით, რედაქციაში გამოგზავნილ (გამოქვეყნდა „24 საათის“ 22 მარტის ნომერში) წერილში „ველედას“ წარმომადგენელი ანი ბაზირაშვილი იუწყება, რომ ჟურნალისტი ქირია გადაუმოწმებელ ინფორმაციას აქვეყნებს. რამდენიმეჯერ ვცადე კომპანიასთან და მის წარმომადგენლებთან ამ საკითხის შესახებ საუბარი. მეტიც, ჟურნალისტი რა მოსატანია, როცა მედიკოსების ლამის სრული შემადგენლობა აპროტესტებს „ჰაილზალბეს“. “ველედასთან” საუბარი შეუძებელია, ვინაიდან, მათივე აზრით, მე, თურმე, „დაინტერესებული“ პირი ვარ. ნამდვილად ვარ დაინტერესებული იმით, რომ ქვეყანაში შხამიანი პროდუქცია არ გამოიყენებოდეს, მით უმეტეს, მეძუძური დედებისა და ჩვილი ბავშვების შემთხვევაში.

სანამ იმ დოკუმენტს წარგიდგენდეთ, რომელიც საბოლოოდ დაადასტურებს მალამო „ჰაილზალბეს“ არამიზნობრიობას, მწარმოებელთა ყურადღებას რამდენიმე სამედიცინო სახელმძღვანელოს მივაპყრობ. იქნებ, ეს მაინც გახდეს ამ წამლის ძირეული შესწავლის საფუძველი. ჟურნალისტური სამსახური არ მაძლევს იმის უფლებას, რომ საკუთარი პოზიცია დავაფიქსირო, თუმცა ამ კომპანიის წარმომადგენელთა მიერ გავრცელებული თავხედური ჭორები მაიძულებს, ხაზი გავუსვა იმ სიცრუეებს, რაც ბაზირაშვილს ზემოთ ხსენებულ წერილში მოჰყავს.

ბაზირაშვილი საუბრობს იმაზე, რომ „ჰაილზალბე“ ევროპის 14 ქვეყანაში გამოიყენება. ჯერ ერთი, ამის შესახებ მხოლოდ ბაზირაშვილისგან ვიცით და არანაირი ოფიციალურად დამოწმებული დოკუმენტი არ გვინახავს. მეორეც, ასეც რომ იყოს, რა ვალდებულია საქართველო, ენდოს არა საკუთარ მეცნიერებს, არამედ ტაუცს, ულრიხს, ლამერდინსა და ბოსჰარდს, რომლებიც მხოლოდ „ველედას“ ინფორმაციით არიან დოქტორები და მათ არ ვიცნობთ.

ბაზირაშვილს მოჰყავს ციფრები, რომლის თანახმადაც, „სტიბიუმი“ ამ წამალში დასაშვები დოზით არის და მისი ბავშვის ორგანიზმში მოხვედრა უარყოფით შედეგს არ გამოიღებს. თავდაპირველად იგი ამტკიცებდა, სტიბიუმი დედის მკერდიდან ბავშვის ორგანიზმში საერთოდ არ ხვდებაო. დღეს, როცა თავად მოწმობს ამის საწინააღმდეგოს, დასტურად მოჰყავს ავსტრიის, იტალიისა და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტანდარტები თუ მაგალითები.

თსუ ბიოორგანული ქიმიიის კათედრის გამგის რამაზ გახოკიძის დასკვნაში ვკითხულობთ, რომ „ჰაერში სტიბიუმის ზღვრულად დასაშვები ნორმა კონცენტრაცია არის 0.01 მგ/მ3, ნიადაგში – 4.5 მგ/მ3, წყალში – 0.05 მგ/ლ.“ პრეპარატის ინსტრუქციის თანახმად კი 10 გრამი „ჰაილზალბე“ 0.005 გრამ სტიბიუმს შეიცავს, რაც გაცილებით მაღალი დოზაა, ვიდრე ხსენებული “ნორმები“. ანალოგიური შეიძლება იხილოთ „მაშკოვსკისა“ და „გრაციანსკის“ სამედიცინო სახელმძღვანელოებშიც.

ამასთან, გთავაზობთ ამონაწერს ვადიმ სააკაძის სახელმძღვანელოდან „პროფესიული დაავადებები“: „მსოფლიოში დიდი გამოხმაურება გამოიწვია პრეპარატმა „ტალიდომიდმა“, რომელსაც საზღვარგარეთ 60-იან წლებში იყენებდნენ, როგორც საძილე საშუალებას ორსული ქალებისთვის. ამ პრეპარატის ტერატოგენული ეფექტი გამოვლინდა ნაყოფთა კიდურების აღნაგობის დარღვევის სახით (ექვსი თითის განვითარება, მტევანი-ფარფლი), თავის ტვინის განვითარების პათოლოგიით (ჭკუასუსტობა). სწორედ ამ პერიოდიდან ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ დაავალა სათანადო სამსახურებს ნაყოფზე ქიმიური ნივთიერებების ტერატოგენული მოქმედების შესწავლა. სადღეისოდ ნუსხა ქიმიური ნივთიერებებისა, რომელთა ტოქსიკური მოქმედება პოტენციურ საშიშროებას წარმოადგენს ნაყოფზე ტერატოგენული თვალსაზრისით, საკმაოდ დიდია: ვერცხლისწყალი, ტყვია, სტიბიუმი, დიქლორეთანი, ჰიდრაზინი, ბენზოლი, დიქლორდიფენილტრიქლორეთანი – დდტ, სევინი, ცინები, მანგანუმი და მრავალი სხვა.“

ბაზირაშვილი ამბობს, რომ სტიბიუმი, პრაქტიკულად, უხსნადია წყალსა და მარილმჟავაში, ის არ გაინიცდის შეწოვას და არ გააჩნია კუმულაციის უნარი. ბალეზინის, რაზუმოვსკისა და ფილკოს სახელმძღვანელოში „არაორგანული ქიმიის პრაქტიკუმი“ ვკითხულობთ, რომ „სტიბიუმი და მისი ნაერთები არ იხსნება წყალში, მაგრამ იხსნება მჟავებში“, ადამიანის კუჭი კი, მოგეხსენებათ, მჟავე არეს წარმოადგენს. ამავე წიგნში ისიც წავიკითხეთ, რომ წყალბადთან შეერთების დროს (ანუ მაინც იხსნება) სტიბიუმი წარმოქმნის „სტიბინს“, რომელიც ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მომწამლავი გაზი. ვავილოვას „ფარმაკოდინამიკაში“ წერია, რომ „სტიბიუმი ორგანიზმში მოხვედრიდან 100 დღის შემდეგ გადის შარდის საშუალებით“, თუ ასი დღე რჩება, ე.ი. მაინც გააჩნია კუმულაციის უნარი. რაც შეეხება შეწოვას, „დიდ სამედიცინო ენციკლოპედიაში“ (ტომი 24) გვამცნობენ, რომ „პარენტერალური მიღებისას სტიბიუმი განსაკუთრებით სწრაფად შეიწოვება სისხლში და დეპონირდება მონონუკლეარულ ფაგოციტებში და პარენქიმატოზულ ორგანოებში (მაგალითად, ღვიძლი, თირკმელი, ფარისებური ჯირკვალი)“.

არსებობს ასევე 2000 წელს რუსეთის მიერ დამტკიცებული პოტენციურად საშიში ნივთიერებების სია და უკრაინის მიერ 2003 წელს დამტკიცებული ანალოგიური ნუსხა. აღსანიშნავია, რომ უკრაინამ სია იმ შემადგენლობით დაამტკიცა, როგორითაც ევროგაერთიანებამ. ორივე სიაში სტიბიუმიც არის მოცემული და მისი ნაერთებიც (CAS 7470-36-0).

ბაზირაშვილი საუბრობს იმაზეც, რომ სხვადასხვა უწყებებმა პრეპარატი „ჰაილზალბე“ დამატებით შეისწავლეს და დადებითად შეაფასეს, ხოლო კომპანია „ველედა“ დაზარალებულად მიიჩნიეს. იურისპრუდენციაში ჩახედული ადამიანი აუცილებლად მიხვდება იმას, რომ თუ სამართალდამცველმა საქმე არ აღძრა, ვერც „ველედას“ და ვერც

სხვა ვინმეს ის დაზარალებულად ვერ ცნობდა. ალბათ, ეს შეცდომა ბაზირაშვილმა თავის წერილში უფრო შემთხვევით დაუშვა, ვიდრე შეგნებულად.

შსს-ში მართლაც დაიწყეს საკითხის მოკვლევა, თუმცა, როგორც ამ საქმით დაკავებული ლადი ცანავა აცხადებს, მასზე არაღძრის დადგენილება გამოიტანეს. „თოფურიამ წამალს ერთხელ უარყოფითი დასკვნა მისცა, მეორეჯერ კი დადებითი, გამომდინარე აქედან, საქმე არ აღიძრა,“ – აცხადებს ყოფილი შსს-ელი.

„24 საათი“ თინათინ თოფურიასაც დაუკავშირდა: „ჰომეოპათთა საბჭოს, რომელშიც შედიოდნენ ხუთი არასამთავრობო ორგანიზაცია და სხვათა შორის სამინისტროს ფარმ-კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ჭუმბურიძეც, დადებითი დასკვნა არ გამოუტანია. თავიდან საერთოდ უარი ვუთხარით ამ წამლის გამოყენებაზე. მოგვიანებით კი, როცა ჯანდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ დარეგისტრირებული წამლის ამოღება პრაქტიკულად შეუძლებელია, დავწერეთ, რომ წამალი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენებიდან ამოიღებდნენ დანიშნულებას მეძუძური დედებისთვის. შსს-ში ასე ამიხსნეს – გვანახეთ გარდაცვლილები და საქმეს აღვძრავთო. მე საიდან უნდა მომეყვანა 50 გარდაცვლილი. ან რა, აუცილებლად ვიღაცა უნდა მოკვდეს, რომ პრეპარატის ვარგისიანობაზე დავფიქრდეთ?! მით უმეტეს, როცა “ჰაილზალბეს” ინსტრუქციასაც კი ეწერა, რომ წამალი შესწავლის სტადიაშია,“ – ამბობს თოფურია.

„ჰაილზალბეს“ გარშემო ატეხილი ხმაური ბიოეთიკის ეროვნულ საბჭოზეც გაიტანეს განსახილველად. მართალია, ბაზირაშვილი აცხადებს, რომ საბჭომ წამალი ჩვეულებრივი ჩვენებით დატოვა ხმარებაში, ეს ასე არაა. საბჭო წერს: „დროებით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მალამო „ჰაილზალბე“ გამოიყენებოდეს იმ ჩვენებით, რაც დამტკიცებულია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ. მოძიებულ იქნეს ტოქსიკოლოგების დასკვნა სტიბიუმის ტოქსიურობის შესახებ,“ – ვკითხულობთ დასკვნაში.

რა თქმა უნდა, სამინისტროში არავის უზრუნია იმაზე, რომ ტოქსიკოლოგებს დასკვნა დაეწერათ, ვინაიდან ლამის მთელი სამინისტრო ლობირებდა ამ კომპანიას. დღეს სხვა დროა. ტოქსიკოლოგთა ასოციაციის თავმჯდომარეს, შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ტოქსიკოლოგიის განყოფილების გამგეს ინგა ღვინერიას ვესაუბრეთ:

- არსებობს ასეთი დოკუმენტი, სახელწოდებით “სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესები და ნორმები”, რომელშიც მოცემულია ჩამონათვალი იმ ნივთიერებებისა თუ ტოქსინებისა, რომლებიც, გარემოს დაბინძურების გამო, შესაძლოა, პროდუქტებში არსებობდნენ. ამ დოკუმენტში ცალკე თავი აქვს მიძღვნილი რძეს და რძის პროდუქტებს და არსად წერია, რომ სტიბიუმის რაიმე დასაშვები დოზა არსებობს. სიაში არსებობს – კადმიუმი, სპილენძი, დარიშხანი, ვერცხლისწყალი და სხვა მრავალი ტოქსიური ნივთიერება, თუმცა სტიბიუმი არსად წერია, ასე რომ, ის რძეში არ არის და ვერც იქნება.

- რამდენად საშიშია სტიბიუმი და ჩვენს გარემოში თუ არის ის?

- საკმაოდ ტოქსიური მეტალია. ადამიანის ორგანიზმში ნებისმიერი გზით მოხვედრის შემთხვევაში, იწვევს მძიმე ინტოქსიკაციას, ცნობილია ისიც, რომ ადამიანებს, რომლებიც მუშაობენ სტიბიუმის გადამამუშავებელ საწარმოებში, აქვთ ქრონიკული პროფესიული დაავადებები, მათ სპეციალური მკურნალობა ენიშნებათ. შესაძლოა მსოფლიოს სხვა ქვენებში სტიბიუმი დიდი დოზით არის გარემოში, მაგრამ საქართველოში უამრავი კვლევაა ჩატარებული და მსგავსი არავის არასდროს უთქვამს. გარდა ამისა, საქართველოში კვებითი ღირებულება ძალიან დაბალი ხარისხისაა, ვიდრე ევროპის ქვეყნებში და ამ დროს ტოქსინების განეიტრალება შეფერხებულია, რაც მძიმედ მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

- ამბობენ, რომ ეს წამალი დიდი წარმატებით სარგებლობს.

- არანაირი მოსაზრება, რა ხდება ქვეყნის გარეთ, არ მაინტერესებს. თუ მე მეკითხებით, როგორც ტოქსიკოლოგს, გეუბნებით, რომ “ჰაილზალბეს” მოხმარება მიზანშეწონილი არ არის, მითუმეტეს, როცა საქმე გვაქვს ჩვილ ბავშვთან. ბავშვს არ გააჩნია ასეთი ნივთიერების წინააღმდეგ ბრძოლის უნარი.

- კომპანია აცხადებს, სტიბიუმი ბავშვის სხეულში არ ხვდებაო.

- გამორიცხულია. თუ დედამ მკერდი დაიმუშავა ამ პრეპარატით, ის ვერანაირად ვერ მოახერხებს მის ჩამორეცხვას. ეს წამალი არ უნდა გამოიყენებოდეს.

■ ■ ■

ჩვენ გადავამოწმეთ ღვინერიას მიერ ხსენებული დოკუმენტი, ის გამოქვეყნებულია საკანონმდებლო მაცნეში №9 27/08/2001. დავეკითხეთ ასევე პედიატრებსაც, თუმცა არავის არასდროს გაუგია, რომ სტიბიუმი შესაძლოა, რძეში არსებობდეს. ერთ-ერთმა პედიატრმა ისიც გვირჩია, “თუ ასეთი უვნებელია სტიბიუმი, ნახეთ უცხოური წარმოების ბავშვთა კვების კოლოფებზეც. გავესაუბრეთ მათ შემომტან კომპანიებსაც. არავინ არაფერი იცის სტიბიუმის შესახებ.

კიდევ ერთი, ბაზირაშვილი აცხადებს, რომ ჟურნალისტმა ქირიამ გადაუმოწმებელი ინფორმაცია გამოაქვეყნა. გადაუმოწმებელს კი იმიტომ ამბობს, რომ ჰომეოპათი თოფურია, რომელიც მასალაში მოვიყვანე რესპონდენტად, თურმე არარსებული ჰომეოპათიის აკადემიის რექტორია. თოფურიამ ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება არ ისურვა. მან არც იმ შეკითხვაზე გვიპასუხა, აპირებს თუ არა „ველედას“ წარმომადგენლის ბრალდებაზე სასამართლოში ჩივილს. საბოლოოდ აკადემიის პრორექტორს თორნიკე ალაშვილს დავუკავშირდით:

- აკადემია უკვე ოთხი წელია, არსებობს. ის ევროპარლამენტის ჰომეოპათიური კომიტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამის შესაბისად ფუნქციონირებს. აკადემიის საპატიო რექტორი არის ალტერნატიული ნობელის პრემიის ლაურეატი ჯორჯ ვიტულკასი. სწავლება სწორედ მისი პროგრამით მიმდინარეობს. მსგავსი დონის აკადემია არათუ საქართველოში, არამედ კავკასიაში და აღმოსავლეთ ევროპაშიც არ არსებობს.

- ვინ არის ვიტულკასი?

- მსოფლიოში ცნობილი ბერძენი ჰომეოპათი. ჰომეოპათიის კორიფე.

- აკადემია რას საქმიანობს?

- ეს არის პოსტდიპლომური სასწავლებელი. აკადემიიის სტუდენტები გადიან ორწლიან კურსს ჰომეოპათიის სპეციალობაში და იღებენ დიპლომს, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ევროსტანდარტებს.

■ ■ ■

დაბოლოს იმ დოკუმენტის შესახებ, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდით. სხვათა შორის ეს დოკუმენტი არა მარტო „ველედასთვის“, არამედ მთელი საქართველოსთვის უნდა იყოს საინტერესო, რადგან კიდევ ერთხელ ადასტურებს წინა ხელისუფლების ან არაპროფესიონალიზმს, ანდა შავბნელ ინტერესებს. საქმე ისაა, რომ 2001 წლის 16 აგვისტოს ჯანდაცვის მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ გამოსცა ბრძანება №307/6 „პირის ღრუს ჰიგიენური საშუალებებისა და პარფიუმერულ-კოსმეტიკური პროდუქციის წარმოების, ხარისხისა და უსაფრთხოებისადმი მოთხოვნების წაყენების შესახებ“. ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, ბრძანებაში მოცემულია სია იმ ნივთიერებებისა, რომლებსაც არ უნდა შეიცავდეს საქართველოში წარმოებული ან იმპორტირებული კოსმეტიკური პროდუქცია. ამ სიაში მე-40 ნომრით განთესილია სტიბიუმი და მისი ნაერთები.

თუმცა, იქვეა მითითებული, რომ დოკუმენტი არ ვრცელდება სამკურნალო საშუალებებზე. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ჯერ ერთი, კოსმეტიკური საშუალებების უმეტესობას სამკურნალო დანიშნულება აქვს და მეორე – “ჰაილზალბე” ისევე, როგორც ნებისმიერი კოსმეტიკური საშუალება, გარეგანი გამოყენებისთვისაა განკუთვნილი. გამოდის, მაგალითად, შამპუნები და კანის საცხებლები, რომლებიც სტიბიუმს შეიცავს, უკანონოდ ჩაითვლება, „ჰაილზალბე“ კი - არა. არადა, ადამიანი ორივეს კანზე ისმევს. მეორეს მხრივ, თუ, მაგალითად, “ბლენდამედი” შეიცავს სტიბიუმს, ის უკანონოა, ხოლო ჰაილზალბეს მეშვეობით ბავშვის პირის ღრუში მოხვედრილი სტიბიუმი - კანონიერი.

რა თქმა უნდა, არავინ ამბობს, რომ სტიბიუმი მედიცინაში არ გამოიყენება. ამაზე ჩვენ მიერ ხსენებული ლიტერატურაც მიუთითებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ პრეპარატები შეიცავს სტიბიუმის სამვალენტიან ან ხუთვალენტიან მარილებს. ამასთან, ისინი გამოიყენება ისეთი დაავადების დროს, როგორიცაა „შისტომატოზი“ (სასიკვდილოა), რომელიც საქართველოში არ არსებობს, რადგან მას მხოლოდ ტროპიკულ სარტყელში არსებული ჭიები – ჰელმინტები იწვევენ. სამვალენტიანი მარილი გამოიყენება ლეიშმანიოზის სამკურნალოდ, ოღონდ მხოლოდ სასიცოცხლო ჩვენების დროს. არც ერთ სახელმძღვანელოში არავინ საუბრობს მეტალური სტიბიუმის გამოყენებაზე, მით უმეტეს იმ დროს, როცა სასიცოცხლო ჩვენება არ არის დაფიქსირებული.

რა თქმა უნდა, საბოლოო სიტყვა სპეციალისტებზეა. მით უმეტეს, რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, ჯანდაცვის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა ამ წამლით უკვე დაინტერესდა.

თბილისიდან "24 საათი" ინგლისურად.
English newspaper 24 Hours, coming out from February
გამოდის ხელმოწერით.
on subscription basis
e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25

www.24hours.ge 24 B

ნოდარ ლადარია

მომავალ ორშაბათამდე!

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ქრისტე აღდგა!

აღდგომის დღესასწაულის შემდეგ პირველად ვხვდებით ერთმანეთს და სიხარულით უნდა აღვნიშნო, რომ დღევანდელი პუბლიკაციის პირველი წინადადება სულაც არაა ტრადიციისადმი ჩვეული და უმნიშვნელო ხარკი: ვნების შვიდეულში და აღდგომის შემდეგაც "24 საათმა" ორი პუბლიკაცია შემოგვთავაზა, რომელთა მსგავსს ჩვენს თანამედროვეობაში იშვიათად კი არა, შეიძლება ითქვას, ვერც ვერასოდეს ვხედავთ...

მხედველობაში მაქვს ორი სტატია, რომელთა ავტორები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლეს იერარქიაში შედიან: **დმანელი ეპისკოპოსი ზენონი** (7 აპრილი, *კანონი პირმშოა თავისუფლების. მართლმადიდებლობა და ადამიანის უფლებები*) და **დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი აბრაამი** (13 აპრილი, *ევროპული ინტეგრაცია — გზა თუ გამოსავალი?*). ამასთან დაკავშირებით მახსენდება, ათიოდე წლის წინათ რომში მე და ჩემს მეგობარს გვთხოვეს, გადაგვეხედა და, თუ შესაძლებლობა იქნებოდა, რედაქტირება გაგვეწია გასული საუკუნის გამოჩენილი რუსი ღვთისმეტყველის, გიორგი ფლოროვსკის პირადი წერილებისთვის. მახსოვს რვეულის ფურცლებზე მწვანე მელნით დაწერილი ძნელად გასარჩევი ასოები და სიტყვები. ერთ-ერთ წერილში აღწერილი იყო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციის ჩამოსვლა დელის საერთაშორისო კონფერენციაზე. ახალგაზრდა ეპისკოპოსის, ალექსი რიდიგერის (ამჟამად მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქია) შესახებ ფლოროვსკი წერდა: "თავზარი დამცა საეკლესიო უსახურობამ (церковная посредственность)". ჩვენც მრავალი უსახური ეკლესიური ტექსტი წაგვიკითხავს, სადაც აზრი ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრებულ სქემას მისდევს: არც რადიკალიზმი ვარგა და არც ლიბერალიზმი, არც ცივი და არც ცხელი, არც მაღალი და არც დაბალი, არც მარცხენა და არც მარჯვენა... ამ აპოფატიკურ ჯუნგლებში გზააბნეულებს კი იმას არავინ გვიქადაგებდა, რა ვარგა. ხშირად გვეუბნებიან, საითკენ არ უნდა ვიაროთ, მაგრამ არავინ გვეტყვის, საით წავიდეთ.

ამისაგან განსხვავებით, მეუფე აბრაამი თავის სტატიაში წერს:

"**ვფიქრობ, რომ დღეს საქართველოს ეკლესიას შეუძლია, მტკიცედ და მკაფიოდ განაცხადოს, რომ**

1. ისტორიულად ჩვენთვის უცხო იყო და არის ნებისმიერი რელიგიური ფუნდამენტალიზმი და ჩვენ ისევ ერთგულნი ვრჩებით ჩვენს ეკლესიაში არსებული ტოლერანტული ტრადიციებისა.

2. ის მზად არის დიალოგისათვის განსხვავებული კონფესიების და რელიგიების წარმომადგენლებთან.

3. აღიარებს, რომ თანამედროვე ისტორიული მნიშვნელობის მქონე ეტაპზე საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის სრულიად აუცილებელია ევროპულ ქვეყნებთან ინტეგრაცია და გამოთქვამს მზადყოფნას ამაში თავისი პოზიტიური წვლილის შესატანად."

სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, სიტყვა "ეპისკოპოსი" ჩვენში გლობალიზაციის, სამოქალაქო საზოგადოებისა და ლიბერალური ღირებულებების მკვეთრ მოწინააღმდეგეზე გვაფიქრებინებს. საბედნიეროდ, ამ დამკვიდრებულ წარმოდგენაში გვარიანი ბზარი გაჩნდა და დღითი დღე ფართოვდება. იმედია, "24 საათი" კიდევ მოგვანვდის მასალებს, სადაც ასე ორგანულად იქნება შერწყმული სანუკვარი წარსულის ტრადიციები და ახალი დროის ნათელი.

ეს ბოლო წინადადება არ გამომივიდა — გადავიკითხე და სიყალბეს ვგრძნობ. ამ რამდენიმე დღის წინ, ჩემმა კოლეგამ და მეგობარმა, **სოზარ სუბარიმ** მითხრა: "*არ იცი შენ ქართველებთან ლაპარაკი. ამათ ხომ აზრი არ სჭირდებათ: სამაგიეროდ, უთხარი რაიმე ნაცნობი და შთამბეჭდავი სიტყვა, მაგალითად, "ნიშანსვეტი" და საქმეც მოგვარებულია*". ვერაფრით ვისწავლე: რამდენიც არ უნდა ვეცადო, მაინც იჩენს თავს საზიზღარი კონკრეტულობა. ქართველთა სათუთი გული კი მტკივნეულად იკუმშება, როცა ფაქტებს დაულაგებ წინ. რამდენად უფრო მისაღებია, მაგალითად, ასეთი ტონი და სიტყვები, როგორც წლევანდელ სააღდგომო ეპისტოლეში: "**საუკუნეების მანძილზე გარეშე ძალა ყოველთვის ცდილობდა ქვეყნის დაყოფას და კუთხურობის ნიშნით დაპირისპირების შექმნას. დღესაც, თბილისსა და აჭარას შორის წარმოქმნილი პოლიტიკური დაძაბულობა გარკვეულმა ძალებმა სცადეს ქართველებსა და აჭარლებს შორის დაპირისპირებად წარმოეჩინათ. ამ პროვოკაციას ჩვენმა ხალხმა, მათ შორის აჭარის მოსახლეობამაც, საკადრისი პასუხი გასცა — ჩვენ ვართ ერთი ერი, ერთი სახელმწიფო, გვაქვს ერთი კულტურა და ერთი ისტორია. ჩვენი განუყოფელი ნაწილია აფხაზეთიც და სამაჩაბლოც**". ეტყობა, ვბერდები — ვერა და ვერ ამოვიგდე თავიდან წარსულის მოგონებები: ოცდაათიოდე წლის წინათ მუსიკალურ სკოლაში გვამღერებდნენ: "Куба — да! Янки — нет! Прост и ясен наш ответ!"... კაკოი ატვეტ, თუ ღმერთი გწამს?!

კიდევ კარგი, დრომ გამასწრო და გასულ კვირას **ირაკლი** და **ნინია კაკაბაძეების** ახალი უჩვეულო ტენდენცია სტატიებში წარმოჩნდა. თვალი დავხუჭოთ იმაზე, რომ აქაც ქართველები ოჯახურად მოქმედებენ. მთავარი ისაა, რომ და-ძმის სტატიები (გულწრფელად, ქალი მაინც უკეთესად წერს!) ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ დღეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი დეტალით პასუხობს დღევანდელი დღის საჭიროებას: ორივე ავტორი ღიად ასახელებს იმ ადამიანთა გვარებს, ვისთანაც პრეტენზია აქვს. დღეს საქართველოს ჩვეულ ქარაგმათა გახსნის დღე დაუდგა.

ახლა კი ნაწერს გადავხედოთ. ირაკლი კაკაბაძე წერს (13 აპრილი, *შარლატანიზმი არ ნიშნავს კონფლიქტის მოგვარებას*):

"არ შეიძლება სისხლის ღვრა", "არ შეიძლება ბლოკადების ენაზე ლაპარაკი", "ცენტრსა და აჭარას შორის დაპირისპირებას პოლიტიკური მოგვარება სჭირდება" და ა. შ. გმადლობთ, ბატონებო, ეს ყველაფერი ვიცით და უკვე დიდი ხანია. ეს უაზრო სატელევიზიო პრანჭვა განცხადებები საქმეს ამ მხრივ კი არ წასწევს, არამედ კიდევ უფრო გაამწვავებს მდგომარეობას".

ავტორი, რომელიც ამჯერად არ წამოგებულა ყალბი პაციფიზმის ანკესზე, კონფლიქტის მოგვარების საქმეში შარლატანიზმს ვერ ურიგდება. მართალიცაა. ამიტომ მეც იმაზე ვილაპარაკებ, რაც ვიცი, ანუ მედიაზე.

როგორც იქნა, გამოცხადდა, რომ გამოთქმა — "კონფლიქტი ცენტრსა და რეგიონს შორის" — ყალბია. ახლა ისიც უნდა ვთქვათ, რომ გამოთქმები — "კონფლიქტის მოგვარება", "დაპირისპირების თავიდან აცილება" და მისთანა — ყალბი თუ არა, არაფრისმთქმელია. ბოლოს და ბოლოს ცალსახად ან, როგორც **ასლან აბაშიძე** ამბობს, "ერთსახოვნად" უნდა განვაცხადოთ, რას ნიშნავს ჩვენთვის "კონფლიქტის მოგვარება". საკმარისია, თითოეულმა, ვინც კი ამ გამოთქმას იყენებს, ქარაგმა გახსნას და აშკარად თქვას, რას გულისხმობს, რომ ყბადაღებული "დაპირისპირების" ბუნება მაშინვე გასაგები გახდება. აღარავის შეეპარება ეჭვი, რომ ყველა, ვინც ლაპარაკობს რაღაც გარკვეულ თუ გაურკვეველ გარეშე ძალებზე, ქართველთა და აჭარელთა იგივეობაზე, ერთი სიტყვით, ვინც ხან ბანზე გვიგდებს სიტყვას, ხანაც ღია კარს ამტვრევს, სინამდვილეში ასლან აბაშიძის დანაშაულებრივი ფენომენის მომხრეა.

ნუ ეძებთ სიტყვაშეხამებაში "დანაშაულებრივი ფენომენი" რაღაც ტერმინოლოგიურ სიმკაცრეს — მე თვითონ მიჭირს ზუსტი განსაზღვრების მოძიება. აი, ირაკლი კაკაბაძეს საქმეში ჩვენს გასარკვევად **დეივიდ კორეშისა** და **ჯონ აფრიკას** მაგალითები მოჰყავს. მე ერთი უბრალო შარლატანი ვარ, მაგრამ ჩემი ქვეყნის მომავალზე გული მტკივა და იმის იმედი მაქვს, რომ ჩირქის ამოსარწყავად არაა აუცილებელი მისი ქიმიური შემადგენლობის ცოდნა.

ერთი რამ კი უნდა ვიცოდეთ: მეცნიერული კვალიფიკაცია კი არა, კონკრეტული ფაქტები ასლან აბაშიძის პიროვნებისა და მისი გარემოცვის შესახებ. ბოლოს და ბოლოს, თუ იურიდიული სიზუსტით არა, ჟურნალისტური გამბედაობით მაინც უნდა გამოქვეყნდეს ყველაფერი, რასაც "ჩვენი საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლები" ერთმანეთს უზიარებენ მრავალისმეტყველი ღიმილით.

სხვათა შორის, წლევანდელ სააღდგომო ეპისტოლეში ერთმა ადგილმა შემზარა, სულ ორმა სიტყვამ: "ის, რაც კულუარულად იყო ცნობილი...". საქმე სკოლებში სექსუალური აღზრდის ფაკულტატურ საგნად შეტანის მოყირჭებულ პრობლემას ეხება, მაგრამ უბედურება სულ სხვაა: ტექსტი, რომელიც უდიდეს სულიერ დატვირთვას უნდა ატარებდეს, სრულიად ბუნებრივად, ყოველგვარი აღშფოთების გარეშე იღებს იმ მანკიერ ვითარებას, რომ საქართველოში საჭირბოროტო საკითხებზე მხოლოდ ჩურჩულით ლაპარაკობენ. უფრო მეტიც, ტექსტი თითქოს ანგარიშს უწევს ამ ჩურჩულსა და მითქმა-მოთქმას, რომლის სარწმუნოობა ვერავითარი სოციალურად აღიარებული მარკერით არაა დამტკიცებული. ჩვენს ირგვლივ ყველა ღიად საუბრობს იმაზე, რომ ასლან აბაშიძე მკვლელია, რომ იგი ქართული პოლიტიკის სხვადასხვა სუბიექტებს შორის რუსეთიდან შემოსული ფულის გამანაწილებელია. სხვა მრავალიც ითქმის, მაგრამ სანთლით საძიებელია სერიოზული ანალიზური სტატია, ტელეარხებმა კი დიდი-დიდი ერთი ვებერთელა ტოკ-შოუ მოაწყონ, რომელშიც, ვარდების რევოლუციის გათვალისწინებით, გიგა ლორთქიფანიძეს ლაშა ბუღაძე შეცვლის.

ჩვენს მედიაში გამეფებული ამგვარი მდგომარეობა დღითი დღე სულ უფრო აუტანელი ხდება. დღეს ნამდვილად გვაქვს საბაბი ვთქვათ, რომ ქვეყანა, სადაც არც ერთ პროფესიონალ მუსიკოსს საჯარო საშუალებებით არ განუცხადებია, რომ ასლან აბაშიძის ეგიდით დაარსებული "საბავშვო ოპერა" ბოროტი ცინიზმის ზღვარს მიღწეული უნიჭობაა, სადაც ყველაფერი მხოლოდ მიშა მშვილდაძისა და დათო გოგიჩაიშვილის ღადაობით ამოიწურა, ეს ქვეყანა უარესის ღირსია. ნუთუ სულ აღარ შეგვრჩა დემოკრატიული თუ არა, ადამიანური ღირებულებებისადმი პატივისცემა? — რატომ უნდა ყვიროდნენ მხოლოდ ისინი, ვისაც "უშუალოდ ეხება"? დღეს მთავარი მიზანი "მშვიდობიანი მოგვარება" კი არა, იმათი გულების დაპყრობაა, ვისაც ჯერ კიდევ ეპარება ეჭვი, ვინც ჯერ კიდევ ვერ გარკვეულა საქმის ვითარებაში, ვინც ჯერ კიდევ იმედოვნებს, რომ მეორე მხარეს შეიძლება სინდისის ნატამალი იპოვოს, ვინც ჯერ არ დარწმუნებულა, რომ სინდისის ადგილი მხოლოდ აქეთ მხარესაა და არა რომელიმე კერძო პოლიტიკური თუ მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისის, არამედ ადამიანურობის ყველაზე ზოგადი პრინციპების ძალით. და თუ მათ გულებს დავიპყრობთ, სისხლისღვრის საფრთხე თავისთავად გაქრება.

ერთი სიტყვით, კონკრეტულობაა საჭირო. და თუმცა ნინია კაკაბაძე პირდაპირ არ გვეუბნება, სწორედ ამ საჭირო ტენდენციას "აწვება" თვითონ ახალი ტენდენციებისა და პრივილეგიების მამხილებელი (16 აპრილი). პრივილეგიათა მისაღებად საჭირო პირობებს შორის გამოყოფილია სამი: ვარდების რევოლუციის მიტინგებზე დასწრება, ამერიკული დიპლომი და ყოფილი ზვიადისტობა. არ ვიცი, ფიქრობდა ამას ავტორი თუ არა, მაგრამ ერთი მეტად ბასრი მიგნება გამოუვიდა: საქმე ისე მიდის, მარტო ზვიადისტობა საკმარისი აღარაა — ყოფილიც უნდა იყო...

ჩვენ კი ამერიკული დიპლომისა და მისი უქონლობის საკითხი განვიხილოთ. რას იზამ, მიტინგებზე სიარულის მხრივ, ყველაფერი წესრიგში მაქვს, ყოფილი ზვიადისტი, ბევრიც რომ ვეცადო, ვერ გავხდები, ევროპული სამეცნიერო ხარისხის მქონეს კი სწორედ ამერიკული დიპლომი მაღელვებს.

მაშ ასე: წარმოდგენა პირველი, ანუ ამერიკული დიპლომის უქონლობა. აი, 15 აპრილს გამოქვეყნდა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის, ვახტანგ ჭანიას სტატია *რატომ არ სურთ აფხაზებს ქართველებთან ცხოვრება?!* ეს ტექსტი მარგალიტების საგანძურია, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ციტატას მოვიყვან. "**მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში აფხაზებმა ვერ მოახერხეს ვერც ეროვნული დამწერლობის და ვერც ეროვნული მწიგნობრული კულტურის შექმნა, ვერც ქრისტიანული რელიგიისათვის ეროვნული ელფერის მიცემა**". ბედი არ გინდა! — ცდილობ, ცდილობ და ვერ ახერხებ. შუა საუკუნეები კი ელვის სისწრაფით ილევა. გვერდზე კი, საქართველოში სულ ფაცაფუცით ანიჭებენ ეროვნულ ელფერს ქრისტიანულ რელიგიას! "**პავლე მოციქული კორინთელთა მიმართებაში წერდა**". ალბათ მთელი პოსტმოდერნის განმავლობაში ვერ მოახერხებს ბ-ნი ჭანია იმის გაგებას, რომ საქმე კორინთელთა მიმართ ეპისტოლეს ეხება. "**აფხაზთა სამეფო" მოიცავდა ეროვნული სახელმწიფოსათვის ნიშანდობლივ ყველა ატრიბუტს: სოციალურ იერარქიას, სახელმწიფო ენას, დამწერლობას, ეროვნულ იდეოლოგიას, ეროვნულ ეკლესიას და ა. შ. ყველაფერი ეს "აფხაზთა სამეფოში" მხოლოდ ქართული იყო და არა აფხაზური**". გავანებოთ თავი, როგორი იყო "ყველაფერი ეს", ქართული თუ აფხაზური. საქმე ისაა, რომ "ყველაფერი ეს" საერთოდ ვერ იქნებოდა. ნეტა რას ფიქრობს ბ-ნი ჭანია, რომელი საკანონმდებლო აქტებით ხდებოდა "სახელმწიფო ენის" და ეროვნული ეკლესიის ლეგიტიმაცია? ან რომელ "ეროვნულ იდეოლოგიაზე" შეიძლება საუბარი იმ შორეულ ეპოქაში? "**ცნობისათვის: თანამედროვე აფხაზების 70 პროცენტი ენობრივ-გენეტიკური წარმოშობით ქართველია**". ენობრივ-გენეტიკური წარმოშობა რაღა დოზანაა? "ენობრივი წარმოშობა" საერთოდ ნონსენსია, გენეტიკური წარმოშობით კი აფხაზთა 100 პროცენტი ადამიანია. გამოთქმა "გენეტიკური ქართველი" უცილობლად ნაცისტურია. არა გჯერათ? აჰა, ციტატა: "**მაგრამ სულმოკლე პატივმოყვარეობა, ქართველებთან გატოლების აკვიატებული სურვილი აიძულებს აფხაზური მოძრაობის მესვეურთ...**" რას აიძულებთ, უკვე მნიშვნელოვანი აღარ არის: ფრაზა აშკარად ნაცისტურადაა აგებული. მე არ ვიხილავ ბ-ნი ჭანიას სტატიის შინაარსს, რადგან მისი არაპროფესიონალიზმისა და მოუმზადებლობის მოყვანილი მაგალითები საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ სიტყვაზე მენდოთ: ეს სტატია სრული იდიოტიზმია!

ბოლოს და ბოლოს, კითხულობს თუ არა ვინმე გამოქვეყნებამდე "აფხაზურ გვერდზე" განლაგებულ მასალებს? აბა, "საოჯახო ტოტოს" ცხრილში ერთი რიცხვი დაიბეჭდოს შეცდომით — წარმოიდგენია, რა ვაი-ვიში ატყდება. აქ კი, ლიბერალური პრესის ფლაგმანის პირველი ბლოკის გამოსაჩენ გვერდზე ნაცისტური ტექსტი იბეჭდება და რამდენიმე დღის განმავლობაში ჩამი-ჩუმი არ ისმის. ვინმეს გიკვირთ კიდევ, რომ ამ ქვეყანაში ასლან აბაშიძე შესაძლებელი შეიქნა? განხილული სტატიის ზემოთ მოთავსებულია ინტერვიუ **პაატა ზაქარეიშვილთან**. ვშიშობ, რომ ამ მდარეხარისხოვანი პროექტის ფარგლებში მისი გამოქვეყნება შესაფერი რეზონანსის შესაძლებლობას შეამცირებს. მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ პაატა ზაქარეიშვილთან საუბარი გაზეთის უფრო მომგებიან სივრცეზე წარიმართოს.

ახლა კი წარმოდგენა მეორე: ამერიკული განათლება. უფრო მეტიც: ახლა ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორთან გვექნება საქმე: 13 აპრილი, **დოდონა კიზირია**, *საქართველოს არშემდგარი დემოკრატია და მისი მიზეზები*. სტატიას ექვსი სვეტი უჭირავს. სამი სვეტის, ანუ ნახევრის განმავლობაში აღწერილია ბრეჟნევისდროინდელი "ზასტოის" ჩრდილოვანი ეკონომიკის სტრუქტურა. ხომ წარმოგიდგენიათ, დღეს რა მნიშვნელოვანია, ყოველდღიურ გაზეთში დაწვრილებით გავეცნოთ იმას, თუ რა ურთიერთობაში იყვნენ ჩრდილოვანი საქმოსნები გენერალურ მდივანთან, რომელსაც ქ-ნი კიზირია ასევე მოიხსენიებს — "გენსეკი". მაგრამ მოულოდნელად ვკითხულობთ: "**გენერალურმა მდივანმა თავისი მაღალი პოსტი დაკარგა ... [იგი] მისმა ძალაუფლებისათვის მებრძოლმა, უფრო ახალგაზრდა და შეუბრალებელმა ოპონენტმა ჩამოაგდო კარგად გამთბარი სკამიდან, რათა ამ სკამზე თვითონ დამჯდარიყო და მსოფლიოს დიდ პოლიტიკოსად გამხდარიყო ცნობილი**". *როცა ბედმა ამერიკაში წამიღო, ქართული სულ დაგავიწყდა*, მაგრამ ახლა ეს არ გვაკვირვებს. საოცარი სხვაა — ყველას გვახსოვს, როგორ ჩააგდეს საფლავში "**ბებრუცანა გენსეკი**", მაგრამ სკამიდან კი ნამდვილად არავის ჩამოუგდია. დიდი გაჭირვების შემდეგ ვხვდებით, რომ დელავარის, თუ ოკლაჰომას თუ ვინ იცის კიდევ რომელი აიდახოს შტატის რომელიღაც უნივერსიტეტის სლავისტიკის კათედრის თანამშრომელს სკკპ *გენერალური მდივანი* ლეონიდ ბრეჟნევი და საქართველოს სსრ კპ ცკ *პირველი მდივანი* ვასილ მჟავანაძე ერევა ერთმანეთში.

სამაგიეროდ, ჭეშმარიტად პროფესორულია სტატიის საბოლოო დასკვნა: "**გარანტირებული არაფერი არ არის. ქვეყნის ბედი კრიტიკულ მიჯნაზეა, და ამის დავიწყება ერთი წუთითაც არ შეიძლება**". ასეთ ძვირფას აზრს რომ წაიკითხავ, ეჭვი შეგეპარება: იქნებ ტყუილია ჩვენი ვარაუდები და სლავისტიკის ეს კათედრა რომელიმე უფრო "პრილიჩნი" შტატში მდებარეობს?

რა უნდა ვუპასუხოთ ნინია კაკაბაძის მიერ დასმულ საკითხს: ალბათ ისევ ქ-ნი კიზირიასთვის საყვარელი "ოთარაანთ-ქვრივის" პერიფრაზი გამოგვადგება: არც უდიპლომობა ვარგა და არც მთლად დიპლომიდან გამოხედვა. მე კიდევ ასე გეტყვი, ჩემო ნინია, მით უმეტეს რომ ყოველთვის სწორედ ამ ფრაზით მპასუხობდნენ ჩვეულებრივი ქართველები, როცა ვეუბნებოდი, რომ "გენეტიკური წარმოშობით" აფხაზი ვარ: რა ვუყოთ, შვილო, კარგი და ცუდი ყველგანაა!

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5-B7 საოჯახო ტოტო B8 სხვადასხვა

აფიშა

თეატრები

თავისუფალი თეატრი
ყვითელი ანგელოზი
რეჟ. ირა მელვინეთუხუცესი
დას. 19:00 სთ.

ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი
ჩემი გალაკტიონი
რეჟ. გ. სიხარულიძე
კითხულობს: ელდინო საღარაძე
დას. 18:00 სთ.

გამოფენა

გალერეა კოპალა
ნათელა გრიგალაშვილის პერსონალური ფოტოგამოფენა

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
პერესტროიკიდან გადატრიალებამდე

TMS
მაიკ ვუდკოკის ფოტონამუშევართა გამოფენა

ძველი გალერეა
დათო ხიდაშელისა და ლაშა კინწურაშვილის ნამუშევრების გამოფენა

ბაიას გალერეა
მერაბ აბრამიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

სალონი ხელოვნება
ხელოვნების ნიმუშების და საიუველირო ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა

თბილისის ისტორიის მუზეუმი ქარვასლა
ქრისტინე რობაქიძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა ევოლუცია

ჰობი
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა

ბავშვთა ნახატების გალერეა
ბავშვთა ნამუშევრების სააღდგომო გამოფენა

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

მოკლედ

ქართველი მოდელები ფლორენციაში გაემგზავრნენ

იტალიის აკადემია იტალიანას მიწვევით სამოდელო სააგანტო ამსას პრეზიდენტი სოფო ჭყონია მოდელებთან ერთად ფლორენციაში გაემგზავრა.

ამსას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის გიორგი ხვადაგიანის თქმით, აკადემია იტალიანა და სამოდელო სააგენტო ამსა პარტნიორები არიან. იტალიანას პრეზიდენტმა ვინჩენცო გიუბამ ქართველი მოდელები საგანგებოდ გამართულ კასტინგზე თავად შეარჩია და მოდელები ამსას პრეზიდენტთან ერთად ფლორენციაში, აკადემიის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაგეგმილ საღამოზე მიიწვია.

საიუბილეო ჩვენებებზე კოლექციებს იტალიანას საუკეთესო დიზაინერები წარმოადგენენ. ცნობილი დიზაინერების კოლექციებს ამსას ცხრა და სააგენტო ნატალის ოთხი მოდელი მსოფლიოს სხვადასხვა მოდელებთან ერთად აჩვენებენ. ქართველი მოდელები სამშობლოში 27 აპრილს დაბრუნდებიან.

მადონა დედა

სიურპრიზი არავისთვის იქნება, თუ ვიტყვით, რომ მადონა უმკაცრესი დედაა. იგი თავის შვილებს ტელევიზორის ყურებას უკრძალავს.

"მე თავად მკაცრ ოჯახში ვიზრდებოდი და ჩვენთან მიღებული წესის თანახმად დღის განმავლობაში ტელევიზორს თითქმის არ ვუყურებდი. ვერ ვიტყვი, რომ ამან დიდად დამაზარალა. ვცდილობ, ისე გავზარდო შვილები, როგორც მე აღმზარდეს. ამიტომ ოჯახში მკაცრი რეჟიმი მაქვს დამყარებული, ეს რეჟიმი კი ტელევიზორის ყურებას არ ითვალისწინებს, რა თქმა უნდა, როცა მე არ მაჩვენებენ" - ამბობს მადონა.

თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მადონას ზოგიერთ ვიდეორგოლსა და ამპლუაში ხილვა მისი შვილებისთვის არც თუ სასარგებლო უნდა იყოს.

არც ისე ჩერჩეტი

იუდიტ კამპსმა, მილიონერ ჰაინერ კამპსის 19 წლის ასულმა, შესანიშნავად ჩამოაყალიბა, თუ რატომ არ სურს ამერიკული სერიალის, The Simple Life-ის გერმანულ ვერსიაში მონაწილეობის მიღება. ამერიკელი პერის ჰილტონის და ნიკოლ რიჩის კვალდაკვალ მას და ყოფილ მომღერალს, ინდირა ვაისს, ცხოვრების სკოლა გლეხის კარზე უნდა გაევლოთ, და იუდიტს ამის არანაირი სურვილი არ გააჩნია. მან ჟურნალ ბუნთეს განუცხადა: სულელად უნდა გამოვეყვანე და ხალხი უმალვე ასეთად მიმიჩნევდა, ეს კი სულ არ მაწყობს. მას და მამამისს საზოგადოებრივი ცხოვრება დიდად არ იტაცებთ. სასტუმროების იმპერიის მემკვიდრის, პერის ჰილტონისგან განსხვავებით იუდის კამპსს სულ სხვა მიზნები აქვს: გადაღებები მხიარული საქმეა, მაგრამ პერისისნაირი არ მინდა, რომ ვიყო. მე ამდენად ჩერჩეტი არ ვარ.

იუდიტი ჩივის, რომ მის შესახებ სულ უფრო ცუდ სტატიებს წერენ. დღეს, როცა ამდენი ადამიანი უმუშევარია და ამდენ ადამიანს უჭირს, ულამაზოა იმაზე წერა, თუ როგორ კარგად მაქვს საქმე. ბრიყვ გოგოდ გამოვყავარ, რომელსაც ფულის ფლანგვისა და წვეულებებზე სიარულის გარდა არაფერი აინტერესებს.

ერთი სალამოს ამბავი

ანა კორძაია-სამადაშვილი

ნეტა, რა უთხრა რომის პაპმა ათილას? ნეტა, მართლა გაფრინდა გაგარინი კოსმოსში? ნეტა, რას გადაეკიდა თბილისელი საზოგადოება ემიგრანტს? იმ ზღაპარს ნუ მიამბობთ, ერს მამულიშვილი დაუჩაგრეს და ამიტომ გაჯავრდაო...

საღამოს მასპინძელი - "ემიგრანტი"

კლუბ-რესტორან ემიგრანტში მანამდე არასოდეს ვყოფილვარ. მართალია, ერთი ხანი იქ ჩემი მეგობარი გოგონა უკრავდა და ერთი-ორჯერ გავიქაჩე, მაგრამ მერე გადავიფიქრე. სულ ემიგრანტის კარის ბრალია: მშვენიერი კარია, თან ძალიან ძველი ყოფილა. მას არაფერს ვერჩი - პირიქით. უბრალოდ, ისიც და შესასვლელში მდგომი მამაკაციც აშკარად იმის მანიშნებელი იყვნენ, რომ ემიგრანტში მაინცდამაინც ბათინკებით და საპალნესავით ჩანთით შესვლა არ ღირდა, ბისტრო ხომ არაა, კლუბია, მე კი იმ დროს, როცა მსგავს ადგილას წასვლა ღირს, თავის მოწონების თავი დიდად აღარ მაქვს ხოლმე.

ახლა კი მეცოდინება, რომ თუ ვინმე ჩემი სიყვარულით გადაირია და ემიგრანტში მიმიწვია, თავს გადავდებ და სიამოვნებით გავყვები. ძალიან გემრიელად გამიმასპინძლდნენ, ღვინომაც გაამართლა, მომსახურებაც მშვენიერი იყო, საერთოდ, თავს ჩინებულად ვგრძნობდი, - რაღაც-რაღაცეები რომ არ ჩავთვალოთ, რის შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ. მაგრამ, მე დიდი გოგო ვარ და მსგავსი წვრილმანებისთვის თვალის არიდება ვისწავლე. ეს სულ არაა ძნელი.

მით უმეტეს, რომ იმავე შენობაში ათასგვარი საინტერესო რამის ნახვა შევძელი: ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმში ვიყავი, ოთახში, რომელშიც ის ბოლოს ცხოვრობდა. სურათები დავათვალიერე, - რა ლამაზი მეუღლე ჰყოლია! მერე ბატონ ექვთიმეს დაკითხვის ოქმშიც ჩავიხედე, და მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მასპინძელი თავმდაბლად იმეორებდა, კარგი გიდი არ ვარო, მან მრავალი საინტერესო ამბავი მიამბო. იქვე მეც გავიპრანჭე, რომ ექვთიმე თაყაიშვილს უკანასკნელ გზაზე გამცილებელთა შორის ჩემი ბაბუაც იყო (ახლაც ვიპრანჭები). მერე დავათვალიერე ქართველ ემიგრანტთა ფოტოები ისინი შემოსასვლელში ჰკიდია, მერე მეორე დარბაზშიც შევყავი ცხვირი... საერთოდ, ჩემი ემიგრანტში ყოფნა ექსკურსიას უფრო ჰგავდა და მასპინძლის მომერიდა, თორემ, ალბათ, კარგა ხნით მოვწყვეტდი იმას, რაც დარბაზ ნოსტალგიაში ხდებოდა.

ეს ხდებოდა შაბათს, საღამოს, როცა კლუბი-რესტორანი ემიგრანტი და კომპანია თბილღვინო თბილისურ საღამოს მასპინძლობდნენ, რომელიც მარინა ბერიძის პროექტის, თბილისური ნოსტალგიის გაგრძელება ყოფილა. მღეროდნენ ეკა ჭაჭიაშვილი და გიო ხუციშვილი, და უკრავდა მშვენიერი კვარტეტი - ამ უკანასკნელის მოსმენა თურმე ემიგრანტში ხშირად შეიძლება და გარწმუნებთ, ღირს.

მე ე.წ. თბილისური სიმღერები არ მიყვარს. მეტსაც მოგახსენებთ, ძალიან მაღიზიანებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოქმედება საზღვარგარეთ ხდება: სამშობლოს სიყვარულით გვემული და უცხო მხარეში არალეგალურად მცხოვრები საზოგადოება გადმოიღებს ხოლმე გიტარას ან, რაც მთლად დამღუპველია, ფორტეპიანოს მიუცუცქდება, და სამ ხმაში, ტკბილად ჟივჟივებს დაღამებას მოდევნებული სევდის შესახებ. რაც არ უნდა კარგად მღეროდნენ, მაინც ყოველთვის გულს მეყრება ხოლმე. მაგრამ, ეს მხოლოდ ჩემი პრობლემაა. დანარჩენი საზოგადოება, რომელიც თბილისურ საღამოზე ემიგრანტში იყო მიბრძანებული, კმაყოფილი იყო, მომღერლები კი, უნდა ვაღიარო, შესანიშნავად მღეროდნენ.

ერთ-ერთი მასპინძლის, თბილღვინოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი მარგველაშვილი ვარაუდობს, რომ ასეთი საღამოები თბილისური, ქალაქური ტრადიციების აღდგენას შეუწყობს ხელს, იმ დეფიციტის შევსებას, რასაც სალონური შეხვედრები ჰქვია და რაც არაერთი თბილისელისათვის უკვე ნოსტალგიად იქცა... იმედი გვაქვს, რომ ყველანი ერთად ნამდვილად შევძლებთ, დავუბრუნოთ თბილისს თავისი ხიბლი.

რატომაც არა?! ბატონმა გია გორგოძემ, რომელსაც მანამდე დავით ყიფიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებულის, დღესასწაულის წადილის გამომცემლად ვიცნობდი, მითხრა, რომ მისი და ემიგრანტის დანარჩენ სულისჩამდგმელთა მიზანიც (ფაქტობრივად, მიღწეული) ისაა, რომ ემიგრანტი, უბრალოდ, დასანაყრებელი ადგილი კი არა, კლუბი იყოს, სადაც საერთო ინტერესების მქონე ადამიანები ერთმანეთს შეხვდებიან.

და საერთოდ, ბუხენავალდის კარიბჭეს დიდებული წარწერა ჰქონდა: Jedem das Seine, რომელიც ქართულად ისე შთამბეჭდავად ვერ ჟღერს: ყველას თავისი. პირადად მე თბილისურ ბომონდთან შემთხვევით შეხვედრისას ყოველთვის ვხვდები ხოლმე, რომ 1917 წელს მუშათა და გლეხთა პარტიის (ბ) წევრი ვიქნებოდი, ტყავისქურთუკიანი და ნაწნავიანი, თან ერთი საიმედო მაუზერიც მექნებოდა, და პუჰ, პუჰ... მაგრამ, ღვთის წყალობით, არც ის ხალხი გიჟდება ჩემზე, და ყველა ბედნიერი და კმაყოფილია.

Jedem das Seine. ზოგს ვარსკვლავებთან ურთიერთობა უყვარს, ზოგს გემრიელი კერძები, ზოგს - გია ბუღაძის მხატვრობა, ზოგს უჟმური ქალები... და ყველას აქვს უფლება, ისე გაატაროს თბილისური საღამო, როგორც გაუხარდება.

თეატრი თანამედროვე პოეზიისათვის

ძველი სახლი ახალგაზრდა პოეტს მასპინძლობდა

სალომე კიკალეიშვილი

სცენაზე განლაგებული შვიდი პატარა სკამი, ზედ შვიდი ოქროსფერი სამოვარი, ორი საკმეველი, ავტორისთვის განკუთვნილი სკამი, მაგიდაზე მიმოფანტული ფურცლები; ლექსები, ჩანახატები, წერილები...

სწორედ ამ უცნაური სცენური გადაწყვეტის, მუსიკალური გაფორმების და გარეთ ქარის ზუზუნის ფონზე გააცნო დამსწრე საზოგადოებას ირაკლი ნადარაიამ თავისი შემოქმედება. მატარებელი - ასე ერქვა საღამოს, რომელიც ახალგაზრდა პოეტმა მის ძმას მიუძღვნა: "ჩვენ ხომ ყველანი, დღეს, ერთ მატარებელში, ერთ სივრცეში ვიმოგზაურებთ" - განაცხადა საღამოს დასაწყისში.

ეს საღამო ირაკლი ნადარაიას შემოქმედებაში, ერთ-ერთი იმ დიდი ჩამონათვალთაგანია, რომელიც მას გაუმართავს არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც, ევროპის ქვეყნებში: მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, ფლორენციის უნივერსიტეტში, რომში, პარიზში... ერთხელ გაშუქებულა პრესის ფურცლებზე. ეს საღამოც გამოირჩეოდა ნადარაიასთვის დამახასიათებელი სტილით თუ უცნაური გადაწყვეტით. თუ აქამდე თეატრალურ სარდაფში მუქი სანთლებით განათებულ დარბაზში, ანდა იტალიური (ნადარაია დედით იტალიელია) სიმღერების ფონზე კითხულობდა ლექსებს, ამჯერად ძველი თეატრის პატარა, მყუდრო სცენა, სადაც რაღაც უშუალო კონტაქტი მყარდება მაყურებელთან, ყველაზე ახლოს აღმოჩნდა მის ლექსებთან. დიდი სურვილი მქონდა, რომ სწორედ აქ, ამ თეატრში წამეკითხა, სადაც საოცარი ჰარმონიაა, აურა... თეატრის მფლობელებისგანაც ეს ვიგრძენი. ჩემი არც ერთი საღამო არ ჰგავს ერთმანეთს, არც ისე ხდება, როგორც ჩაფიქრებულია. ხან რა უშლის ხელს და ხან რა. გააჩნია გარემოს, აუდიტორიას, იმას, თუ რა არის ჩემ ირგვლივ სცენაზე, რას ვეხები... თუმცა, მთავარი არის ადამიანი, ჩემი მსმენელი... მართალია, უფრო მეტ დროს იტალიაში ვატარებ, მაგრამ ბოლო პერიოდში მომხდარმა ცვლილებებმა მაიძულა უფრო დიდი ხნით ჩამოვსულიყავი. მჯერა, რომ მიუხედავად ბევრი არასასიამოვნო მომენტისა, ის რაც განცხადდა - შესრულდება, უკეთესობისკენ წავალთ და არა მხოლოდ მე, არამედ უამრავი ხალხი ჩამოვა საქართველოში, ამ იძულებითი იმიგრაციიდან.

არაორდინარული საღამო, ლექსები: მატარებელი, წვიმა, ტავერნა... ნაწყვეტები პოეტის ცხოვრებიდან, ჩანახატები, დედა - იტალიელი ქალბატონი სოფი კონტი, წერილები, ერთი ჩვეულებრივი შემთხვევა... ყველაფერი ეს სევდიანი მუსიკალური ნოტების ფონზე იჭრებოდა ნადარაიას შემოქმედებით სივრცეში.

"ახალგაზრდა პოეტი, თავისი პირველი წიგნის გამოცემას აპირებს, ოღონდ გვინდა კონკურსი გამოვაცხადოთ, მაინტერესებს, ვინ გამოიჩენს სურვილს, დაგვაფინანსოს. ვაპირებ დოკუმენტური ფილმის შექმნას, სადაც ის ვიდეო და ფოტომასალა იქნება გამოყენებული, რომელიც ნიუ იორკში გამართულ ერთ-ერთ ჩემს საღამოზე შეიქმნა, რომელსაც უამრავი ცნობილი ადამიანი ესწრებოდა - დასძინა ნადარაიამ.

პარადოქსი ძველ გალერეაში

ნინო ჯორჯაძე

ერეკლეს ქუჩა თავისთავად ულამაზესია. აქ გავლისას თავი თბილისში არ მგონია ხოლმე, უფრო სწორად, დღევანდელ თბილისში, როგორიც არის იგი რეალურად და სურვილი მიჩნდება თბილისი მარტო ეს ორი ქუჩა - შარდენი და ერეკლეს ქუჩა იყოს. სხვა თუ არაფერი, სახინკლეებს მაინც ვერ ნახავ აქ, მხოლოდ გალერეები... სწორედ ერთ-ერთ მათგანში - ძველ გალერეას ვეწვიეთ, ცნობილი ხატმწერების დავით ხიდაშელის და ლაშა კინწურაშვილის გამოფენის გახსნაზე. გამოფენა კი, მართლაც, მოულოდნელობით აღსავსე აღმოჩნდა. ნამუშევრებში, განსაკუთრებით კი, დავით ხიდაშელის ფერწერაში, მკვეთრად იგრძნობა იკონოგრაფიის ელემენტები. ნახატები, ერთი შეხედვით, ზღაპრების წიგნის ილუსტრაციებს მოგაგონებდათ. ხიდაშელის ნამუშევრებში, ძირითადად, მკვეთრი წითელი, ყვითელი, მწვანე სჭარბობს. მათზე ასახულია მითოლოგიური კენტავრი მშვილდოსანი, ძველი ქართული ილუსტრაცია მეფე-დედოფალი, შიშველი ქალი. როცა სულ ძველ ფრესკებთან და ტექნოლოგიებთან გიწევს მუშაობა, თანამედროვე ხელოვნებაშიც ძველ ტექნოლოგიებს იყენებ, - გვითხრა დავით ხიდაშელმა. როგორც გამოფენის დასათვალიერებლად მოსულმა გია ბუღაძემ შენიშნა, ტიპური ხატწერითი მეთოდით შესრულებულ ყოფაცხოვრებით მომენტებში შეტანილია ეროტიკული მომენტიც. ეს პარადოქსია და სწორედ ეს არის ამ გამოფენის ხიბლი, - გვითხრა გია ბუღაძემ. მან ისიც დაამატა, რომ ეს ფაქტი მოწმობს სტილური დემოკრატიის ნიშნების არსებობას, რაც, მგონი, მართლა სასიამოვნო და მისასალმებელია. ცხოვრების ხედვა ვიწრო ჩარჩოებიდან თავისუფლდება: ხატწერითი მეთოდით შიშველი ქალის ტილოზე ასახვა, დამეთანხმებით, საინტერესო ტენდენციაა.

დავით ხიდაშელი

ლაშა კინწურაშვილის ნამუშევრები, თბილისის სერია, ავტორის თქმით, ასახავს მის მშობლიურ სოფელს, სოფლურ სიტუაციებს, ასე ვთქვათ, სოფლურ იდილიას. ამის საპირისპიროდ შეიძლება აღვწეროთ ერთი ტილო, რომელსაც "პატარა გოგონა დიდ ქალაქში" ერქვა და ასახავდა გოგონას, რომელიც შეშინებული, გაფართოებული თვალებით ათვალიერებდა ქალაქის ქუჩას. ნახატს წარწერაც აქვს "პატარა გოგონა დაიღალა დიდი ქალაქის ამაო მაშინიზმით". ლაშა კინწურაშვილის ნამუშევრებში, გარკვეულწილად, გლობალური ურბანიზაციის წინააღმდეგ გაბრძოლება იგრძნობა. მისი ნამუშევრების უმეტესობა შესრულებულია მუყაოზე, შუშის ასიმეტრიული ნატეხი დამაგრებულია ე.წ. სტეპლერით, რაც მთლიანობაში საკმაოდ საინტერესო ეფექტს ქმნის.

მოკლედ, თუ სივიწროვეს არ მივიღებთ მხედველობაში, გამოფენიდან სასიამოვნო განწყობით წამოვედით და, სხვების არ ვიცი, მე კი, რატომღაც, ბავშვობის ნოსტალგიამ შემიპყრო.

მოდის სიახლეები Vogue-ის მიხედვით

სალომე კიკალეიშვილი

Gyvenchy-ის სახლის ყოფილი მთავარი დიზაინერი ჯულიენ მაკდონალდი უკვე არა მარტო მიწაზე, არამედ ჰაერშიც ჩააცმევს ადამიანებს. ასეთია ინფორმაცია, რომელიც ფრანგულმა ჟურნალმა Vogue გაავრცელა.

ბრიტანული ავიაკომპანიის "ბრიტიშ ეირვეის" დირექციის გადაწყვეტილებით, ის უნიფორმა, რომელშიც 12 წლის მანძილზე კომპანიის 25 ათასი თანამშრომელი დადიოდა უნდა შეიცვალოს. ამის განსახორციელებლად კომპანიამ ცნობილ დიზაინერ - ჯულიენ მაკდონალდს მიმართა, რომელიც შეკვეთის შესრულებას დათანხმდა (გაითვალისწინეთ, რომ ის ახლახანს წამოვიდა Gyvenchy-ის სახლიდან) და განაცხადა: მინდა, რომ ხალხს, უკეთესად ჩავაცვა, ვიდრე ეს ადრე იყო. მინდა, რომ არ არსებობდეს ერთი უნიფორმა, არამედ თანამშრომლებს არჩევის უფლება ჰქონდეთ. განსაკუთრებით კი ბორტის გამცილებელ ქალბატონებს. მათზე იყოს დამოკიდებული ის, თუ რას ჩაიცმევენ, შარვალს თუ ქვედაბოლოს, ანდა, საერთოდაც, კაბას. გასაკვირი არც ის არის, რომ კომპანიის მრავალრიცხოვანი კოლექტივი აღტაცებით შეხვდა დირექციის გადაწყვეტილებას და მოუთმენლად ელოდება ცნობილი კუტურიეს სამოსს, რომელსაც უნიფორმას დღეიდან, ალბათ, ვეღარავინ დაუძახებს. საინტერესოა, ნუთუ ჩვენი ავიაკომპანია, ვერ ხვდება, რომ უნდა მიბაძოს ბრიტანელებს? - კითხულობს Vogue.

რაც შეეხება აქსესუარებს, ყურადღების ცენტრში, ყველაზე მეტად, ისევ ჩანთა რჩება, რომელსაც ძნელია, უბრალოდ, აქსესუარი, ჩაცმულობის ე.წ. დანამატი უწოდო. არჩევანი ფართოა: დაწყებული ძვირფასი ტყავის, მოოქროვილი საკეტით შექმნილი ჩანთებით, უბრალო ნაჭრის, ნახატებით ან ფოტოებით მორთული ჩანთით დამთავრებული. სიახლეების და მოდის სამშობლო საფრანგეთი, თავისი დიდებული მოდის სახლებით ისევ ეჯიბრებიან ერთმანეთს, სრულყოფილი ჩანთის შექმნასა და მომავალი სეზონის ლიდერობაში.

ზოგი მოდას მიჰყვება, ზოგი კი თავად ქმნის შესაფერის ამინდს. როცა რაიმე ჩანთას დაინახავთ სარა ჯესიკა პარკერის ხელში, შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, ეს სეზონის აუცილებელი ნივთი იქნება, აცხადებს Vogue. ჩანთა, რომელიც ბებიების დროინდელ საფულეს მოგაგონებთ, მოოქროვილი საკეტით და მწვანე გველის თავით ტომ

შანელის ახალი ჩანთები

სარა ჯესიკა პარკერის გუჩის ჩანთა

ფორდის მიერ Gucci-თვის არის შექმნილი. ფოტო, სადაც პარკერი Gucci-ის ცნობილი ჩანთით ხელში მიაბიჯებს პარიზის ქუჩებში, ცნობისმოყვარე პაპარაცებმა, ცწორედ მაშინ გადაიღეს, როდესაც მსახიობი სერიალ "სექსი ლილ ქალაქში" გადაღებებისთვის იყო ჩასული. მსახიობის ჩაცმულობა, რომელიც არაერთი პუბლიკაციის მთავარი თემა გახლდათ, იმდენად პოპულარულია, რომ როცა რამოდენიმე ხნის წინ ამერიკაში, კერძოდ კი ნიუ იორკში მაღაზია გაიხსნა, სადაც ფილმის გმირების სამოსი იყო გამოტანილი გასაყიდად, მათ შორის, ყველაზე დიდი მოთხოვნით სწორედ პარკერის გმირის კერი ბრედშოუს სამოსი იყიდებოდა. - ასე რომ, თავისი არაორდინარული ჩაცმულობით, რეტრო და, ამავე დროს, ულტრა-ქალური პარკერის ჩანთა, სეზონის ჰიტი გახდება - უწინასწარმეტყველებს Vogue.

ჩვენ ხომ ნამდვილ კუებს ვგავართ, რომელიც სახლს მუდამ ზურგით დაათრევს : ახლობლების, ოჯახის წევრების ფოტოები, მათი ხმა, ჩაწერილი მობილურ ტელეფონზე... ფოტოები ჭიქებზე, მაისურებზე... და რატომ არა ჩანთებზე? კითხულობენ Orient Express-ის წევრები, რომლებმაც ე.წ. ფოტოჩანთა გამოუშვეს. შავ-თეთრი ჩანთა, სხვადასხვა ფოტოებით, ეს ხომ ნამდვილი ახალი-რეტროა, - აცხადებს ფირმა. ფოტოჩანთა, რომელსაც თავისი საიტიც აქვს ინტერნეტში, თავის პირველ კოლექციას პარიზში, გალერეა "ლაფაიეტში" 3-დან 5 მაისის ჩათვლით წარადგენს.

რაც შეეხება Chanel-ის ბუმბერაზ სახლს, რომელიც 1921 წლიდან აქტიურადაა ჩაბმული მოდის სამყაროში, ჩანთის ახალი ხაზი - Cambon გამოუშვა, რომელიც მოდის დიდი სახლის ტრადიციებითაა შექმნილი: დალიანდაგებული ტყავი, კონტრასტულად შეხამებული ფერები შავი და თეთრი, ტყავის სამაჯურებით და, რათქმაუნდა, უცვლელი ინიციალებით. - ეს ჩანთა თნამედროვე ქალისთვისაა შექმნილი. შეიძლება გამოიყენო როგორც საყიდლებზე, სამოგზაუროდ, ასევე საღამოს აქსესუარადაც. სწორედ ეს არ არის ის, რაც თანამედროვე ქალებს სჭირდებათ? - კითხულობენ სახლის დიზაინერები. რაც შეეხება რეკლამირებას, ვანესა პარადიზე უფრო ქალურად და თანამედროვედ ვერავინ შეძლებდა. ამიტომაც სარეკლამო ფოტოები თავად კარლ ლაგერლფერდმა გადაიღო.

რა არის თქვენი შთაგონების წყარო? - უკითხავთ მრავალი ხელოვანისთვის. ეს კითხვა, რომ Fendi-ის სახლის დიზაინერისთვის დაგესვათ, გიპასუხებდათ - მუსიკა. დიახ, სწორედ მუსიკის შთაგონებით შეიქმნა Fendi-ის კიდევ ერთი ახალი ჩანთის ხაზი Le Compilation, რომლის პრეზენტაციაც სილვია ფენდიმ ჯერ კიდევ მარტში, პარიზის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ რესტორანში მოაწყო. პრეზენტაციისთვის მთლიანად შეცვლილ ინტერიერში, თეთრი ნიანგის ტყავის სავარძლებში მოკალათებულ მაღალ საზოგადოებას ყველაზე იშვიათი დელიკატესებით ემსახურებოდნენ. რჩეულ საზოგადოებას შორის იყვნენ ფრანგული კინოს ვარსკვლავები: ემანუელ ბეარი, კატრინ დენევი....

არც Fendi-ი ღალატობს თავის ტრადიციას. ჩანთა, რომელსაც ზაფხულის ხუთეულში უწინასწარმეტყველებენ მოხვედრას, Fendi-ის სახლის ინიციალები ამშვენებს, ფერები კი... ნებისმიერი გემოვნების ქალბატონებს დააკმაყოფილებს: ოქროსფერი, ვერცხლისფერი, მწვანე, იასამნისფერი, თეთრი...

მოკლედ

უფრთხილდით ვაგნერს საჭესთან

როდესაც 1850-იან წლებში რიჰარდ ვაგნერმა თავისი ვალკირიების გადაფრენა შექმნა, ალბათ, ვერც წარმოიდგენდა, რომ 21-ე საუკუნის მოტოციკლეტისტების უსაფრთხოებას შეუქმნიდა საფრთხეს. ბრიტანეთში ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ხმამაღალი მუსიკა ხელს უწყობს ავტოკატასტროფებს, მათ შორის კი კლასიკური ნაწარმოებებიც შედის. ზემოთხსენებული ვალკირიების გადაფრენა ამ საშიშ კომპოზიციათა ნუსხაში პირველ ადგილზე გავიდა. ნუსხაში შევიდა ჯუზეპე ვერდის Dies Irae-იც მისი რექვიემიდან. ამ კლასიკურ ნაწარმოებებს გვერდს უმშვენებს როკჯგუფების - ფროდიჯის Firestarter, ბეისმენთ ჯექსის Red Alert და ფეითლესის Insomnia.

იმავე კვლევის დასკვნაში ბრიტანელმა მეცნიერებმა მიუთითეს ის სიმღერებიც, რომლებიც გზატკეცილებზე ქროლვის დროს ნერვებს აწყნარებს. ამ სიაში ლიდერობს ნორა ჯონსის მსოფლიო ჰიტი Come Away With Me, გერი ჯულსის Mad World, რიტმ-ენ-ბლუზის მომღერლის ლემარის Another Day, შუგაბეიბის გოგონების ჰიტი Too Lost in You და პოპულარული ბოიბენდის ბლუს სიმღერა Breathe Easy.

კიდმანი – პირველი ავსტრალიელი



REUTERS

